სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ეკონომიკის დეპარტამენტი

ლელა ჯახაია

# აგრარული სექტორის ეკონომიკური პრობლემები და მისი დაძლევის პერსპექტივები (აჭარის მაგალითზე)

(ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია)

**სამეცნიერო ხელმძღვანელები:**

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი,

ასოცირებული პროფესორი

**მურმან ცეცხლაძე**

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,

თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი

**ნიკოლოზ ჩიხლაძე**

ბათუმი - 2018

## ს ა რ ჩ ე ვ ი


**შ ე ს ა ვ ა ლ ი ------------------------------------------------------------------ 3**

**თავი I. საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების პრობლემები -- 11**

1.1. საქართველოს აგრარული სექტორის ეკონომიკური პრობლემები-- ---------------- 11

1.2. აჭარის არ გეოგრაფიული, ბუნებრივი და ეკოლოგიური გარემო ------------------ 23

1.3. აჭარის არ ტექნიკურ-ეკონომიკური გარემო ---------------------------------------- 35

**თავი II. ფერმერული მეურნეობების როლი აგრარული სექტორის განვითარებაში --- 42**

2.1. ფერმერული მეურნეობები, როგორც შესწავლის ობიექტი --------------------------- 42

2.2. ფერმერული მეურნეობების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში ------------------------------------------------------------------------------- 61

2.3. ფერმერების კოოპერირება და ეკონომიკური შედეგების ამაღლების გზები ----- 67

**თავი III. სახელმწიფო რეგულირება და მხარდაჭერა, როგორც აგრარული სექტორის პრობლემების გადაწყვეტის მექანიზმი ---------------------------------------------------- 84**

3.1. სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის როლი აგრარული სექტორის პრობლემების გადაწყვეტაში --------------------------------------------------------------- 84

3.2. სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის აუცილებლობა და მსოფლიო გამოცდილება ------------------------------------------------------------------------------- 104

**თავი IV. აგრარული სექტორის განვითარების პირობები და ეკონომიკური ეფექტიანობა ---------------------------------------------------------------------------------- 123**

4.1. აგრარული სექტორის განვითარება ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ფარგლებში --------------------------------------------------------------------------------- 123

4.2. აგრარული სექტორის ძირითადი დარგების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გზები------------------------------------------------------------------------- 131

**დასკვნები და წინადადებები ---------------------------------------------------------- 146**

**გამოყენებული ლიტერატურა -------------------------------------------------------- 155**

**დანართი ----------------------------------------------------------------------------------- 171**

# შესავალი

**თემის აქტუალობა.** საქართველოში, როგორც უძველესი აგროკულტურის ქვეყანაში ათასწლეულების განმავლობაში სოფლის მეურნეობას წამყვანი ადგილი ეჭირა. მრავალსაუკუნოვანმა ისტორიულმა ძნელბედობამ  და საბჭოთა პერიოდის ადმინისტრაციულ-მბრძანებლურმა მმართველობამ  ძლიერ დააზარალა ქართული სოფელი. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ექსრემალურ ვითარებაში არასწორად წარმართულმა რეფორმებმა კიდევ უფრო გააჩანაგა სოფლის მეურნეობა.

ამჟამად საქართველოს ეკონომიკა მძიმე კრიზისშია. ეს განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა სურსათის წარმოებაში, რაც პირველ რიგში გამოწვეულია იმით, რომ დღემდე გატარებული რეფორმები არ აღმოჩნდა ქმედითი და საკმარისი.

ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის დაახლოებით 17% პირდაპირაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის სექტორზე, საშუალო მოსავლიანობა პოტენციურის მხოლოდ 1/3-ს შეადგენს. სახნავ-სათესი ფართობების დაახლოებით 1/3 არ გამოიყენება წარმოებაში. სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 43%-ით სჭარბობს ექსპორტს, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 54%, იგივე მაჩვენებელი 1990 წელს მხოლოდ 25 პროცენტს შეადგენდა.

მსოფლიოს ცივილიზებული თანასაზოგადოების მასშტაბური ძალისხმევის მიუხედავად სასურსათო პრობლემა  კვლავ რჩება ერთ–ერთ მნიშვნელოვან გლობალურ პრობლემად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით თანამედროვე მსოფლიოში შიმშილობს ერთი მილიარდი ადამიანი.

გრძელვადიანი საპროგნოზო გაანგარიშებების საფუძველზე, რომლებიც შეიმუშავეს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა (OECD) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO)  სპეციალისტებმა (2016 წელს), რომელიც თავის მხრივ სოფლის მეურნეობის განვითარების მსოფლიო და ევროპული ტენდენციების ანალიზს ეყრდნობა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე

შედარებით დაბალი ფასები კიდევ 2-3 წელიწადს შენარჩუნდება. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში 2030 წლისათვის 2015 წელთან შედარებით სასურსათო პროდუქციაზე მოთხოვნა სავარაუდოდ, 60%-ით გაიზრდება, ხოლო 2050 წლისათვის გაორმაგდება. ამ პერიოდისათვის მთელ მსოფლიოში, არსებულთან შედარებით, საჭირო იქნება 70%-ით მეტი სასურსათო პროდუქციის წარმოება. [აგრარული..., 2016]

საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილ უკიდურეს კრიზისს თავი რომ დავაღწიოთ, საჭიროა შევიმუშავოთ სოფლის მეურნეობის მართვისა და წარმოების ეფექტური მექანიზმები. ამისათვის აუცილებელია ავამოქმედოთ ის ძირითადი და ორგანიზაციული ბერკეტები, რომელიც ხელს შეუწყობს წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას. პირველ რიგში მთავარია გავადიდოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება, რომ მთლიანად იქნეს დაკმაყოფილებული ქვეყნის საზოგადოების მოთხოვნილება საკვებ პროდუქტებზე, რაც თანამედროვე პირობებში დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ამ მიზნით საბაზრო ურთიერთობები უნდა განვახორციელოთ მრავალწყობიანი ეკონომიკის დამკვიდრებით, განსახელმწიფოებ-რიობით, დასაბუთებული და აუჩქარებელი რეფორმების გატარებით. ეს ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის თავისუფალი, ახალი ტიპის მეწარმის ფორმირებას, რომელიც საწარმოო საშუალებებისა და წარმოებული პროდუქციის ნამდვილი მეპატრონე იქნება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ როგორც ადრე, ისე დღესაც აგრარული სექტორი და მისი ეკონომიკური პრობლემები აქტუალურია, დიდ თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს, რამაც განაპირობა სადისერტაციო თემის არჩევანი.

**კვლევის მიზანი და ამოცანები:** კვლევის ძირითადი მიზანია საქართველოში საბაზრო ურთიერთობების განვითარების თანამედროვე ეტაპზე აგრარულ სექტორში არსებული ძირითადი ტენდენციების და კანონზომიერებების გამოვლენა, სოფლის

მეურნეობაში პრივატიზაციის, რესტრუქტურიზაციის ეკონომიკური შედეგების შეფასება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარულ სექტორში არსებული პრობლემების წარმოჩენა და მათი გადაწყვეტის გზების შემოთავაზება.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე დავსახეთ შემდეგი ამოცანები:

- მსოფლიო გამოცდილებაზე დაყრდნობით ფერმერული მეურნეობების და კოოპერატივების მნიშვნელობის გაანალიზება და მათი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების განსაზღვრა;

- სასოფლო-სამეურნეო მიწების კონსოლიდაციის სახელმწიფო სტრატეგიის აუცილებლობის დასაბუთება;

- აგრარული სექტორის განვითარებაში სახელმწიფოს როლის გაანალიზება და მისი მაქსიმალური ჩართულობის დასაბუთება სექტორის განვითარებაში;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარულ სექტორში არსებული მდგომარეობის შესწავლა და მისი განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების დასახვა;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარული სექტორის ეკონომიკური ეფექტიანობის გაანალიზება.

**კვლევის საგანი და ობიექტი.** კვლევის საგანს წარმოადგენს აგრარულ სექტორში არსებული პრობლემები, სოფლის მეურნეობის ორივე დარგში - მემცენარეობასა და მეცხოველეობაში არსებული პრობლემები და მათი განვითარების პერსპექტივები.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს, როგორც საქართველო, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარული სექტორი და მასში მიმდინარე პროცესები.

**კვლევის მეთოდოლოგია.** ნაშრომის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს აგრარული სექტორის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და მეთოდები, ასევე ქართველ და უცხოელ მეცნიერთა სამეცნიერო ნაშრომები.

საკითხიდან გამომდინარე ნაშრომი ეყრდნობა: სახელმწიფო ინსტიტუტების ოფიციალურ მონაცემებს (სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, სოფლის მეურნეობის

სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროს, რეგიონული განვითარების სამინისტროს მართვისა და მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების მონაცემებს, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს, დადგენილებებს, ბრძანებულებებს და ა.შ.), ქვეყნის და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევებს, ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევებს.

კვლევის პროცესის სწორად წარმართვისათვის ნაშრომში გამოყენებულია სისტემური ანალიზის, ეკონომიკური, ლოგიკური, ფუნქციონალური შეფასების, ანალიზისა და სინთეზის, ნორმატიული, ეკონომიკურ-მათემატიკური, ეკონომიკურ-სტატისტიკური და სხვა მეთოდები.

**პრობლემის შესწავლის მდგომარეობა.** აგრარულ სექტორში ფერმერული და კოოპერაციული მეურნეობების განვითარების თავისებურებათა შესახებ თავიანთი მოსაზრებები აქვთ ჩამოყალიბებული უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტებს: ფ. ჩადადს, პ. მავიმბელას, ნ. სელიანინოვს, ე. სნეგოვსკაიას. ასევე საყურადღებო მოსაზრებები აქვთ გადმოცემული თავიანთ ნაშრომებში საქართველოს აგრარული სექტორისა და ფერმერული მეურნეობების განვითარების პრობლემებზე ქართველ მეცნიერ-ეკონომისტებს: ვ. ბურკაძეს, ო. ქეშელაშვილს, პ. კოღუაშვილს, ო. ვაშაკიძეს, პ. გუგუშვილს, ჰ. გიორგაძეს, ა. გრიშიკაშვილს, გ. შიხაშვილს, რ. მანველიძეს, ვ. პაპუნიძეს, რ. ჯაბნიძეს, ნ. ჩიხლაძეს, მ. ცეცხლაძეს და სხვ. თუმცა, ჩვენი აზრით, აღნიშნული საკითხი სათანადოდ არ არის შესწავლილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრობლემატიკის ფონზე. ამიტომ, შევეცადეთ ეს პრობლემა შეძლებისდაგვარად შეგვესწავლა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე წარმოვაჩინეთ აგრარული სექტორის ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის გზები, განვითარების პერსპექტივები.

**კვლევის მეცნიერული სიახლე.** კვლევის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ ნაშრომში, ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე შესწავლილი და გაანალიზებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებში არსებული

ეკონომიკური მდგომარეობა, აგრარული სექტორის განვითარების გზები, რომელიც ძირითადად გამოხატულია ნაშრომის დასკვნებსა და წინადადებებში.

ჩატარებული კვლევის პროცესში მეცნიერულ სიახლედ მიგვაჩნია:

- წარმოჩენილია საქართველოს აგრარულ სექტორის ეკონომიკური პრობლემები და შემოთავაზებულია მათი დაძლევის პერსპექტივები მიწის კონსოლიდაციის საფუძველზე;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის განლაგებაში და სპეციალიზაციაში, წარმოების სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ამ პროცესში დაშვებული შეცდომები და ნაკლოვანებები;
- წარმოჩენილია ფერმერული მეურნეობების როლი აგრარულ სექტორში, ფერმერული მეურნეობების შესწავლის შედეგად ჩამოყალიბებულია საკუთარი შეხედულებები ამ საკითხზე და შემოთავაზებულია კონკრეტული წინადადებები;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარულ სექტორში არსებული კოოპერატივების შესწავლის ფონზე გამოვლენილია მათი განვითარების დადებითი და უარყოფითი მხარეები და შემოთავაზებულია არსებული პრობლემების დაძლევის გზები.

**კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა:** ნაშრომში წარმოდგენილ დებულებებს, დასკვნებს და რეკომენდაციებს შეუძლიათ არსებითი წვლილის შეტანა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, განსაკუთრებით მისი მთიანი რაიონების სოფლის მეურნეობის განვითარებაში, მნიშვნელოვანია მისი როლი ასევე, აგრარულ სექტორში ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულყოფის საქმეში.

რამდენადაც ნაშრომი წარმოადგენს აგრარული სექტორის ეკონომიკურ პრობლემებთან დაკავშირებულ ერთ-ერთ მეცნიერულ კვლევას მთის რაიონების სოფლის მეურნეობის და მთლიანად აჭარის არ-ის აგროსასურსათო სექტორის სფეროში, მას თეორიული ცოდნის დონის ამაღლებასთან ერთად, შეუძლია პრაქტიკული დახმარება გაუწიოს მსგავსი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მქონე რაიონებსა და ზონებს მეურნეობრიობის ახალი პროგრესული ფორმების შერჩევასა და

ჩამოყალიბებაში, მათ ორგანიზაციულ-სამართლებრივ მოწყობასა და შემდგომ განვითარებაში.

**დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა.** სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 192 გვერდს. შედგება შესავლის, ოთხი თავის, ათი ქვეთავის, დასკვნებისა და წინადადებებისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართი.

# თავი I. საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების პრობლემები

## 1.1. საქართველოს აგრარული სექტორის ეკონომიკური პრობლემები

აგრარული სექტორი ეკონომიკის განსაკუთრებული დარგია, რომლის განვითარებაც გარკვეულ ბუნებრივ პირობებზეა დამოკიდებული. ბუნებრივი პირობების ძირითადი კომპონენტებია: რელიეფი, ნიადაგები, კლიმატი, მიწისზედა წყლები, სასარგებლო წიაღისეული, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისა და შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესში ბუნებრივი პირობების მნიშვნელობა არ შემცირებულა და არც მომავალში შემცირდება.

საქართველო სუსტი ეკონომიკის მქონე, განვითარებადი ქვეყანაა 3 720.4 მილიონი მოსახლეობით. აქედან ქალაქად ცხოვრობს 57,2%, სოფლად კი 42,8%. [**საქართველოს..., 2016**] საქართველოს ტერიტორია 69,700 კვადრატული კილომეტრია ანუ 7 მილიონი ჰექტარი. იგი მეტად მრავალფეროვანია თავისი მდიდარი ბუნებით, ფიზიკურ-გეოგრაფიული, ნიადაგობრივი და კლიმატური თავისებურებებით. ქვეყნის ტერიტორიის 1/3 ტყითაა დაფარული. სოფლის მეურნეობის სავარგულებისათვის გამოსადეგი მთელი სახნავი ფართობის მხოლოდ 40%-მდეა ათვისებული, რაც საკმაოდ დაბალია და თითოეულ მოსახლეზე 0,16 ჰექტარს შეადგენს.

საქართველო ძირითადად მთიანი ქვეყანაა. ჩრდილოეთით მას აკრავს დიდი კავკასიონის ქედი, ხოლო სამხრეთით - მცირე კავკასიონი. სამხრეთით კოლხეთის დაბლობს შავი ზღვა აკრავს. აღმოსავლეთით მდინარე მტკვრის აუზი იშლება. განსხვავებული რელიეფი სხვადასხვა მიკროკლიმატს ქმნის. ასევე განსხვავებულია

ნალექების რაოდენობა, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია აგრარული პროდუქციის წარმოებისთვის.

საქართველო დაყოფილია 9 რეგიონად და 2 ავტონომიურ რესპუბლიკად (აფხაზეთი, აჭარა). სულ საქართველოში 65 რაიონი, 61 ქალაქი და 4488 სოფელია.

ჩვენს ქვეყანაში ფაქტობრივად დამთავრდა სოციალისტური აგრარული ეკონომიკიდან საბაზრო აგრარულ ეკონომიკაზე გადასვლის ძირითადი ეტაპი. მთლიანად შეიცვალა აგრარული სტრუქტურა, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა პრივატიზაციის პროცესი. ჩამოყალიბდა საადგილმამულო ურთიერთობათა ახალი სისტემა. სოფლის მეურნეობამ, ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთმა ძირითადმა დარგმა დაიწყო ფუნქციონირება სრულიად ახალ, საბაზრო ეკონომიკურ გარემოში და შეიძინა საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა და ნიშნები. ცვლილებები მოხდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განლაგებასა და სპეციალიზაციაში. ფორმირებულია სასურსათო ბაზარი, ხელახლა დაიწყო დარგში ინტეგრაციის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესი, აგროსექტორში ვითარდება მეწარმეობა და აგრობიზნესი. შეიქმნა სასურველი პირობები საკუთრების მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა თანაბარუფლებიანი ფუნქციონირებისათვის, შექმნილია კონკურენციის პირობები და სხვ. მაგრამ აგრარულ სექტორში არსებული შედეგები მიუთითებენ, რომ ის ჯერ კიდევ კრიზისულ მდგომარეობაშია.

ამჟამად საქართველოს ეკონომიკა მძიმე კრიზისის მდგომარეობაშია. განსაკუთრებით მწვავე კრიზისი იგრძნობა სურსათის წარმოების საქმეში. ეს, პირველ რიგში გამოწვეულია იმით, რომ შეწყვეტილია პროდუქციის წარმოება, როგორც სოფლის მეურნეობაში, ასევე მრეწველობაში, რაც მძიმე მდგომარეობაში აყენებს, როგორც მთლიანად ქვეყნის ეკონომიკას, ისე რეგიონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკას. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელად საჭიროა

ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს კრიზისიდან თავის დაღწევას.

ქვეყანაში ეროვნული ეკონომიკის დაახლოებით 17% პირდაპირაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის სექტორზე, საშუალო მოსავლიანობა პოტენციურის მხოლოდ 1/3-ს შეადგენს. სახნავ-სათესი ფართობების დაახლოებით 1/3 არ გამოიყენება წარმოებაში.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტი 2016 წლის მონაცემებით 34%-ით სჭარბობს ექსპორტს. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 54%, იგივე მაჩვენებელი 1990 წელს მხოლოდ 25 %-ს შეადგენდა. [საქართველოს...,2016]

აღნიშნულიდან გამომდინარე, ძალზე აქტუალურია ქვეყნის აგრარულ სექტორში საბაზრო მექანიზმის რიგი თეორიული და პრაქტიკული მიდგომების, მეთოდების გამოყენების, მიზანშეწონილობის, მეცნიერული დასაბუთებულობის და ჩამოყალიბებული ეკონომიკური მოდელის ფუნქციონირების კრიტიკული ანალიზი და შეფასება. სპეციალური კვლევის ჩატარება ისეთი წინადადებებისა და ღონისძიებების დამუშავებისათვის, რომელთა პრაქტიკული დანერგვა ხელს შეუწყობს ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებების აღმოფხვრას და წარმოშობილი პრობლემების დადებითად გადაწყვეტას, რითაც უფრო დაიხვეწება და სრულყოფილი გახდება აგრარული რეფორმის განხორციელების თანამედროვე ეტაპზე არსებული მოდელი.

სასურსათო პროდუქციის წარმოება ადამიანის მიზანდასახული საქმიანობის უძველესი ფორმაა. თანამედროვე პირობებშიც კი ამ პრობლემის დაძლევა მოითხოვს მსოფლიოს მთელი მოსახლეობის ერთობლივ ძალისხმევას. მასობრივი შიმშილობა, რომელიც ზოგჯერ გლობალურ ხასიათს იღებს, ძვირად უჯდება კაცობრიობას. იგი ხშირად გადაიზრდება მწვავე სოციალურ კონფლიქტებში, რაც მოსახლეობის სხვადასხვა ფენების დაპირისპირებას იწვევს.

სასურსათო პრობლემების ანალიზისა და არსის გარკვევისას გასათვალისწინებელია, როგორც ტექნიკური, ბიოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური, ისე პოლიტიკური ფაქტორები. საზოგადოების უზრუნველყოფას საკვები პროდუქტებით საბოლოო ჯამში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა განსაზღვრავს. ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის საერთო-ეკონომიკურ განვითარებაზე, მომსახურებისა და სარეალიზაციო ქსელის სწორ ორგანიზაციასა და სხვა ფაქტორებზე.

კრიზისი სოფლის მეურნეობაში და მისი წარმოების ვარდნა მძიმე დარტყმას აყენებს მთელს ეკონომიკას, ვინაიდან ამას ბუნებრივი რესურსების დანაკარგებამდე მივყავართ და ამ დანაკარგების ანაზღაურება ქვეყანას სურსათის იმპორტით უხდება. ამიტომ ენიჭება დიდი მნიშვნელობა, როგორც მსოფლიოს, ისე საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების პრობლემების გამოვლენასა და პერსპექტივების დასახვას.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ხშირ შემთხვევაში არ იწარმოება პროდუქცია იმ რაოდენობით, რომ სოფელში დარჩენილმა მოსახლეობის უმცირესმა ნაწილმაც კი დაიკმაყოფილოს აუცილებელი მოთხოვნები. მეტად სავალალო მდგომარეობა შეიქმნა სასურსათო პროდუქტებით მომარაგების საქმეში. ყველაზე დიდ უბედურებას წარმოადგენს ის, რომ მოხდა გლეხის გაუცხოება მიწასთან. გამოსავალი რომ მოიძებნოს, უნდა განვითარდეს სოფლის მეურნეობა და დაინერგოს ახალი ტექნოლოგიები.

ამჟამად საქართველოში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 54%-ზე მეტი. ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ეს მონაცემები პრაქტიკულად უცვლელი რჩება, თუმცა მცირდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა და მისი წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში. 1996 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 33%-ზე მეტს

შეადგენდა, დღეისათვის კი იგი ოთხჯერ შემცირდა და 9,3%-ს არ აღემატება და ის შიდა ბაზრის მოთხოვნის მხოლოდ 14%-ს უზრუნველყოფს. **(დიაგრამა 1.1)**

**დიაგრამა 1.1**

**მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა**




**წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017**

ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ მიწის ეკონომიკური ნაყოფიერების არასრულად გამოყენების შედეგად ვერ ხდება მიწაზე კერძო საკუთრების პოტენციურ შესაძლებლობათა რეალიზაცია, რის შედეგადაც პროდუქციის წარმოება მცირდება, ხოლო საქონლიანობის დონე ეცემა. სპეციალისტების გაანგარიშებით, მიწის ეფექტიანობის შესაძლებლობანი საქართველოში მესამედიც არ არის დღეს გამოყენებული, ეს კი ცხადია, აგრარული სექტორის განვითარებას სერიოზულად აფერხებს.

საქართველოში აგრარული სექტორი მრავალი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დგას. პროდუქტიულობა ძალზე დაბალია. ქვეყანაში სიღარიბის ხანგრძლივი, მაღალი დონის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია საქართველოს სოფლის მეურნეობის

მოდერნიზების კრახი. სავარგულების საერთო რაოდენობა 42%-ით შემცირდა. (დიაგრამა 1. 2)

**დიაგრამა 1. 2**




**წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2016**

სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის თითქმის შეუცვლელი მდგომარეობა მშპ-ში (იხ. ცხრილი 1.1) რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული: მიწების დანაწევრება, ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემის ნაკლებობა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მაღალი ღირებულება და ძვირი ფინანსური რესურსები, თანამედროვე მექანიზაციის მომსახურების ნაკლებობა, ბაზრებზე ცუდი ხელმისაწვდომობა და ზოგადად დეგრადირებული სასოფლო ინფრასტრუქტურა.

**ცხრილი 1.1**

**სოფლის მეურნეობის წილის დინამიკა**

**მშპ-ში** (პროცენტობით)

| | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017** |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოფლის მეურნეობა | 8.6 | 8.4 | 9.3 | 9.2 | 9.3 | 8.9 |

წყარო: შედგენილია საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით

** მონაცემი არ არის წლიური

სოფელი სერიოზულადაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობისაგან მიღებულ საარსებო წყაროებზე. ქვეყანა მეტწილად იმპორტზეა დამოკიდებული. სექტორის წინაშე რამდენიმე ძირითადი პრობლემა დგას: ინვესტიციების სიმცირე, კრედიტებზე შეზღუდული მისაწვდომობა (სექტორზე მთელი სესხების მხოლოდ 1% მოდის), სოფლის მეურნეობაში სათანადო კვლევითი, საგანმანათლებლო და სასწავლო სისტემის ნაკლებობა, საირიგაციო სისტემების და სხვა ინფრასტრუქტურის სავალალო მდგომარეობა.

ბოლო წლების მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების რაოდენობრივი მაჩვენებლების განხილვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა ძირითადად ექსტენსიური გზით, მაღალი რისკის პირობებში ხორციელდება, ხოლო რაც შეეხება მელიორაციას, ქიმიზაციას და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის სხვა ფაქტორებს, ისინი ჯერ-ჯერობით მხოლოდ მინიმალური დონით გამოიყენება, ამიტომ არის, რომ მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა ქვეყანაში დაბალია. **(დანართი 2)**

,,მიწის პრივატიზაციის მიუხედავად საწარმოო ინფრასტრუქტურის მოუგვარებლობამ სოფლად უკუპროცესი გამოიწვია. ბოლო პერიოდში ინტენსიურად დაიწყო სოფლის მოსახლეობის ქალაქში გადინება, რაც თავისთავად უარყოფითად აისახა ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. აუცილებელია გატარდეს რიგი

ღონისძიებებისა, რომელიც ხელს შეუწყობს ამ პროცესის მეტ-ნაკლებად შეჩერებას“. (გოგოხია, 1992:176)

უმთავრესი ფაქტორი, რაც ხელს შეუწყობს აგრარულ სექტორში არსებული კრიზისის დაძლევას ისაა, რომ სწორად განხორციელდეს დარგში რეფორმები, მიზნობრივად დაიხარჯოს სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი ფინანსები.

ვფიქრობთ, მიზნობრივი ბიუჯეტური დაფინანსებები სოფლის მეურნეობაში უმჯობესი იქნება პირველ რიგში გამოყენებული იქნას ნიადაგის პროდუქტიულობის ასამაღლებლად, მელიორაციისათვის, ინფრასტრუქტურისათვის, ასევე აუცილებელია წარმოებულ იქნას მაღალკონკურენტული, მყარი მოთხოვნის მქონე საქონელი.

## 1.2 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გეოგრაფიული, ბუნებრივი და ეკოლოგიური გარემო

ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს როგორც ცალკეულ რეგიონებს, ასევე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას. მისი გეოგრაფიულ-ტერიტორიული მდებარეობა, ძლიერი დანაწევრებული რელიეფი, სიმაღლეთა დიდი ამპლიტუდა, კლიმატის, ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნება და ამით გამოწვეული ბუნებრივი პირობების განსაკუთრებული სიჭრელე განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების არსებობის შესაძლებლობას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნება განპირობებულია შავი ზღვის სიახლოვით, ტერიტორიის რთული ორთოგრაფიით და გეოგრაფიული განედით. აჭარის არ-ას საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი უჭირავს. მისი ფართობი 2,9 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს, საიდანაც დაბლობზე მოდის მთლიანი ტერიტორიის - 1,7 %, მთის წინეთზე -

0,8%, მთაზე - 97,0 %. ტერიტორია საშუალო და მაღალმთიანეთის, მთა-ტყისა და ტენიანი სუბტროპიკული ლანდშაფტური კატეგორიების რთული კომპლექსია, რომელთაც, მართალია ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი აქვთ, მაგრამ ამავე დროს თითოეული მათგანი თვითმყოფადი და მკაცრად ინდივიდუალურია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი რელიეფით ხასიათდება. მისი ზედაპირის უმეტესი ნაწილი მთებსა და ღრმა ხეობებს უჭირავს, დანარჩენი კი ზღვის სანაპირო დაბლობს.

ჰავა ძალზე თავისებურია. აქ ვხვდებით ჰავის მრავალფეროვან ტიპებს, დაწყებული ნოტიო სუბტროპიკულით და დამთავრებული მთის ალპურით, რაც განპირობებულია ტერიტორიის სამხრეთული მდებარეობით, შავი ზღვის გავლენით, რელიეფის ხასიათით და ჰაერის მასების ზოგადი ცირკულაციით. მთების განლაგება და სიმაღლე ხელს უწყობს ჰავის ნაირსახეობათა ჩამოყალიბებას და მთების სიმაღლის მიხედვით ჰავის კანონზომიერ ცვლას. მთები აკავებენ ზღვიდან მონაბერ ტენიანი ჰაერის მასებს და ხელს უწყობენ ატმოსფერული ნალექების გამოყოფას. ამით აიხსნება, რომ აჭარაში ჩაქვის და მთა მტირალას მიდამოებში შავი ზღვის აუზის მიმდებარე რეგიონებთან შედარებით ყველაზე მეტი (4000 მილიმეტრი წელიწადში) ნალექი მოდის, რის გამოც ამ ადგილს ხშირად ,,ნალექების პოლუსსაც“ უწოდებენ. უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის კლიმატის თავისებურებაზე დიდ გავლენას ახდენს შავი ზღვა. ის წარმოადგენს სითბოსა და ტენის წყაროს. შავი ზღვა სრუტეების საშუალებით დაკავშირებულია ხმელთაშუა ზღვასთან, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება ატლანტის ოკეანეს, რაც უზრუნველყოფს თბილი წყლების შემოსვლას.

ყოველწლიური საშუალო ტემპერატურა ბათუმში ზღვის ზედაპირზე შეადგენს 16,5°-ს, ზღვა ხმელეთთან შედარებით ოთხჯერ უფრო გვიან თბება ან ცივდება. ამის გამო არის, რომ ზღვისპირას გაზაფხულზე სიცივეა. აჭარის ზღვისპირეთი ხასიათდება ტენიანი სუბტროპიკული კლიმატით. ჰავის აგრონომიული შეფასებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ჰაერის ტემპერატურას და ნალექების

ჯამს სავეგეტაციო პერიოდში. სუბტროპიკული ზონის მნიშვნელოვანი უპირატესობაა ღია გრუნტში მრავალწლიანი სუბტროპიკული მცენარეების გამრავლების შესაძლებლობა. [**Селянинов, 2009**]

როგორც კლიმატოლოგები მიიჩნევენ, შავი ზღვის სანაპიროზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, კერძოდ ბათუმი თბილ რაიონს წარმოადგენს, სადაც ზამთრის ჰაერის საშუალო ტემპერატურა მერყეობს 6-9°C- ს, ხოლო ზაფხულში 20-23° C -ის ფარგლებში. ჰაერის ტენიანობა წლის განმავლობაში საშუალოდ შეადგენს 80%-ს, ხოლო ცალკეულ თვეებში 82-84%-ს. აჭარის ზღვისპირეთში ქარები ძირითადად მუსონური ხასიათისაა და მათი საშუალო სიჩქარე 2,5 მ/წმ.-ს არ აღემატება. ძლიერი გრიგალური ქარები აქ იშვიათობას წარმოადგენს მცენარეთა ყვავილობისა და მსხმოიარობის პერიოდისათვის (მარტი-სექტემბერი).

ქარის საშუალო სიჩქარის ზეგავლენა მცენარეებზე (2,1-2,3 მ/წმ) არ არის საზიანო, რაც საფუძველს უქმნის მაღალ მოსავლიანობას და მეტად ხელსაყრელია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ძირითადი დარგების განვითარებისათვის. ბათუმის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის მონაცემებით, უკანასკნელ 15 წელიწადში გახანგრძლივებული თქეშისებური წვიმები უდიდესი რაოდენობით მოდის უმეტესად ზღვისპირა ნაწილში და შეადგენს 110 მილიმეტრს.

ნალექი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზღვისპირა ნაწილში ყველაზე მეტი მოდის ჩაქვში - მთა მტირალას მონაკვეთში და ბათუმში, სადაც ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს 2500-დან 3900 მილიმეტრამდე. დადგენილია, რომ დღე-ღამის განმავლობაში მოსული 30 მილიმეტრის რაოდენობის ნალექები ქმნიან ეროზიის საშიშ სიტუაციას. [**ჭითანავა, 1993**]

მთიან რეგიონებში წლის მანძილზე ნალექების რაოდენობა არათანაბრადაა განაწილებული. ცალკეულ წლებში მოსული ნალექების საერთო რაოდენობასა და მათ ინტენსივობაში ადგილი აქვს გარკვეულ გადახრებს. ასე მაგალითად, 2015 წელს ქედაში

მოვიდა 2102 მილიმეტრი ნალექი, ხოლო 1992 წელს კი იყო 2174 მილიმეტრი, რაც მრავალწლიურ საშუალოს ზევრად ჭარბობს.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უჭირავს 2900 კვ. კმ. სადაც ძირითადად არის შემდეგი ტიპის ნიადაგები: ზღვისპირა გორაკბორცვიან ზონაში - წითელმიწა ნიადაგები; მთა-ტყეთა ზონაში - ყვითელმიწა, ყომრალი ნიადაგები; ალპურ ზონაში - მთამდელოს კორდიანი ნიადაგები. ზღვის დონიდან 500-600 მეტრზე იწყება ყომრალი ნიადაგების ზონა, რომელიც ზღვის დონიდან 1800-2000 მეტრამდე აღწევს. ყომრალი ნიადაგები ხასიათდება საშუალო სისქით, თიხნარი ან თიხიანი მექანიკური შემადგენლობით, ხირხტიანობით, უხეში ჰუმუსის მაღალი შემცველობით. წითელმიწა ნიადაგები უმთავრესად გავრცელებულია დასავლეთ სუბტროპიკულ ტენიან ზონაში. ტიპიური წითელმიწა ნიადაგი გამოირჩევა ღრმა პროფილით, რომლის აკუმულაციურ-ალუვიური ჰორიზონტის სისქე ეროზიის დონის მიხედვით მერყეობს 20-25 სმ. ფარგლებში, სიღრმეში თანდათან გადადის გამოფიტვის ქერქები, მისი სისქე ჩაქვი-ციხისძირის მიდამოებში ზოგჯერ 740 სმ. აღწევს. [**ციკოლია, 2000**]

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა დაყოფილია ხუთ მუნიციპალიტეტად: ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი და ხულო. თითოეულ მუნიციპალიტეტს გააჩნია მუნიციპალიტეტის სოციალურ - ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა 2012-2022 წწ. რომელიც შემუშავებულია ა(ა)იპ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი ,,ინტელექტის“ მიერ პროექტის - ,,აჭარის რეგიონში თვითმმართველი ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

აჭარის არ-ში სოფლის მეურნეობას ძირითადი მაპროფილებელი პროდუქციის სახეებში 40% უჭირავს. სოფლის მეუნეობის პროდუქციის სახეებია: ხორცი, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, მატყლი, ბოსტნეული, მარცვლეული, თაფლი და სხვა. სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების მაჩვენებლის ანალიზით დგინდება, რომ

მნიშვნელოვანი წინსვლა ამ მიმართებით არ არის, ხოლო რიგ შემთხვევებში მაჩვენებელი კლებადობით ხასიათდება. ( ცხრილი 1.2.1).

ცხრილი 1.2.1

სოფლის მეურნეობის პროდუქციის დინამიკა

| დასახელება | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლობიო (ათასი ტ.) | 2.1 | 0.5 | 0.4 | 0.4 | 0.5 | 0.4 | 0.4 | 0.4 |
| კარტოფილი (ათასი ტ.) | 31.6 | 16.7 | 11.6 | 9 | 13.6 | 11.7 | 18.1 | 12.1 |
| ხილი (ათასი ტ.) | 12.7 | 8.2 | 5.7 | 8.5 | 12.1 | 14.4 | 11.6 | 14 |
| ციტრუსი (ათასი ტ.) | 32.6 | 78.3 | 24.3 | 44.8 | 51.9 | 84.6 | 51.4 | 65.3 |
| ჩაი (ათასი ტ.) | 0.5 | 0 | 1 | 0.7 | 1.1 | 1.1 | 0.2 | 0.9 |
| რძე (ათასი ლ.) | 49.7 | 37.9 | 30.4 | 29.8 | 35.2 | 35.3 | 43.7 | 36.5 |
| მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (ათასი სული) | 87.7 | 87.5 | 79.3 | 87.7 | 86.1 | 86.7 | 95 | 86.1 |
| ფუტკრის ოჯახი (ათასი) | 9.1 | 21.2 | 37.4 | 49.3 | 55.2 | 61.9 | 56.1 | 40.3 |

წყარო: შედგენილია საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით

დარგობრივ სტრუქტურაში მრეწველობას 36%-ით მეორე ადგილი უჭირავს. ამ სფეროს ძირითადი მიმართულებებია: სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება, ფრინველის ხორცისა და კვერცხის წარმოება, პურ-ფუნთუშეულის წარმოება, მომპოვებელ-გადამამუშავებელი წარმოება (სამშენებლო მასალები), ალკო-ჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების წარმოება და სხვ. ყველა დანარჩენ სფეროებს

(მშენებლობა, ვაჭრობა, სასტუმრო და რესტორნები, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და სხვა) - 24%-იანი სეგმენტი უჭირავს.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცირეა მოქმედი სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებები და მეწარმე სუბიექტები, რომელთა რიცხვი 2017 წლის 30 ივნისის მონაცემებით შეადგენდა 516 მეწარმე სუბიექტს. (იხ. ცხრილი 1.2.2)

**ცხრილი 1.2.2**

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარულ სექტორში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტები (2017 წლის 30 ივნისის მონაცემებით)**

| | მეცხოველეობა | მეფრინველეობა | მევენახეობა | მეფუტკრეობა | თევზსაშენი | მიწათმოქმედება | სანერგე მეურნეობა | სასათბურე მეურნეობა | მეთესლეობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმის რეგიონალური ცენტრი შპს | 8 | 2 | 12 | 28 | 3 | 22 | 4 | 3 | - |
| ი/მ | 11 | 3 | 20 | 50 | 5 | 32 | 6 | 3 | - |
| ქობულეთი შპს | 4 | 2 | 4 | 4 | - | 6 | 2 | 3 | 1 |
| ი/მ | 6 | 10 | 1 | 8 | - | 60 | 5 | 1 | - |
| ხელვაჩაური შპს | 2 | - | 3 | 2 | 2 | 12 | 2 | 2 | - |
| ი/მ | 6 | 1 | 4 | 4 | 3 | 18 | 5 | 7 | - |
| ქედა შპს | 2 | - | 3 | 1 | 1 | 3 | 1 | 1 | - |
| ი/მ | 2 | 1 | 10 | 3 | 2 | 6 | 2 | 2 | - |
| შუახევი შპს | 1 | - | - | 2 | - | 2 | - | - | - |
| ი/მ | 2 | 1 | 2 | 3 | 1 | 5 | - | - | - |
| ხულო შპს | 5 | - | - | 3 | - | 6 | - | 1 | - |
| ი/მ | 9 | 1 | 1 | 9 | 3 | 14 | - | 3 | - |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | | | | | | | | | |
| შპს | 22 | 4 | 22 | 40 | 6 | 51 | 9 | 10 | 1 |
| ი/მ | 36 | 17 | 38 | 77 | 14 | 135 | 18 | 16 | 0 |

წყარო: შედგენილია შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილი მონაცემების საფუძველზე

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ძირითადად გვხვდება ოჯახური მეურნეობის ფორმები, რომელთა ეკონომიკა სუსტია. მცირეა სოფლის მეურნეობის მომსახურე აგროცენტრებისა და სერვისცენტრების რაოდენობა. მათი მასალებითა და ტექნიკით აღჭურვის დონე არადამაკმაყოფილებელია. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მიწების ფრაგმენტაცია.( იხ. დიაგრამა 1.2.1)

**დიაგრამა 1.2.1**




წყარო: „აჭარის ა.რ. მიწის რესურსებისა და ნიადაგების აღწერა, მათი ტიპების დაცვის, ეროზიულობის, დეგრადირებულობისა და მოსავლიანობის ცვლილებების მიხედვით“, 2013 წ.

სოფლის მეურნეობა განვითარებულია ძირითადად ოჯახური მეურნეობების სახით და შესაბამისად ტექნოლოგიური სიახლეები მათ საქმიანობაში არ შეინიშნება ან მოძველებულია. ნედლეულის მიღება, მისი გადამუშავება და დასაწყობება ხდება მოძველებული მეთოდებით. მაგალითად, მემცენარეობაში არ ხორციელდება ხვნა-თესვისა და მოსავლიანობის ამაღლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, ნაკვეთებზე სასუქების შეტანის ნორმირება, აგროვადების დაცვა და სხვა. მეცხოველეობაში ნაკლები ყურადღება ექცევა ნახირის ჯიშობრივ გაუმჯობესებას, რძის ხარისხის ამაღლებასა და მისი რაოდენობის გაზრდას. ასევე არ არის დანერგილი ახალი ტექნოლოგიები პირუტყვის საკვების დამზადებაში, მოვლასა და შენახვაში, რძის მიღების, გადამუშავებისა და შენახვის პროცესში. შესაბამისად, წარმოებული პროდუქციაც ერთფეროვანია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველაზე მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მასში შემავალი ხუთი მუნიციპალიტეტიდან სამი - ქედა, შუახევი და ხულო ძირითადად მაღალმთიან რაიონებს წარმოადგენს, რაც მოითხოვს სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი განსაკუთრებული მიდგომების შემუშავებას.

**ქობულეთის მუნიციპალიტეტი** მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში. იგი მოქცეულია შავ ზღვას, მდინარე ჩოლოქსა და მესხეთის ქედს შორის. მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სამხრეთ-დასავლეთით - ხელვაჩაურის, სამხრეთით - ქედის, სამხრეთ-აღმოსავლეთით - შუახევის მუნიციპალიტეტი. მისი ფართობია 72 000 ჰა, ზღვისპირა ზოლის სიგრძეა 24 კმ. მუნიციპალიტეტის ტერიტორია ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავით ხასიათდება. საშუალო წლიური ტემპერატურა 13.5°C-ია. ნალექების საშუალო რაოდენობა წელიწადში 2 500-3 000 მმ-ს შეადგენს. უხვნალექიანობით გამოირჩევა შემოდგომა და ზამთარი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხშირია ნისლი. ქობულეთის

მუნიციპალიტეტი მდიდარია მდინარეებით. მათგან მნიშვნელოვანია: ჩოლოქი, კინტრიში და ჩაქვისწყალი, რომელთაც გააჩნიათ მრავალი შენაკადი. გაზაფხულზე და შემოდგომაზე მდინარეები წყალდიდობით ხასიათდება, ხოლო წყალმოვარდნა მოსალოდნელია ნებისმიერ სეზონზე. ზღვისპირა დიუნების აღმოსავლეთით გადაჭიმულია ჭარბტენიანი ტერიტორიების ზოლი.

2016 წლის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობა შეადგენს 93 000 კაცს, აქედან ქალაქად ცხოვრობს 21000 კაცი, ხოლო სოფლად - 72 000 კაცი. ადმინისტრაციულ ერთეულში 51 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 48 სოფელი. **[ქობულეთის..., 2016]**

ქობულეთის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მუნიციპალიტეტია, რომელიც ოფიციალური მონაცემებით ფლობს აჭარის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 45%-ს, თუმცა ჩვენმა კვლევამ გვიჩვენა, რომ იგი შეადგენს 27%-ს, რაც მთლიანობაში შეადგენს 19 552 ჰექტარს. მათ შორის 2 229 ჰექტარი სახნავია. ოჯახზე საშუალოდ მოდის 0,96 ჰა დამუშავებაში მყოფი მიწა, მათ შორის 0,11 ჰა სახნავი სავარგულია. სულზე გაანგარიშებით სასოფლო-სამეურნეო სავარგული მოდის 0,21 ჰა, სახნავი 0,02 ჰა.

ამჟამად ადგილობრივი ბოსტნეულით მოსახლეობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი მხოლოდ 10 - 15%-ის ფარგლებშია. მუნიციპალიტეტში განვითარებულია მეციტრუსეობა, მეჩაიეობა. მტკივნეულად აისახება გადამამუშავებელი მრეწველობის განუვითარებლობა ტრადიციული სტრატეგიული მეციტრუსეობისა და მეჩაიეობის დარგებზე. მეციტრუსეობის პროდუქციის ნედლეულის, როგორც ხარისხიანი ნაყოფის სასაქონლო სახით დამუშავების, ისე არასტანდარტული ნაწილის გადამუშავების გზით გამოყენების მოცულობითი მაჩვენებლები მკვეთრად შემცირებულია და ეს ტენდენცია უახლოეს მომავალში სავარაუდოდ არ შეიცვლება. ქობულეთის მუნიციპალიტეტში სეზონურად მოქმედებს ციტრუსოვანთა ნაყოფის დამფასოებელი საამქროები. ჩაქვში - 3, ბობოყვათში - 1, ხუცუბანში - 1, ლეღვაში - 1, ქაქუთში -1. ეს საამქროები მცირე

წარმადობისაა და ტექნიკური აღჭურვილობის დაბალი დონით ხასიათდებიან. არ მოქმედებს არცერთი საწარმო, რომელიც აწარმოებს ნაყოფის თანამედროვე ტექნოლოგიებით დამუშავებას (პარაფინირება, შეფუთვა და ა.შ.), რაც იწვევს ციტრუსოვანთა ნაყოფის ხარისხის შენარჩუნების ვადების შემცირებას. არ არის სამაცივრო და სასაწყობო მეურნეობები. ახლადშექმნილი ციტრუსების გადამამუშავებელი ქარხანა ტექნიკური და ტექნოლოგიური აღჭურვილობის თვალსაზრისით პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს, მაგრამ არ არის საკმარისი ციტრუსის მთლიანად გადამუშავებისათვის. გარდა ამისა მუშაობს არასრული დატვირთვით, რის გამოც არასტანდარტული ნაყოფის უმეტესი ნაწილი გამოუყენებელი რჩება.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში შეიმჩნევა გარკვეული პოზიტიური ძვრები ჩაის გადამმუშავებელ მრეწველობაში, მაგრამ არსებული არასრულადაა გამოყენებული. ამჟამად ფუნქციონირებს სხვადასხვა სიმძლავრის ჩაის ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოები, სოფელ კვირიკეში, დაბა ჩაქვში, ქობულეთში. იწარმოება ძირითადად შავი და მწვანე ჩაი, აგურა ჩაი და ა.შ. გარდა ახალი ბაზრების მოძიებისა და პროდუქციის კონკურენტუნარიანობისა, ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ჩაის ფოთლის დამზადების სირთულე. ჩაის მეწარმე ფირმებს უმეტესად არ აქვთ საკუთარი ჩაის პლანტაციები და შემთხვევით მომწოდებლებზე არიან ორიენტირებულნი. ჩაის წარმოებაში ინვესტიციები ხორციელდება როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური რესურსების გამოყენებით, მაგრამ არასაკმარისი ოდენობით.

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი** მდებარეობს დასავლეთ საქართველოს უკიდურეს სამხრეთ ნაწილში და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის. მისი ფართობია 35 640 ჰა. მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით ესაზღვრება ქობულეთის მუნიციპალიტეტი, აღმოსავლეთით - ქედის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით თურქეთის რესპუბლიკა ესაზღვრება, დასავლეთით - ქალაქი ბათუმი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით აკრავს შავი ზღვა. მუნიციპალიტეტი

სპეციფიკურია თავისი გეოგრაფიული და კლიმატური პირობებით. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ჰავა, ისევე როგორც შავი ზღვის მთელი სანაპირო ზოლისა, წარმოადგენს ნოტიო-სუბტროპიკული ჰავის სახესხვაობას და იგი ჩვეულებრივ გამოირჩევა ტემპერატურის უმნიშვნელო რყევით. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ჰავის სუბტროპიკული ხასიათი განპირობებულია შავ ზღვასთან სიახლოვით. ნალექების უმეტესი ნაწილი უმთავრესად შემოდგომასა და ზამთარში მოდის. ყველაზე მცირე ნალექი კი გაზაფხულსა და ზაფხულში. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობაა 1 500 მმ, ჰავა მიახლოებულია სუბტროპიკულთან. წლის საშუალო ტემპერატურა 12.8°C-ია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის შავი ზღვის აუზის მდინარეები. ჭარბწყლიანობით გამოირჩევა შემდეგი მდინარეები: ჭოროხი, აჭარისწყალი, მაჭახელა, ჭარნალი, ყოროლისწყალი და სხვ. მუნიციპალიტეტის ყველაზე დიდი და წყალუხვი მდინარეა ჭოროხი, რომელიც მდინარე რიონის შემდეგ მეორეა საქართველოს მდინარეებს შორის. მდინარე ჭოროხის სიგრძე მუნიციპალიტეტის ფარგლებში შეადგენს 21კმ-ს.

2016 წლის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 95 600 კაცს. აქედან დაბა მახინჯაურში ცხოვრობს დაახლოებით 4 600 კაცი. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 64 სოფელია. მოსახლეობის სიმჭიდროვეა 268 კაცი/კვ.კმ, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (67კაცი/კვ.კმ) საკმაოდ აღემატება. [**ხელვაჩაურის..., 2016**]

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური სპექტრი დიდწილად სოფლის მეურნეობაზეა დამოკიდებული. ეკონომიკის დანარჩენი დარგები მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ პროფილში ნაკლებადაა გამოკვეთილი.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სასაქონლო პროდუქციის მოცულობა კლებადი ტენდენციით ხასიათდება.. პრაქტიკულად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ ხდება ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება. ბიზნეს სექტორი არც მესაქონლეობის პროდუქციის კომერციულ დამუშავებას ეწევა ადგილზე. სიტუაციას ართულებს ის გარემოებაც, რომ მეორადი წარმოების სექტორი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის არც ერთ მუნიციპალიტეტში არ არის განვითარებული.

ხელვაჩაური მცირემიწიანი მუნიციპალიტეტია, რომელიც ფლობს აჭარის არ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 7 %-ს, რაც მთლიანობაში 5 093 ჰექტარს შეადგენს. სახნავ ფართობს 2 466 ჰექტარი უჭირავს. ოჯახზე საშუალოდ 0,29 ჰექტარი დამუშავებაში მყოფი მიწა მოდის, მათ შორის 0,14 ჰექტარი სახნავი სავარგულია. ერთ სულზე გაანგარიშებით სასოფლო-სამეურნეო სავარგული მოდის 0,08 ჰა, სახნავი 0,03 ჰა.

**ქედის მუნიციპალიტეტი** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის. ადმინისტრაციული ერთეული მდებარეობს მდინარე აჭარისწყლის ხეობაში, ზღვის დონიდან 400-200 მეტრზე. მისი ფართობია 45 200 ჰა. ქედის მუნიციპალიტეტს ესაზღვრება ქობულეთის, ხელვაჩაურის და შუახევის მუნიციპალიტეტები, სამხრეთ ნაწილში კი, შავშეთის ქედზე გადის საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარი. მდინარე აჭარისწყლის ხეობის გასწვრივ ხმელთაშუა ზღვის ტიპის მსგავსი სუბტროპიკული ჰავაა. ადგილის სიმაღლის მატებასთან ერთად ჰავა ზომიერად ნოტიო ხდება, მთების ზედა სარტყლის ზონაში კი შედარებით ცივი ნოტიო ჰავაა გავრცელებული. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საშუალო წლიური ტემპერატურა 12.8°C-ია. წლის ყველაზე ცივი თვის, იანვრის, საშუალო ტემპერატურაა 3.4°C, ხოლო წლის ყველაზე თბილი თვის, ივლისის, საშუალო ტემპერატურა 21.2°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენს 1500 მმ-ს. მიუხედავად უხვნალექიანობისა ზაფხული გვალვიანი იცის. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაედინება მდ. აჭარისწყალი და შენაკადები. ადმინისტრაციულ ერთეულში წყალდიდობა გაზაფხულზე იცის, წყალმცირობა კი - ზამთარში.

2016 წლის მდგომარეობით ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობა შეადგენს 20 500 კაცს, აქედან მუნიციპალურ ცენტრში დასახლებულია დაახლოებით 1600 კაცი, ხოლო სოფლად 18 900 კაცი ცხოვრობს. მუნიციპალიტეტში 64 დასახლებული

პუნქტია. მისი ცენტრია დაბა ქედა. მოსახლეობის სიმჭიდროვეა 45 კაცი/კვ.კმ, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (67 კაცი/კვ.კმ) საკმაოდ ჩამოუვარდება. ქედის მუნიციპალიტეტის შემოსავლებს უზრუნველყოფს მევენახეობა, მეფუტკრეობა, თევზის წარმოება და ტურიზმი. მევენახეობა ისტორიული დარგია.

ქედის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა წამყვანი ეკონომიკური დარგია. ადმინისტრაციულ ერთეულში სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსი არის. უკანასკნელ წლებში მიწების დანაკარგს ადგილი არ ჰქონია.

მუნიციპალიტეტში მემცენარეობა ფართოდაა გავრცელებული. სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან პრიორიტეტულია ვაზი, სხვადასხვა ბოსტნეული და კარტოფილი. უკანასკნელ წლებში პრიორიტეტული კულტურების მოსავლიანობა თითქმის არ შეცვლილა. ადმინისტრაციულ ერთეულში არც ვეგეტაციის პერიოდია შეცვლილი.

ქედის მუნიციპალიტეტში მეცხოველეობა ფართოდ არაა გავრცელებული. 2016 წლის მდგომარეობით, ადმინისტრაციულ ერთეულში 9 515 სული მსხვილფეხა პირუტყვია, რომელთა რაოდენობა მცირდება.

მუნიციპალიტეტში მეცხვარეობა პრიორიტეტული არ არის. ადმინისტრაციულ ერთეულში სულ 45 სული ცხვარია. მათი რაოდენობა მცირდება, ასევე მცირდება მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ხორცპროდუქტიულობა და წველადობა, რაც საკვების ნაკლებობითაა გამოწვეული.

მუნიციპალიტეტის საძოვრებისთვის დადგენილია ძოვების ნორმები, რის მიხედვითაც ერთ ჰექტარზე დასაშვებია ერთი მსხვილფეხა საქონლის ძოვება. სათიბ-საძოვრების მოვლა-შენარჩუნებისთვის ხდება მისი გაწმენდა სარეველებისაგან და გატყევებისაგან დაცვა.[**ქედის..., 2016**]

ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური სპექტრიც ხელვაჩაურის მსგავსად დიდწილად სოფლის მეურნეობაზეა მიბმული. ეკონომიკის დანარჩენი დარგები მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ პროფილში ნაკლებადაა გამოკვეთილი. სხვა

მუნიციპალიტეტებთან შედარებით ქედაში უკეთესადაა განვითარებული მრეწველობა. დარგის გარკვეულ სეგმენტებში მოქმედებს რამდენიმე კომერციული საწარმო, რომლებიც ბაზარზე ფარდობითი უპირატესობით შედარებით სტაბილურად ფუნქციონირებენ. მინერალური წყლების ბაზარზე ფირმა „კოკოტაური“ და თევზის რეწვის მიმართულებით შპს „აკავრეთა“.

ქედა მცირემიწიანი სასოფლო-სამეურნეო მუნიციპალიტეტია, სადაც კონცენტრირებულია აჭარის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 6.9 %, სულ 5 016 ჰექტარი. აქედან სახნავი ფართობი 2 389 ჰექტარია, ოჯახზე საშუალოდ 1,2 ჰექტარი დამუშავებაში მყოფი მიწა მოდის, სახნავი კი 0.59 ჰა, ერთ სულზე გაანგარიშებით სასოფლო-სამეურნეო სავარგული მოდის 0,24 ჰა, სახნავი 0,11 ჰა.

მუნიციპალიტეტი მიწათმოქმედების საკმაოდ რისკიან ზონაშია მოქცეული. გარანტირებული მოსავლის მისაღებად რწყვა აუცილებელია. რწყვისათვის ძირითადად იყენებენ არხოვან (ტრადიციულ) მეთოდს. არსებული სარწყავი არხები საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას. მაღალია ეროზიული პროცესები. შესაბამისად, აქტიურად მიმდინარეობს ნიადაგის ზედა ნაყოფიერი ფენების ჩარეცხვა.

ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელი არც ერთი საწარმო არ ფუნქციონირებს. ქედის მუნიციპალიტეტში მემცენარეობა სოფლის მეურნეობის დარგის ერთ–ერთი ძირითადი მაპროფილებელი მიმართულებაა. დიდი პოტენციალია მევენახეობის განვითარებისათვის, ვინაიდან არის იშვიათი და უნიკალური ჯიშები. ზოგადი ტენდენციით ანალიზურ პერიოდში პრაქტიკულად ყველა კულტურის მიხედვით სახეზე გვაქვს როგორც ნათესი ფართობების, ისე მოსავლიანობის მეტ-ნაკლებად კლებადი ტენდენცია. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ კლების დინამიკა უფრო მაღალი ამპლიტუდით ხასიათება, ვიდრე ეს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებითაა წარმოდგენილი. ეს მეტწილად მოსავლიანობასთან მიმართებაში შეინიშნება. თუმცა ცალკეულ კულტურების ფართობებზეც ვრცელდება.

**შუახევის მუნიციპალიტეტი** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთ–ერთი მაღალმთიანი მუნიციპალიტეტია, რომლის საერთო ფართობია 58 800 ჰა. მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით ესაზღვრება ოზურგეთისა და ჩოხატაურის, დასავლეთით – ქობულეთისა და ქედის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით კი თურქეთის რესპუბლიკა.

შუახევის მუნიციპალიტეტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გამოირჩევა შედარებით ნაკლები ტენიანობით. მუნიციპალიტეტში გაბატონებულია ხმელთაშუა ზღვის ტიპის სუბტროპიკული ჰავა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ცხელი და მშრალი ზაფხული და შედარებით თბილი ზამთარი. საშუალო წლიური ტემპერატურა მუნიციპალიტეტში 9°C-ის ტოლია, იანვარის თვის – 1,3°C და აგვისტოს თვის – 20°C. ნალექების რაოდენობა წლიურად 1050–1800 მმ–ს აღწევს. სიმაღლის მატების შესაბამი-სად ტემპერატურული მონაცემები და ნალექები იცვლება, ყალიბდება ნოტიო ჰავა, ზომიერად ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი, თბილი ზაფხულით.

შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება მდინარე აჭარისწყლის შუა მონაკვეთი და მისი შენაკადები ჭვანისწყალი და ჩირუხისწყალი.

2016 წლის მდგომარეობით შუახევის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 22 900 კაცს. ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შედის 68 სოფელი.

მუნიციპალური ცენტრია დაბა შუახევი. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1კვ.კმ–ზე დაახლოებით 39 კაცია, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს საკმაოდ ჩამოუვარდება.

ადმინისტრაციულ ერთეულში შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს მესაქონლეობა, მეკარტოფილეობა და მეხილეობა. მუნიციპალური ბიუჯეტი ადგილობრივი შემოსავლების და გამოთანაბრებითი ტრანსფერების ჩათვლით შეადგენს 6 600 544 ლარს. ტერიტორიულ ერთეულში მოსახლეობის შემოსავლებს უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობა და ხე-ტყე.

წარსულში მუნიციპალიტეტის ძირითად შემოსავლებს უზრუნველყოფდა სოფლის მეურნეობა, რაც დღესაც რჩება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმის პრიორიტეტად.

შუახევის მუნისიპალიტეტი მცირემიწიანია და ფლობს აჭარის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 20%-ზე ნაკლებს, რაც მთლიანობაში 14 480 ჰექტარს შეადგენს. აქედან სახნავი ფართობი დაახლოებით 1 643 ჰექტარია. ოჯახზე საშუალოდ 3,23 ჰექტარი დამუშავებაში მყოფი მიწა მოდის, მათ შორის 0,36 ჰექტარი სახნავი სავარგულია. ერთ სულზე გაანგარიშებით სასოფლო-სამეურნეო სავარგული მოდის 0,63 ჰა, სახნავი 0,07 ჰა.

სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან პრიორიტეტულია კარტოფილი, რომლის მოსავლიანობაა 12-14 ტ/ჰა-ზე და სიმინდი, რომლის მოსავლიანობა შეადგენს 18-20 ტ/ჰა-ზე. უკანასკნელ წლებში პრიორიტეტული კულტურების მოსავლიანობა არ შეცვლილა.

მუნიციპალიტეტში სახნავი მიწების დაახლოებით 30% საჭიროებს რწყვას, რადგანაც მიუხედავად უხვნალექიანობისა, ზაფხული შედარებით მშრალი იცის. მუნიციპალიტეტში არსებობს სარწყავი სისტემები, თუმცა ისინი საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას. რის გამოც რწყვის პროცესი გართულებულია.

მუნიციპალიტეტი მიწათმოქმედების რისკის ზონაშია მოქცეული. მაღალია ეროზიული პროცესები. შესაბამისად აქტიურად მიმდინარეობს ნიადაგის ზედა ნაყოფიერი ფენების ჩარეცხვა.

ადგილობრივი მოსახლეობის მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა 15 663 სულია, მუნიციპალიტეტში მეცხვარეობასაც მისდევენ. წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა შემცირდა. შესაბამისად ხორცპროდუქტიულობა და წველადობა შემცირებულია.

ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ერთ ჰექტარ სათიბ-საძოვარზე 1,3 მსხვილფეხა საქონელი მოდის, რაც მცირედით აჭარბებს ადგილობრივი საძოვრების

ძოვების ნორმებს. მუნიციპალიტეტის საძოვრებისთვის დადგენილი ნორმით კი, ერთ ჰექტარზე ერთი სული მსხვილფეხა საქონლის ძოვებაა დასაშვები, თუმცა რა ხანგრძლივობით, არ არის ცნობილი. მესაქონლეები სარეველებისგან წმენდენ სათიბ-საძოვრებს, რითაც ხელს უწყობენ მის შენარჩუნებას. [**შუახევის..., 2016**]

შუახევის მუნიციპალიტეტის ეკონომიკა უმეტესწილად სოფლის მეურნეობაზეა დამოკიდებული. ეკონომიკური კვლევებით ვლინდება, რომ მუნიციპალიტეტში კომერციული საქმიანობა დაბალ დონეზეა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პრაქტიკულად არ არის ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი წარმოება. არც მესაქონლეობის პროდუქციის კომერციული დამუშავება ხდება. მეცხოველეობის პროდუქციის გადამუშავებას აწარმოებს მხოლოდ ერთი საწარმო ანგო XXI, რომლის შესაძლებლობები მცირეა. ვითარებას ართულებს ის გარემოებაც, რომ არც ამ მიმართულებით არსებობს საწარმოები აჭარის არ სხვა მუნიციპალიტეტებში.

**ხულოს მუნიციპალიტეტი** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყველაზე მაღალმთიანი მუნიციპალიტეტია. იგი განლაგებულია არსიანისა და მესხეთის ქედების კალთებზე.

მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 71 000 ჰა-ს. მუნიციპალიტეტი მდიდარია ტყის რესურსით, რომელსაც 36 640 ჰა უჭირავს. ხულოს მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩოხატაურის, აღმოსავლეთით – ადიგენის, დასავლეთით – შუახევის მუნიციპალიტეტები. სამხრეთით თურქეთის რესპუბლიკა.

ხულოს მუნიციპალიტეტი მდებარეობს ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ზონაში. ჰავას აქ მკვეთრი სეზონურობა ახასიათებს, ზამთარი ზომიერად ცივია, ხოლო ზაფხული ცხელი და შედარებით მშრალი. მუნიციპალიტეტის დაბალ ნაწილებში საშუალო წლიური ტემპერატურა 10.1°C - ის ტოლია, იანვრის თვეში - 0.9°C, ივნისში კი - 18.6°C. მუნიციპალიტეტის მაღალმთიან ზონაში ტემპერატურა მნიშვნელოვნად დაბალია. ნალექების რაოდენობა წლიურად 1300 მმ–დან (ხულო 1320მმ) 2400-2500მმ–

დე (გოდერძის უღელტეხილი) იცვლება. მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ხანგრძლივი და დიდთოვლიანი ზამთრით.

2016 წლის მდგომარეობით, ხულოს მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსახლეობა შედგენს 35 900 კაცს. მუნიციპალიტეტში 79 დასახლებული პუნქტია, მათ შორისაა ადმინისტარციული ცენტრი დაბა ხულო და 78 სოფელი. მოსახლეობის სიმჭიდროვეა 51 კაცი/კვ.კმ, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (67 კაცი/კვ.კმ) ჩამოუვარდება.

ხულოს მუნიციპალიტეტის შემოსავლებს უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობა (მეკარტოფილეობა, მესაქონლეობა, მეხილეობა) და მცირე ბიზნესი. სოფლის მეურნეობა მუნიციპალიტეტისთვის ისტორიულად წამყვანი დარგია.

ხულოს მუნიციპალიტეტს ეკონომიკური განვითარების გეგმა აქვს, რომლის პრიორიტეტებია სოფლის მეურნეობა და ტურიზმი. სატყეო სექტორი შესაძლებელია გახდეს ეკონომიკური განვითარების საფუძველი ადმინისტრაციულ ერთეულში, თუმცა ეს ასახული არ არის არც ერთ სტრატეგიული განვითარების დოკუმენტში.

ხულოს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა წამყვანი ეკონომიკური დარგია და ფლობს აჭარის არ-ის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 32,6 %-ს, რაც მთლიანობაში 23 700 ჰექტარს შეადგენს. აქედან სახნავი ფართობი 2 463 ჰექტარია. თითოეულ ოჯახზე საშუალოდ 3,16 ჰექტარი დამუშავებაში მყოფი მიწა მოდის, მათ შორის 0,33 ჰექტარი სახნავი სავარგულია. ერთ სულზე გაანგარიშებით სასოფლო-სამეურნეო სავარგული მოდის 0,66 ჰა, სახნავი 0,07 ჰა.

ხეხილის ბაღებს 45 ჰა, ხოლო სათიბ-საძოვარს 19 387 ჰა უკავია. სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან პრიორიტეტულია კარტოფილი, რომლის მოსავლიანობაა 25 ტ/ჰა და სიმინდი, რომლის მოსავლიანობაა 25 ტ/ჰა. უკანასკნელ ათწლეულში პრიორიტეტული კულტურების მოსავლიანობა თითქმის არ შეცვლილა.

მუნიციპალიტეტში მეცხოველეობა ფართოდ გავრცელებული დარგია. სათიბ-საძოვრებს უკავია 19 387 ჰა. 2016 წლის მდგომარეობით, ადგილობრივი მოსახლეობის

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა შეადგენს 39 500 სულს. მეცხვარეობას მუნიციპალიტეტში მოსახლეობის მცირე ნაწილი მისდევს, სულ ადმინისტრაციულ ერთეულში 870 ცხვარია. მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა თითქმის ორჯერ აღემატება საძოვრების რაოდენობას. საძოვრების ერთ ჰექტარზე 2 სული მსხვილფეხა საქონელი მოდის.

მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა უკანასკნელ წლებში 3 500 სულით შემცირდა, ცხვრისა კი - 2 300 სულით. პირუტყვის სულადობის შემცირების მიზეზად სახელდება საკვების ნაკლებობა. საქონლის დანაკარგი გაზრდილია ვეტერინალური მომსახურების ნაკლებობის და გვალვიანობის გამო. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტში საძოვრების მოვლა-შენარჩუნებისათვის მესაქონლეები არანაირ ღონისძიებებს არ მიმართავენ, მათ შორის არც ნაკვეთმონაცვლეობით ძოვებას იყენებენ, საძოვრებისთვის შეფასებული არ არის ძოვების ნორმები, ანუ რამდენი პირუტყვის და რა ხანგრძლივობითაა დასაშვები მათი ძოვება კონკრეტულ საძოვრებზე. [**ხულოს..., 2016**]

ხულოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური სპექტრი ძირითადად სოფლის მეურნეობას ეფუძნება. მუნიციპალიტეტი მიწათმოქმედების რისკის ზონაშია მოქცეული. მოსავლის მისაღებად საჭიროა მორწყვითი ღონისძიებების გატარება. მეწყრული პროცესების საწინააღმდეგოდ აუცილებელია დაშრობითი სამუშაოების ჩატარება. მაღალია ეროზიული პროცესები. შესაბამისად, აქტიურად მიმდინარეობს ნიადაგის ზედა ნაყოფიერი ფენების ჩარეცხვა.

ეკონომიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ პრაქტიკულად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ არის წარმოდგენილი ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება. ადგილზე არ ხორციელდება არც მესაქონლეობის პროდუქციის მიღება-დამუშება. სოფელ დიოკნისში ფუნქციონირებს ერთადერთი რძის გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც შეიქმნა 2015 წელს და აწარმოებს ისეთ პროდუქციას, როგორიცაა: ყველი, კაიმაღი, ნადუღი. საწარმო ორიენტირებულია მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბაზარზე.

## 1.3 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტექნიკურ-ეკონომიკური გარემო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველაზე მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მასში შემავალი ხუთი მუნიციპალიტეტიდან სამი - ქედა, შუახევი და ხულო ძირითადად მაღალმთიან რაიონებს წარმოადგენს, რაც მოითხოვს სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი განსაკუთრებული მიდგომების შემუშავებას.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მიხედვით გათვალისწინებულია 1200 ჰა-მდე ჩაის პლანტაციის აღდგენა-რეაბილიტაცია. ჩაის ფოთლის წარმოება-გადამუშავებას ახორციელებენ შემდეგი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები: ,,აგროფირმა ქობულეთი“, ,,აგროექსპორტი“, ,,აჭარა ინვესტ ჩაი“, ,,ჩაქვის ჩაი 2007“, ,,ემირი“, ,,იაგო", ,,ნაზირი და კომპანია“.

სამომხმარებლო ბაზარს მიეწოდება ჩაის პროდუქციის 5 ახალი ბრენდი: ,,სამაია“, ,,ელიტა“, ,,ბათუმი“, ,,მარადიდი“ და ,,საჩინო“.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ციტრუსოვნებს 5945 ჰექტარი უკავია. ციტრუსის ხვედრითი წილი მემცენარეობის პროდუქციაში 27 %-ს შეადგენს, ხოლო ქვეყნის ფარგლებს გარეთ რეალიზებულ პროდუქციაში - 70%-ს. ციტრუსოვანთა ნაყოფი ექსპორტზე გადის საზღვაო, ავტო და სარკინიგზო ტრანსპორტით. ძირითად საექსპორტო ქვეყნებს წარმოადგენს უკრაინა, მოლდოვეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, სომხეთი, ყაზახეთი და უზბეკეთი.

ციტრუსისა და სხვა ხილის საკონსერვო გადამუშავებას და დახარისხება-დაფასოებას ახორციელებენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები: ,,ხილის კომპანია ნარინჯი“, ,,ციტრო“, ,,ქართული პროდუქტი“, ,,ქართული მანდარინი“ და ,,აგროექსპორტი“.

მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა კენკროვან ხილზე, განსაკუთრებით კულტურულ მოცვზე. ნიადაგურ-კლიმატური პირობები კულტურული მოცვის სამრეწველო პლანტაციების გაშენების საშუალებას იძლევა.

2011 წელს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში სს ,,საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციის" მიერ 6 ჰა ფართობზე მოეწყო კულტურული მოცვის სადედე და სანერგე მეურნეობა, ხოლო შპს ,,სუბტროპიკ ფრუქტის" მიერ 20 ჰა ფართობზე გაშენებული იქნა კულტურული მოცვის სამრეწველო პლანტაცია.

აჭარაში ხორბლის გადამუშავებას აწარმოებს 6 წისქვილკომბინატი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები: ,,იმპერიალი-2000", ,,ორცვა", ,,ნაშ-3" , ,,ბარაქა-2005", ,,სამსუნი", ,,ურეხი".

ყოველწლიურად წისქვილკომბინატები 90 000 ტ-მდე ხორბალს ამუშავებენ (ქვეყნის მასშტაბით მოხმარებული ხორბლის 11.25 %) და 70 000 ტ-მდე უმაღლესი ხარისხის პურის ფქვილი იწარმოება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისათვის წლიურად საჭიროა 29 ათას ტონამდე ხორცპროდუქტები და 173 ათას ტონამდე რძის პროდუქტები, მაგრამ იწარმოება მხოლოდ საშუალოდ 2,5 ათას ტონამდე ხორცი და 55 ათას ტონამდე რძე და რძის პროდუქტები. არსებული დეფიციტის შევსება იმპორტირებული (სომხეთი, უკრაინა, თურქეთი, გერმანია და ავსტრია) პროდუქტით ხდება.

ხორცის, ხორცპროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებელ მსხვილ კომპანიებს მიეკუთვნება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები: ,,ბაქარას ხორცის პროდუქტები", ,,Batumi Meat Combinat", ,,სისტა-ქართული პროდუქტები", ,,ანგო XXI", ,,კახაბერი", ,,ნუსრეთ ჯორჯია" და ,,თემ ენდ იუ".

ფერმერულ მეურნეობებში 119 000 ფრთამდე ფრინველი ირიცხება და წლიურად საშუალოდ 9 330 000 ცალამდე კვერცხი იწარმოება. აჭარის არ მოსახლეობის (400 000

კაცი) წლიური მოთხოვნა ფრინველის კვერცხზე შეადგენს 146 000 000 ცალს, გადახრა მოხმარებასა და წარმოებას შორის შეადგენს - 93,6 %-ს.

ფრინველის ხორცითა და კვერცხით ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება საქართველოს სხვა რეგიონებიდან შემოტანილი და იმპორტირებული პროდუქციის ხარჯზე ხდება. აჭარაში ფუნქციონირებს შპს ,,დიადემას" მეფრინველეობის ფაბრიკა, რომელიც ორიენტირებულია კვერცხის წარმოებაზე.

წყალუხვი მდინარეები იძლევა შესაძლებლობას სათევზე მეურნეობების განვითარებისათვის. დღეისათვის 90 სათევზე მეურნეობაა. წლიურად იწარმოება 700 ტონამდე თევზი. მსხვილ საკალმახე მეურნეობებს მიეკუთვნება: შპს ,,აკავრეთა 2007", შპს ,,ქობრონა", შპს ,,ორაგული 2008".

აჭარის არ-ში 200-მდე მსხვილი და 500-მდე მოყვარული მეფუტკრე ფერმერია, მათ საკუთრებაში ირიცხება 19 000-ზე მეტი ფუტკრის ოჯახი. ყოველწლიურად 400 ტონამდე თაფლი იწარმოება. რეალიზაცია ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე ხორციელდება. ფუნქციონირებს მეფუტკრე ფერმერთა ორი გაერთიანება: გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ასოციაცია ,,მთა-ბარი" და ამხანაგობა ,,მაჭახელა". ,,მთა-ბარი" ემსახურება მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე-ბუფერული ზონის 12 სოფლის 110 მეფუტკრე ფერმერს. გაერთიანებას გააჩნია სკების დამამზადებელი და თაფლის ჩამოსასხმელი საამქროები.

ბოლო წლებში სოკოს პროდუქციაზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზარდა. რეგიონში წარმოებული სოკო ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას, რის გამოც ყოველწლიურად 100 ტონამდე სოკოს იმპორტი ხორციელდება. მწარმოებელი კომპანიებია: ი.მ. ,,მირზა ებრალიძე", შპს ,,ჩოლოქი".

მებოსტნეობა სოფლის მეურნეობის ძირითად დარგს წარმოადგენს. ადგილობრივი წარმოების ბოსტნეულით ვერ ხერხდება მოსახლეობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება, რის გამოც ყოველწლიურად 50 000 ტონამდე ბოსტნეულის (კიტრი,

პომიდორი, კარტოფილი, ბადრიჯანი, ხახვი, ნიორი, წიწაკა და სხვა) იმპორტი ხორციელდება.

ექსპლოატაციაში შევიდა შპს ,,აიკონ ჯგუფი“-სა და შპს ,,V&T აგრო“-ს სასათბურე მეურნეობები. შპს ,,აიკონ ჯფუფი“-ს მიერ სოფელ სალიბაურში 4.5 ჰა-ზე მოეწყო თანამედროვე ტიპის სასათბურე მეურნეობა. წელს კომპანიის მიერ წარმოებული იქნა 600 ტონამდე პომიდორი. კომპანიას დაგეგმილი აქვს დამატებით 3.5 ჰა-ზე სასათბურე მეურნეობის მოწყობა. შპს ,,V&T აგრო“-ს მიერ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. თეთროსანში 1 ჰა-ზე მოეწყო თანამედროვე ტიპის სასათბურე მეურნეობა. კომპანია ძირითადად ორიენტირებულია პომიდორის წარმოებაზე.[**აჭარის..., 2016**]

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა რთული რელიეფური (მთაგორიანი) პირობებითა და მცირე მიწიანობით ხასიათდება, რის გამოც მაღალია მოთხოვნა მცირე მექანიზაციის ტექნიკურ საშუალებებზე, როგორიცაა: მოტობლოკი, მინიტრაქტორი, შემასხურებელი აპარატი, სათიბელა და სხვა. აღნიშნული საშუალებებით უზრუნველყოფას ახორციელებს კომპანია შპს ,,აგროინვესტსერვისი“.(**აჭარის..., 2016)**

აჭარის არ-ში სოფლის მეურნეობას ძირითადი მაპროფილებელი პროდუქციის სახეებში 40% უჭირავს. სოფლის მეუნეობის პროდუქციის ძირითადი სახეებია: ხორცი, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, მატყლი, ბოსტნეული, მარცვლეული, თაფლი და სხვა. სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების მაჩვენებელის ანალიზით დგინდება, რომ მნიშვნელოვანი წინსვლა ამ მიმართებით არ არის, ხოლო რიგ შემთხვევებში მაჩვენებელი კლებადობით ხასიათდება (ცხრ. 1.3.1).

**ცხრილი 1.3.1**

**სასოფლო სამეურნეო პროდუქცია (ათასი ტონა), მსხვლფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა (ათასი სული), ფუტკრის ოჯახი (ათასი)**

| დასახელება | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლობიო | 2.1 | 0.5 | 0.4 | 0.4 | 0.5 | 0.4 | 0.4 | 0.4 |
| კარტოფილი | 31.6 | 16.7 | 11.6 | 9 | 13.6 | 11.7 | 18.1 | 12.1 |
| ხილი | 12.7 | 8.2 | 5.7 | 8.5 | 12.1 | 14.4 | 11.6 | 14 |
| ციტრუსი | 32.6 | 78.3 | 24.3 | 44.8 | 51.9 | 84.6 | 51.4 | 65.3 |
| ჩაი | 0.5 | 0 | 1 | 0.7 | 1.1 | 1.1 | 0.2 | 0.9 |
| რძე | 49.7 | 37.9 | 30.4 | 29.8 | 35.2 | 35.3 | 43.7 | 36.5 |
| მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი | 87.7 | 87.5 | 79.3 | 87.7 | 86.1 | 86.7 | 95 | 86.1 |
| ფუტკრის ოჯახი | 9.1 | 21.2 | 37.4 | 49.3 | 55.2 | 61.9 | 56.1 | 40.3 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017

დარგობრივ სტრუქტურაში მრეწველობას 36%-ით მეორე ადგილი უჭირავს. ამ სფეროს ძირითადი მიმართულებებია: სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება, ფრინველის ხორცისა და კვერცხის წარმოება, პურ-ფუნთუშეულის წარმოება, მომპოვებელ-გადამამუშავებელი წარმოება (საამშენებლო მასალები), ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების წარმოება და სხვა. ყველა დანარჩენ სფეროებს (მშენებლობა, ვაჭრობა, სასტუმრო და რესტორნები, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და სხვა) - 24%-იანი სეგმენტი უჭირავს.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცირეა მოქმედი სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებები და რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტები, რომელთა რიცხვი შეადგენს 516-ს. (ცხრ. 1.3.2)

ცხრილი. 1.3.2

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარულ სექტორში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტები (2017 წლის 30 ივნისის მონაცემებით)**

| | მეცხოველეობა | მეფრინველეობა | მევენახეობა | მეფუტკრეობა | თევზსაშენი | მიწათმოქმედება | სანერგე მეურნეობა | სასათბურე მეურნეობა | მეთესლეობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმის რეგიონალური ცენტრი | | | | | | | | | |
| შპს | 8 | 2 | 12 | 28 | 3 | 22 | 4 | 3 | - |
| ი/მ | 11 | 3 | 20 | 50 | 5 | 32 | 6 | 3 | - |
| ქობულეთი | | | | | | | | | |
| შპს | 4 | 2 | 4 | 4 | - | 6 | 2 | 3 | 1 |
| ი/მ | 6 | 10 | 1 | 8 | - | 60 | 5 | 1 | - |
| ხელვაჩაური | | | | | | | | | |
| შპს | 2 | - | 3 | 2 | 2 | 12 | 2 | 2 | - |
| ი/მ | 6 | 1 | 4 | 4 | 3 | 18 | 5 | 7 | - |
| ქედა | | | | | | | | | |
| შპს | 2 | - | 3 | 1 | 1 | 3 | 1 | 1 | - |
| ი/მ | 2 | 1 | 10 | 3 | 2 | 6 | 2 | 2 | - |
| შუახევი | | | | | | | | | |
| შპს | 1 | - | - | 2 | - | 2 | - | - | - |
| ი/მ | 2 | 1 | 2 | 3 | 1 | 5 | - | - | - |
| ხულო | | | | | | | | | |
| შპს | 5 | - | - | 3 | - | 6 | - | 1 | - |
| ი/მ | 9 | 1 | 1 | 9 | 3 | 14 | - | 3 | - |
| სულ | | | | | | | | | |
| შპს | 22 | 4 | 22 | 40 | 6 | 51 | 9 | 10 | 1 |
| ი/მ | 36 | 17 | 38 | 77 | 14 | 135 | 18 | 16 | 0 |

წყარო: შედგენილია შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილი მონაცემების საფუძველზე, 30 ივნისი, 2017

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ძირითადად გვხვდება ოჯახური მეურნეობის ფორმები, რომელთა ეკონომიკა სუსტია. ძალიან მცირეა სოფლის მეურნეობის მომსახურე აგროცენტრებისა და სერვისცენტრების რაოდენობა. მათი მასალებითა და ტექნიკით აღჭურვის დონე არადამაკმაყოფილებელია. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მიწების ფრაგმენტაცია. (დიაგრამა 1.3.1)

(დიაგრამა 1.3.1)

აჭარის რეგიონში ფიზიკურ პირებზე რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფრაგმენტაციის მაჩვენებელი (ათასი ჰა)




**წყარო: „აჭარის ა.რ. მიწის რესურსებისა და ნიადაგების აღწერა, მათი ტიპების დაცვის, ეროზიულობის, დეგრადირებულობისა და მოსავლიანობის ცვლილებების მიხედვით“, 2013 წ.**

სოფლის მეურნეობა განვითარებულია ძირითადად ოჯახური მეურნეობების სახით და შესაბამისად ტექნოლოგიური სიახლეები მათ საქმიანობაში არ შეინიშნება ან მოძველებულია. ნედლეულის მიღება, მისი გადამუშავება და დასაწყობება ხდება მოძველებული მეთოდებით. მაგალითად, მემცენარეობაში არ ხორციელდება ხვნა-თესვისა და მოსავლიანობის ამაღლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, ნაკვეთებზე სასუქების შეტანის ნორმირება, აგროვადების დაცვა და სხვა. მეცხოველეობაში ნაკლები ყურადღება ექცევა ნახირის ჯიშობრივ გაუმჯობესებას, არ არის დანერგილი ახალი ტექნოლოგიები პირუტყვის საკვების დამზადებაში, მოვლასა და შენახვაში, რძის მიღების, გადამუშავებისა და შენახვის პროცესში. შესაბამისად წარმოებული პროდუქციაც ერთფეროვანია.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევებიდან ვლინდება, რომ მწვავედ დგას საკვლევ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საკითხი, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობა და დანერგვა. იშვიათად იმართება სასოფლო-სამეურნეო გამოფენები, რაც ასევე დადებითად იმოქმედებდა სხვადასხვა ტექნოლოგიური ინოვაციების გავრცელების პროცესზე.

ცალკეული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული კვლევის ანალიზი გვიჩვენებს, რომ რესპოდენტთა უმრავლესობას მიაჩნია სამომავლო პერსპექტივის საგნად აუთვისებელი რესურსების გამოყენება. თუ რა საკითხებზეა საჭირო ყურადღების გამახვილება მუნიციპალიტეტებში, პასუხი ერთგვაროვანია: პროდუქციის რეალიზაცია, ბოსტნეულის გადამუშავება, ხილის გადამუშავება, ხორც-პროდუქტების წარმოება, კრედიტის ხელმისაწვდომობა, ინფორმაციული უზრუნველყოფა. (ცხრ. 1.3.3)

ცხრილი 1.3.3

აჭარის არ აგრარულ სექტორში გადასაჭრელი პრობლემების პრიორიტეტულობა კვლევის შედეგების მიხედვით

| | ქობულეთი % | ხელვაჩაური % | ქედა % | შუახევი % | ხულო % |
|---|---|---|---|---|---|
| პროდუქციის რეალიზაცია | 40 | 30 | 30 | 30 | 30 |
| ხილის გადამუშავება | 10 | 15 | 5 | 5 | 5 |
| ბოსტნეულის გადამუშავება | 10 | 5 | 15 | 5 | 5 |
| ხორც-პროდუქტების წარმოება | 10 | 15 | 20 | 20 | 25 |
| კრედიტები | 15 | 15 | 10 | 20 | 15 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ინფორმაციული უზრუნველყოფა | 15 | 20 | 20 | 20 | 20 |

წყარო: ჩატარებული კვლევის შედეგები

საყურადღებოა, რომ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი ძვრები შეინიშნება ინფორმაციული უზრუნველყოფის თვალსაზრისით. 2017 წლის 31 აგვისტოს ქედაში შეიქმნა ,,აგროპედია". აგროპედია წარმოადგენს აგრო-ბიბლიოთეკას, სადაც მოცემულია ათასამდე სტატია და მასალა სხვადასხვა აგრო ღონისძიებისა თუ სერვისის შესახებ. იგი საპილოტე-სადემონსტრაციო პროექტია.

აგროპედია არის აგრო-საექსტენციო (სწავლება/კონსულტირება) სერვისების გაძლიერებაზე ორიენტირებული სრულიად ინოვაციური მექანიზმი, რომელიც განკუთვნილია ფერმერებისა და სპეციალისტებისათვის და მის მიზანს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის მიმართულებით საჭირო საკონსულტაციო სერვისების წარმოება და საჭირო ინფორმაციასა და რეკომენდაციებზე წვდომის გამარტივება. აღსანიშნავია, რომ ამ სახის მექანიზმით შესაძლებელია საჭირო ინფორმაციის ეფექტური გავრცელება და აგრო-საკონსულტაციო სფეროში არსებული ინფორმაციული ვაკუუმის პრობლემის გადაჭრა, მაქსიმალურად მცირე დანახარჯებით. მეთოდი ინოვაციურია და იგი არ გამოუყენებია არც ერთ სხვა ქვეყანას. აგროპედიას გააჩნია უკუკავშირის მექანიზმი, ანუ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მოითხოვოს და მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია და რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის მიმართულებით.

ტექნიკური თვალსაზრისით სამომავლოდ იგეგმება, აგროპედიის რიცხვის გაზრდა და ისეთი ახალი ფუნქციების დამატება, როგორიცაა ვიდეო-კითხვების დასმის ფუნქცია, დივერსიფიცირებული მართვა და ა. შ. პროექტი განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამის მიერ, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით „სოფლის განვითარების ხელშეწყობა" პროექტის ფარგლებში.

# თავი II. ფერმერული მეურნეობების როლი აგრარული სექტორის განვითარებაში

## 2.1 ფერმერული მეურნეობები, როგორც შესწავლის ობიექტი

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში, ისევე როგორც ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ წარმატებაში, აგრარულ სექტორს მნიშვნელოვანი როლი უკავია. უკანასკნელ პერიოდში აგრარულ სფეროში განხორციელდა რთული ორგანიზაციულ-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების სინთეზი აგრობიზნესის სახით, სადაც წამყვანი ადგილი უჭირავთ კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სხვადასხვა დარგებს, გლეხურ, ფერმერულ მეურნეობებს, კოოპერაციულ გაერთიანებებს.

როგორც ცნობილია, საქართველო ოდითგანვე აგრარული ქვეყანა იყო. მიწათმოქმედება ქართველი კაცის სამეურნეო საქმიანობასთან ერთად ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ ქვის ხანაში. იგი უძველესი დროიდან იწყებს ნედლეულის, მიწის წიაღისეულის მოპოვებას. რკინის დამუშავებას და სამრეწველო საქმიანობას. მაგრამ მთელი მისი მოღვაწეობა მაინც უშუალოდ მიწათმოქმედების განვითარებასთანაა დაკავშირებული. ამის ნათელი მაგალითია ის გზა, რომელიც დღემდე განვლო. შექმნა და მოიტანა ხორბლის, სიმინდის, ვაზის, ხეხილის, პირუტყვის, ფრინველის, ფუტკრის და სხვა მრავალი აბორიგენული და უნიკალური ჯიშები. [**ვაშაკიძე, 2000**]

ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI-IV ს. ს. დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა და განვითარების მაღალ დონეს მიაღწია კოლხეთის სამეფომ. აქ ბარის მოსახლეობა ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევდა. მარცვლეულის გარდა მოჰყავდათ სელი და კანაფი, მისდევდნენ მებაღეობას და მევენახეობას, საკმაოდ განვითარებული იყო მეცხოველეობა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე უკვე III საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა იბერიის დამოუკიდებელი სამეფო, რომელიც მონათმფლობელურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. გლეხი ძირითადად მისდევდა წვრილ კერძო

მეურნეობას. მას ჰქონდა მიწათმოქმედების ინვენტარი, ჰყავდა შინაური (მუშა და პროდუქტიული) პირუტყვი და სხვა. მაგრამ იგი სამეურნეო საქმიანობას ეწეოდა ფეოდალის მიწაზე და ამდენად მისი საქმიანობა მთლიანად დამოკიდებული იყო ფეოდალზე.

XX საუკუნის დასაწყისამდე საქართველო მეფის რუსეთის განაპირა კოლონიალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. სწორედ ამის გამო სოფლის მეურნეობის განვითარება, როგორც რუსეთში ისე საქართველოში, განხორციელდა ე. წ. პრუსიული წესით, რომელიც ითვალისწინებდა იმას, რომ ძალაში ტოვებდა შუასაუკუნეობრივ მიწათმფლობელობას, ბატონყმურ ლატიფუნდიებს (საბეგრო-სამუშაო). ეს გზა კი არ იძლეოდა საწარმოო ძალთა სწრაფი განვითარების საშუალებას, რამდენადაც ძალაში რჩებოდა მშრომელი გლეხობის დაკაბალება. ჩამორჩენილი სამიწათმოქმედო კულტურა.

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების უკიდურესად დაბალი დონის ფონზე სასოფლო-სამეურნეო წარმოება წარმოდგენილი იყო უპირატესად წვრილი, ნახევრად ნატურალური მეურნეობებით, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ შრომის პრიმიტიული საშუალებებით.

თუ რუსეთში 1861 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად სახელმწიფო გლეხები გადაიქცნენ კერძო მფლობელ გლეხებად, ამიერკავკასიის და მათ შორის საქართველოს სახელმწიფო გლეხებზე ეს კანონი არ გავრცელებულა. ისინი 1917 წლის რევოლუციამდე დარჩნენ სახაზინო მიწაზე ანუ რეფორმამდელი რუსეთის სახელმწიფო გლეხების მსგავსად იხდიდნენ სახაზინო მიწებზე საღალო გადასახადს და თემობრივად სარგებლობდნენ. ამავე პერიოდში სასოფლო-სამეურნეო წარმოება წარმოდგენილი იყო ძირითადად გლეხური და მემამულური მეურნეობების სახით. გლეხი, თავისი ოჯახით, ერთგვარ კარჩაკეტილ თვითდაკმაყოფილების პრინციპზე ორიენტირებულ მეურნეობრივ ერთეულს წარმოადგენდა და აქედან გამომდინარე საქართველოში გაბატონებული იყო წვრილი გლეხური მეურნეობა.

იმ პერიოდში ,,საქართველოში სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის უდიდეს ნაწილს აწარმოებდნენ არა დაქირავებული შრომის ექსპლუატაციაზე დამყარებული მსხვილი მემამულური მეურნეობები, არამედ, სწორედ წვრილგლეხური მეურნეობები. ყოველივე ეს განპირობებული იყო იმით, რომ მსხვილ მემამულურ მეურნეობებში გაბატონებული იყო შრომამიგებითი სისტემა, რომლის მიხედვით გლეხები, თავისთავად ცხადია, არ იყვნენ დაინტერესებული შრომის ნაყოფიერების გადიდებით, რადგან ჩვეულებრივად თავიანთი ინვენტარით ამუშავებდნენ მემამულეთა მიწებს. როგორც ირკვევა, მსხვილ მემამულურ მეურნეობას, რომელიც ძირითადად დამოკიდებული იყო წვრილგლეხური მეურნეობის ტექნიკურ შესაძლებლობებზე, არსებითი უპირატესობა არ გააჩნდა". **(ციკოლია, 2000:109)**

საქართველოში ერთ გლეხურ მეურნეობაზე მოდიოდა 2,4 დესეტინა (დესეტინა არის 1, 09 ჰექტარი) ყველა სახის სახმარი მიწა, რომელთაგან სახნავს 1,6 დესეტინა ანუ მთლიანი ფართობის 66,6% ეკავა, მაშინ როცა ერთ მემამულურ მეურნეობაზე მოდიოდა 59,0 დესეტინა ყველა სახის სახმარი მიწა, ხოლო სახნავის ხვედრითი წილი 15,4 დესეტინას ანუ 26,1%-ს შეადგენდა. აქედან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს მიწების უდიდესი ნაწილი მემამულეთა საკუთრებას წარმოადგენდა, ხოლო მრავალრიცხოვანი გლეხობა მიწის ნაკლებობას განიცდიდა.

როგორც გლეხურ, ისე მემამულურ მეურნეობათა სარგებლობაში არსებული მიწის მნიშვნელოვან ნაწილს იჯარით აღებული მიწა წარმოადგენდა. მიწათსარგებლობის ეს ფორმა განსაკუთრებით განვითარდა კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში. არსებობდა იჯარის რამოდენიმე სისტემა: საადგილმამულო, მოკლევადიანი და სხვა. ერთი გლეხური მეურნეობის სარგებლობაში არსებული 3 დესეტინა მიწიდან 0,6 დესეტინა ანუ 20% იჯარით იყო აღებული, ხოლო მემამულური მეურნეობის სარგებლობაში არსებული 62,1 დესეტინა მიწიდან იჯარით მხოლოდ 0,05% ანუ 3,1 დესეტინა იყო აღებული". [**გუგუშვილი, 1984:31**]

აგრარული ურთიერთობების გაუმჯობესების ერთგვარ მცდელობას წარმოადგენ-და 1918-1920 წლებში საქართველოს დამოუკიდებელი მთავრობის მიერ განხორციელე-ბული ღონისძიებები, როდესაც მიღებული იქნა კანონები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განესაზღვრათ მემამულეთა ხელში დასატოვებელი მიწების ნორმა და რა ზომები უნდა მიეღოთ საადგილმამულო რეფორმების გასატარებლად, როგორ უნდა განეხორციელებინათ ჩამოსართმევი სამეურნეო ინვენტარის რეკვიზიცია, თუმცა აღნიშნული კანონები იმ პერიოდში სამწუხაროდ განუხორციელებელი დარჩა.

საბჭოთა ხელისუფლების სამოცდაათწლიანი ბატონობის პერიოდში აგრარულ სფეროში განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად, გლეხი კვლავ უმიწოდ დარჩა. მე-20 საუკუნის 30-იან წლებში კერძო საკუთრების გაუქმება ე. წ. ,,მიწების ნაციონალიზაციის“ ლოზუნგით ძალდატანებით განხორციელდა. დეკრეტით მიწის შესახებ ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე მოისპო მიწაზე კერძო საკუთრება და იგი საერთო-სახალხო საკუთრებად გამოცხადდა. მართალია, მიწა ჩამოერთვა მის მსხვილ მესაკუთრეს - მემამულეს, მაგრამ იგი არა გლეხობის, არამედ, სახელმწიფოს საკუთრება გახდა. შეიქმნა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. კერძო ანუ საკარმიდამო მეურნეობა შეზღუდული იყო მიწის ფართობით, პირუტყვის სულადობით. მიუხედავად ამისა, მას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებში.

საბჭოთა პერიოდში ფერმერული მეურნეობების განვითარებისადმი ეკონომიკური პოლიტიკის გაუმჯობესების ერთგვარ მცდელობას ჰქონდა ადგილი. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 27 აგვისტოს 418 დადგენილება - ,,ბორჯომის, ამბროლაურის, ხარაგაულის, მესტიის, ადიგენის და აჭარის რაიონებში გლეხური მეურნეობების უპირატესი განვითარების შესახებ“, რომელიც რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენების, დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების, მთიან ზონაში მოსახლეობის დაბრუნების, სასოფლო-სამეურნეო

წარმოებაში მათი ჩაბმის და მატერიალური დაინტერესების ამაღლების ღონისძიებებს ითვალისწინებდა. ამ პროცესის განხორციელება 1990 წლიდან დაიწყო.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სალიკვიდაციო კომისიამ დეტალურად აღწერა ამ საწარმოთა განკარგვაში არსებული ქონება. დააზუსტა მათზე რიცხული დავალიანება და განსაზღვრა ძირითადი ქონების ლიკვიდაციით, თუ რა რაოდენობის სესხების და ვალების დაფარვა შეიძლებოდა. ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან შექმნილმა კომისიებმა შეისწავლეს მათზე გადაცემული სავარგულების ვარგისიანობა, ადგილმდებარეობა, ხარისხი, გლეხური მეურნეობების ჩამოყალიბების მსურველთა განცხადებები და განსაზღვრეს ერთ გლეხურ მეურნეობაზე გადასაცემი მიწის სავარგულის და პირუტყვის რაოდენობა. საზოგადოებრივ მეურნეობათა ლიკვიდაციისა და გლეხური მეურნეობების ჩამოყალიბების პროცესში რიგი მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების მიუხედავად ადგილი ჰქონდა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს, რომლებმაც უარყოფითი გავლენა მოახდინეს გლეხურ მეურნეობათა შემდგომ განვითარებაზე. კერძოდ, გლეხური მეურნეობებისათვის მიწაზე გადასახადი დაწესდა სუბიექტური შეხედულებით - მიწის კადასტრის გათვალისწინების გარეშე. საზოგადოებრივ მეურნეობებში არსებული პირუტყვის რეალიზაცია ჯერ კიდევ გლეხური მეურნეობების შექმნამდე დაიწყო, როცა მათი დიდი ნაწილი ყოვლად გაუმართლებელი დაბალი ფასებით მიეყიდა კოოპერატივებს, ხოლო დანარჩენი იჯარით გადაეცა მოსახლეობას. საკრებულოების ბალანსზე გადაცემული მეცხოველეობის შენობა-ნაგებობები პრაქტიკულად არ გამოიყენებოდა. მათი დიდი ნაწილი დაშლილ იქნა და როგორც საშენი მასალა მიეყიდა მოსახლეობას. ამასთან გლეხობამ საზოგადოებრივი მეურნეობებიდან შეძენილი პირუტყვი უფრო მაღალი ფასებით გაყიდა აგრარულ ბაზარზე, რადგან გლეხები მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ, შეენახათ მათზე გადაცემული პირუტყვი. მათ არ გააჩნდათ საჭირო რაოდენობის საკვები, სათავსოები და სხვა. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ აღნიშნულ რაიონებში 1989 წელთან შედარებით 1991 წელს პირუტყვის

სულადობა 16,2% - ით შემცირდა. მოუგვარებელი დარჩა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების, გლეხთა სოციალური დაცვის, მთლიანად სოფლისა და კერძოდ გლეხური მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის და მრავალი სხვა საკითხი.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში ფერმერული მეურნეობები განვითარების საწყის სტადიაში იმყოფებიან. ეს მეურნეობები ჯერჯერობით არ არიან საბაზრო ურთიერთობების სრულყოფილი ნიშნების მატარებელნი. არსებული ბუნებრივ-სამეურნეო პირობების სპეციფიკისა და აგრარული მეურნეობის მრავალსაუკუნოვანი განვითარების მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციების გათვალისწინებით უაღრესად სასარგებლოა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება.

1920-30-იან წლებში ამერიკული ფერმერული შინამეურნეობების სისტემის საერთო კრახმა მიიყვანა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო პირველი ეროვნული სტრატეგიული კომერციული ფერმერული მეურნეობების განვითარების პოლიტიკის ინიციატივასთან. ამ ძალისხმევის ქვაკუთხედს შეადგენდა კომპლექსური საერთო-ეროვნული ფერმერული კოოპერატივების საკრედიტო პროგრამის შემუშავება. სახელმწიფო სექტორში მომუშავე პერსონალით დაკომპლექტდა ეროვნული საკრედიტო ქსელი და მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სესხები ხელმისაწვდომი გახდა მიმზიდველი საპროცენტო განაკვეთით სამეურნეო სექტორისათვის. ფერმერების მიერ თავიანთ მიწებზე ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით შემუშავდა ნიადაგის რესურსების დაცვის ეროვნული პროგრამა. წლების მანძილზე ამ პროგრამის ფინანსური დახმარებით მოხერხდა ნიადაგის მჟავიანობის შემცირება და გამოფიტული ნაყოფიერების აღდგენა კირისა და შერჩეული სასუქების პირდაპირი სუბსიდირების მეშვეობით. ასევე მოხდა საველე დრენაჟის სისტემის ფინანსური დახმარების უზრუნველყოფა. სოფლის ელექტრიფიკაციის პროგრამის მეშვეობით მოხერხდა სუბსიდირებული ელექტროენერგიის მიწოდება ფერმერებისათვის, სოფლების

სარწყავი წყლით მომარაგება. სხვა ადგილებში კი დრენაჟი დამბების, არხების და წყალსაქაჩი სადგურების მეშვეობით განხორციელდა, რაც მდიდარ სასოფლო-სამეურნეო მიწებს ემსახურებოდა.

აღნიშნული ღონისძიებების გატარების შედეგად მათი რაოდენობა 1940 წელს არსებული 6 მილიონიდან 1990 წელს 2 მილიონამდე შემცირდა. მიწის ნაკვეთის საშუალო სიდიდე კი ამავე პერიოდში 175 აკრიდან 461 აკრამდე (1 აკრი=0,40469 ჰა) გაიზარდა. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ფერმერული მეურნეობების ინტენსიფიკაციას და განსაკუთრებით მექანიზაციის დონის ამაღლებას.

ფერმერული მეურნეობების განვითარების ტენდენციებზე ასევე გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის ფერმერული მეურნეობების ფორმირებისა და განვითარების პროცესი მსოფლიოს სხვა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში.

ევროგაერთიანების სტატისტიკური სამსახურის 2015 წლის მონაცემებით, ევროგაერთიანების ქვეყნებში ერთი ფერმერული მეურნეობის სარგებლობაში არსებული სავარგულების საშუალო სიდიდე 17,4 ჰექტარს შეადგენდა, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხვი კი 5%-ს. [**ევროპის..., 2015**]

თუ შევადარებთ საქართველოს აგრარული სექტორისა და ფერმერული მეურნეობების სტრუქტურულ მაჩვენებლებს ამერიკის შეერთებული შტატების და ევროგაეთიანების ქვეყნების მონაცემებს, შემდეგ სურათს მივიღებთ: ამერიკის შეერთებული შტატების ერთი ფერმერული მეურნეობა სურსათით უზრუნველყოფს საშუალოდ 126 მაცხოვრებელს, გერმანიაში საშუალოდ 144 მაცხოვრებელს, ევროგაერთიანების ქვეყნებში საშუალოდ 51-ს, ხოლო საქართველოში კი, თუ დამატებული ღირებულების რეალურ მოცულობას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ აღმოჩნდება, რომ დღევანდელ პირობებში ერთ დასაქმებულს საშუალოდ თავის გამოკვებაც კი არ ძალუძს და რომ არა საქმიანობის სხვა არა აგრარული სახეობები სოფლად შიმშილი დაისადგურებდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი ფერმერული მეურნეობის მიერ გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულის საშუალო სიდიდე 190,2 ჰა-ს შეადგენს, გერმანიაში შესაბამისად - 30,3 ჰა-ს, ევროგაერთიანების ქვეყნებში საშუალოდ-17,4 ჰა-ს, რუსეთში - 42 ჰა-ს შეადგენს, უკრაინაში - 22 ჰა-ს, ყირგიზეთში - 22 ჰა-ს, ყაზახეთში - 44,4 ჰა-ს, ბელორუსიაში - 20 ჰა-ს, უზბეკეთში - 10 ჰა-ს, სომხეთში -1,5 ჰა-ს, აზერბაიჯან- ში - 4 ჰა-ს, ტაჯიკეთში 45 ჰა-ს, თურქმენეთში - 1 ჰა-ს, მოლდავეთში - 3 ჰა-ს, ბალტიის- პირეთის ქვეყნებში - 24,5 ჰა-ს, საქართველოში კი - 1,5 ჰა-ს შეადგენს. (ცხრ. 2.1.1)

ცხრილი 2.1.1

აგრარული სექტორის და ფერმერული მეურნეობების

სტრუქტურული მაჩვენებლები

| | ერთი ფერმერული მეურნეობის მიერ სურსათით უზრუნველყოფა (ერთეული ადამიანი) | ერთი ფერმერული მეურნეობის მიერ გამოყენებული ს.ს. სავარგულის სიდიდე (ჰა.) | სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობა (%) |
|---|---|---|---|
| აშშ | 126 | 190,2 | 1,6 |
| გერმანია | 144 | 30,3 | 2,9 |
| ევროგაერთიანების ქვეყნები | 51 | 17,4 | 5,0 |
| საქართველო | 0 | 1,5 | 54 |

წყარო: შედგენილია ,, ევროპის კავშირის სამეზობლო როგრამა, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში, საქართველო 2015“-ის მონაცემებზე დაყრდნობით.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობა ამერიკის შეერთებულ შტატებში 2,9 მლნ. კაცს შეადგენს, რაც დასაქმებულთა 1,6 %-ია, გერმანიაში - 2,9%-ს, ევროგაერთიანების ქვეყნებში საშუალოდ - 5,0%-ს, ხოლო საქართველოში კი - 54%-ს შეადგენს.

ფერმერული მეურნეობების მიერ გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა ზომების მიხედვით დაჯგუფების მონაცემებით ამერიკის შეერთებულ შტატებში 1-დან 5 ჰა-მდე სავარგულით სარგებლობს ფერმერული მეურნეობების ძალზედ მცირე რაოდენობა - 0.2%, გერმანიაში ფერმერული მეურნეობების - 31,7%, ევროგაერთიანების ქვეყნებში - 56,4 %, საქართველოში კი - 98,4%. 5-დან 50 ჰა-მდე სავარგულით ამერიკის შეერთებული შტატებში სარგებლობს ფერმერული მეურნეობების - 60,4 %, გერმანიაში - 55,7%, ევრო-გაერთიანების ქვეყნებში - 35,7 %, საქართველოში კი - 1,5%. 50 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგულით ა.შ.შ.-ში სარგებლობს ფერმერული მეურნეობათა - 39,4 %, გერმანიაში - 12,6 %, ევროგაერთია-ნების ქვეყნებში საშუალოდ - 7,9%, ხოლო საქართველოში კი მხოლოდ - 0,1% (ცხრ. 2.1.2)

**ცხრილი 2.1.2**

**ფერმერული მეურნეობების მონაცემები**
**სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიხედვით**

| | 1-დან 5ჰა-მდე (%) | 5-დან 50 ჰა-მდე (%) | 50 ჰა ზემოთ (%) |
|---|---|---|---|
| აშშ | 0.2 | 60,4 | 39,4 |
| გერმანია | 31,7 | 55,7 | 12,6 |
| ევროგაერთიანების ქვეყნები | 56,4 | 35,7 | 7,9 |
| საქართველო | 98,4 | 1,5 | 0,1 |

წყარო: შედგენილია „ ევროპის კავშირის სამეზობლო პროგრამა, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში, საქართველო 2015“-ის მონაცემების საფუძველზე.

ანალიზის საფუძველზე, შედარების და ,,თანაბარი პირობების დაშვების" მეთოდების გამოყენებით იკვეთება საქართველოს ფერმერულ მეურნეობების სტრუქტურული სრულყოფის მიმართულებები: ფერმერული მეურნეობების ოპტიმალურ რიცხოვნობად საქართველოში საორიენტაციოდ მიჩნეული იქნეს 115 ათასი ერთეული - ნაცვლად 651392 ფერმერულ-გლეხურ მეურნეობათა რიცხვისა, რომლებიც ფლობენ მიწებს 2017 წლის 1 იანვრის მონაცემებით. **(დანართი 5)**

ჩვენი მოსაზრებით, ფერმერული მეურნეობების რიცხოვნობა, მათი შემდგომ განვითარებასთან და გამსხვილებასთან ერთად, საშუალოდ 6-ჯერ მაინც უნდა შემცირდეს. რა თქმა უნდა, ეს ციფრი პირობითია და მისი ჩამოყალიბება საბოლოო ინდიკატორულ მაჩვენებლად მხოლოდ საქართველოს ბუნებრივი პირობების დეტალურად გაანალიზების შემდეგაა შესაძლებელი. მეურნეობების გამსხვილების პროცესი მაქსიმალურად უნდა განხორციელდეს ისეთ რაიონებში, სადაც ამისათვის შესაბამისი ბუნებრივი პირობებია, შუა ბარებში და მდინარისპირა ველებზე, სადაც თავმოყრილია ქვეყნის სახნავი მიწების და მრავალწლიანი ნარგავების 80%-ზე მეტი.

თუ ორიენტირად ისევ ევროგაერთიანების ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებს ავიღებთ, სადაც 1-დან 5 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო სავარგულით სარგებლობს ფერმერული მეურნეობების 56,4%, ამ მაჩვენებლის შესაბამისად, ჩვენს მიერ განხორციელებული გაანგარიშებებით, საქართველოში 1-დან 5 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო სავარგულით საორიენტაციოდ უნდა სარგებლობდეს საშუალოდ 64 860 მეურნეობა, ნაცვლად 651392-სა. ე.ი. მათი რიცხვი უნდა შემცირდეს 11-ჯერ, ხოლო 5-დან 50 ჰა-მდე სავარგულით საორიენტაციოდ უნდა სარგებლობდეს საშუალოდ 40365 მეურნეობა, მეურნეობების 35,1 % ნაცვლად 10112-სა, ე.ი. ასეთი მეურნეობების რიცხვი უნდა გაიზარდოს საშუალოდ 4-ჯერ, ხოლო 50 ჰა-ზე მეტი სავარგულით საორიენტაციოდ უნდა სარგებლობდეს საშუალოდ 9 085 ფერმერული მეურნეობა, მეურნეობის 7,9%, ნაცვლად დღევანდელი - 0,1%-ისა. ეს უნდა მოხდეს ფერმერების კოოპერატივებად გაერთიანების საფუძველზე.

ამჟამად საქართველოში ბევრია ისეთი სასოფლო-სამეურნეო საწარმო, რომელიც არსით ფაქტობრივად ფერმერული მეურნეობაა, მაგრამ იმის გამო, რომ სათანადო იურიდიული ბაზა არ არსებობს, მოქცეულია გაურკვეველ ჩარჩოებში და ისე ახორციელებს თავის საქმიანობას. ეს მაშინ, როცა ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნებში სოფლის მეურნეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფერმერული მეურნეობები გამიჯნულია როგორც ერთმანეთისაგან, ისე ყველაფრისაგან და მთელი რიგი შეღავათებით სარგებლობენ, რის გამოც ხშირად სხვა დარგის საწარმოები თავისი კაპიტალის ნაწილს სოფლის მეურნეობაში, სწორედ ზემოთ აღნიშნული შეღავათებით სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით აბანდებენ.

ამჟამად ფერმერული მეურნეობების განვითარებისათვის სათანადო იურიდიული ბაზის შექმნას და მის საფუძველზე აგრარული სფეროს განვითარებას ესაჭიროება სერიოზული მიხედვა და სახელმწიფო დონეზე გადაწყვეტა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამა თუ იმ დასახელებით და ფორმით ფუნქციონირებადი ბევრი სასოფლო-სამეურნეო საწარმო შეწყვეტს არსებობას, რაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის სოფლად მეწარმეობის განვითარებას. განხორციელებული რეფორმები ქვეყანაში ფერმერული მეურნეობების შექმნისა და განვითარების საფუძველი გახდა, მაგრამ მათი ფორმირება მოხდა სტიქიურად არამიზნობრივად, ისინი დღეს თავიანთ პოტენციურ შესაძლებლობებს ვერ ავლენენ, მიუხედავად ამისა, გატარებული რეფორმების შედეგია ის, რომ 2013 წლის ივლისში მიღებულ იქნა კანონი ,,სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ და დღეს ეკონომიკურ რუქაზე გაჩნდა საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ახალი მეწარმე სუბიექტი, სოფლად ჩამოყალიბდა კერძო მეწარმეთა და საქონელმწარმოებელთა ახალი ფენა - ფერმერები, სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ყალიბდება კოოპერაცია, იქმნება ახალი ფერმერული სტრუქტურები. ხოლო მათი წარმატებული ფუნქციონირებისათვის საჭიროა ოპტიმალური სიდიდის საწარმოებამდე იქნან ფორმირებულნი.

თანამედროვე ეტაპზე არა მარტო პრაქტიკაში, არამედ აგრარულ-ეკონომიკურ მეცნიერებაშიც ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ განსაზღვრული გლეხური, ფერმერული მეურნეობების, როგორც სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციის ერთ - ერთი ყველაზე მასობრივი ფორმის არსი.

აშშ-ში სოფლის პირობებში ფუნქციონირებად მეურნეობას უწოდებენ ,,Farm", რომელიც გულისხმობს მიწის ნაკვეთს მასზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ობიექტებით, სადაც ხორციელდება მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება. ,,Farm"-ის პირდაპირი ქართული თარგმანია ,,ფერმა". სწორედ მათი დასახელებიდან გამომდინარე ამერიკაში ამ მეურნეობის მფლობელებს უწოდებენ ფერმერებს. ზემოთაღნიშნული ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, სოფლის პირობებში ფუნქციონირებად მეურნეობას სახელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ობიექტის დასახელების შესაბამისად ჰქვია და არა სუბიექტის (ფერმერის) სახელწოდებისა.

ევროპულ ქვეყნებში ეს პროცესი უფრო რთული მიმართულებით ვითარდებოდა. აქ აგრარულ სექტორში კაპიტალიზმის დამკვიდრებას წინ უსწრებდა ბატონყმური ტრადიციები, როდესაც მიწის მესაკუთრედ მიწათმფლობელი ფეოდალები იყვნენ, ხოლო უშუალო საქონელმწარმოებლები კი სოფლად მცხოვრები ყმა-გლეხობა. კაპიტალიზმის განვითარებამ საშუალება მისცა გლეხებს განთავისუფლებულიყვნენ და გამხდარიყვნენ მიწის მესაკუთრენი. გლეხების სოფლის პირობებში ფუნქციონირებად მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სუბიექტის (გლეხი) სახელწოდების შესაბამისად ,,გლეხური მეურნეობები" ეწოდა.

გლეხურ და ფერმერულ მეურნეობებს ხშირად აიგივებენ ერთმანეთთან, რაც რუსულის გავლენაა, კერძოდ, რუსულ საკანონმდებლო აქტებში (რფ-ის სამოქალაქო კოდექსი), თუ სპეციალურ ლიტერატურაში, სადაც გლეხურ მეურნეობებზეა საუბარი, იქვე ფრჩხილებშია ჩასმული სიტყვა ფერმერულიც. ,,გლეხური (ფერმერული)

მეურნეობა – ესაა ინდივიდუალური სამეწარმეო საქმიანობის სახესხვაობა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში იურიდიული პირის წარმოქმნის გარეშე“. (Бакет,1992:225)

თანამედროვე პირობებში ფერმერული მეურნეობის, როგორც სასოფლო-სამეურნეო საწარმოოს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმის ცნების არსი სრულყოფილად არ არის განსაზღვრული და არსებობს განსხვავებული მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ზოგიერთი მეცნიერი განასხვავებს გლეხურ მეურნეობას ფერმერული მეურნეობისაგან. მაგალითად, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები: ო. ვაშაკიძე და ლ. ხაბურზანია მიიჩნევენ, რომ გლეხური მეურნეობა, უმარტივესი ფორმის, ძირითადად, ნატურალური ტიპის მეურნეობაა, რომელიც დაბალი საქონლიანობის დონით ხასიათდება, ემყარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევის დონეს და საჭიროებს ხელით შრომას. ფერმერული მეურნეობა კი წმინდა სასაქონლო ტიპის მეურნეობაა, ხასიათდება საქონლიანობის მაღალი დონით და მაღალი მეცნიერული გაძღოლის სისტემის გამოყენებზეა დაფუძნებული. აქ შესაძლებელია დაქირავებული შრომის გამოყენებაც. ამავე დროს, მისი სიდიდე ბევრად აღემატება გლეხური მეურნეობისას. გლეხურ მეურნეობაში მხოლოდ ნარჩენი ზედმეტი პროდუქტი ღებულობს სასაქონლო ხასიათს, ფერმერულში კი ყველა პროდუქცია არის სარეალიზაციოდ გათვალისწინებული (ვაშაკიძე, 1996:54).

აკადემიკოსი ნ. ჭითანავა თვლის, რომ გლეხური და ფერმერული მეურნეობა ერთ ფორმად გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობად უნდა იქნეს განხილული, ხოლო საკომლო მეურნეობებს, მიიჩნევს საკარმიდამო მეურნეობად. აგრეთვე, აღნიშნავს, რომ გლეხური (ფერემერული) მეურნეობა, როგორც მეურნეობის უფრო ინტენსიური ფორმა, უპირატესად, სასაქონლო პროდუქციას აწარმოებს. ე.ი. პროდუქცია ძირითადად ბაზრისათვის იქმნება, საკარმიდამო მეურნეობებისგან განსხვავებით, რომლის პროდუქცია ძირითადად ოჯახს ხმარდება და ბაზარზე მხოლოდ ნამეტი გადის (ჭითანავა, 1993:75).

პროფ. ზ. ელიზბარაშვილი გლეხურ მეურნეობას აიგივებს ფერმერულ მეურნეობასათან და მას მიიჩნევს, როგორც დამოუკიდებელ საქონელმწარმოებელს **(ელიზბარაშვილი, 1993:54).**

სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, ჩვენს ქვეყანაში აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას ართულებს სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის უქონლობა, პირველ რიგში კი ,,გლეხური, ფერმერული მეურნეობების შესახებ" საქართველოს კანონის მიღების გაჭიანურება (რომელიც მხოლოდ 2013 წელს იქნა მიღებული). ,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი თავის მეოთხე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: ,,საადგილმამულო (ფერმერულ) მეურნეობად ითვლება სასოფლო-სამეურნეო მიწის მასზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობათა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველს. ამ მუხლის მეორე პუნქტით კი საადგილმამულო (ფერმერულ) მეურნეობად მიიჩნევა მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობათა სააგარაკო ნაკვეთი, თუ მისგან მიღებული შემოსავალი შეადგენს ოჯახის შემოსავლის ნახევარზე მეტს, ხოლო ამავე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, ,,საადგილმამულო (ფერმერულ) მეურნეობა შეიძლება არსებობდეს საკომლო (გლეხური ფერმერული) მეურნეობის და სასოფლო-სამეურნეო იურიდიული პირის სახით". **(საქართველოს...,2013:38)**

ასეთი დეფინიცია საკმაო გაუგებრობას იწვევს, რადგან ამ ფორმულირებიდან გამომდინარე, არსებითი მნიშვნელობა აღარა აქვს გლეხურ, ფერმერულ მეურნეობებს ოჯახურ-ფერმერულ, გლეხურ-ფერმერულ, თუ საადგილმამულო-ფერმერულ მეურნეობას ვუწოდებთ.

ჩვენი აზრით, ,,გლეხური მეურნეობის" და ,,ფერმერული მეურნეობის" ტერმინების, როგორც სინონიმების გამოყენება, გაუმართლებელია, რადგან ეს ცნებები

თანამედროვე ეკონომიკის თეორიასა და პრაქტიკაში აერთიანებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა ტიპებს და რომელზეც ჩვენი მოსაზრება მდგომარეობს შემდეგში:

- გლეხური მეურნეობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების უფრო ტრადიციული ორგანიზაციული ფორმაა, რომელიც ფერმერულ მეურნეობასთან შედარებით ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში ვითარდებოდა და ყალიბდებოდა. გლეხური მეურნეობები ადრეფეოდალიზმამდეც არსებობდა, მაგრამ უფრო ტიპიური იყო ფეოდალიზმის ეპოქისათვის. იგი არსებითად ნატურალური ან ნახევრად ნატურალური მეურნეობაა. გლეხური მეურნეობის მფლობელები, როგორც წესი, სოფლის გლეხთა სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან, მაშინ როცა ფერმერული მეურნეობის მფლობელები შეიძლება ხშირად ქალაქის სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ. ასეთ შემთხვევაში სრულიად შესაძლებელია გლეხური და ფერმერული მეურნეობების სამეურნეო სუბიექტებს განსხვავებული მიზნები ამოძრავებდეთ.

- გლეხური და ფერმერული მეურნეობების განმასხვავებელ ძირითად ნიშნად მიგვაჩნია ასევე წარმოების საქონლიანობის დონე. კერძოდ, გლეხური მეურნეობების სამეურნეო საქმიანობა ორიენტირებულია მისი წევრების პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით, ე.ი. გლეხურ მეურნეობებს აქვთ სამომხმარებლო - ნაწილობრივ სასაქონლო მიმართულება, მაშინ როდესაც ფერმერული მეურნეობები მთლიანად ორიენტირებული არიან სასაქონლო პროდუქციის წარმოებაზე.

- გლეხური და ფერმერული მეურნეობები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სამუშაო ძალის გამოყენების ხასიათით. გლეხური მეურნეობა დაქირავებულ სამუშაო ძალას, როგორც წესი, იყენებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ძალზე მცირე ნაწილის შესასრულებლად, დაძაბულ პერიოდში დროებით, სეზონურად. გლეხურ მეურნეობაში წარმოების ძირითად და მუდმივ მონაწილეებად გვევლინებიან თვით მეურნეობის მფლობელი და მისი ოჯახის წევრები, რომლებიც წარმოადგენენ კიდეც

გლეხური მეურნეობის წევრებს. ფერმერული მეურნეობები კი დაქირავებულ სამუშაო ძალას წარმოების პროცესში იყენებს უფრო მუდმივად, თანაც ფერმერული მეურნეობების მფლობელი წარმოების მართვისა და ორგანიზაციის ფუნქციას პირობითად ასრულებს, რადგან დღეს მათ უმეტეს შემთხვევაში მართავენ დაქირავებული პროფესიონალი მენეჯერები.

- გლეხური მეურნეობები ფერმერული მეურნეობებისაგან განსხვავდებიან სპეციალიზაციის დონით. გლეხური მეურნეობები ფერმერული მეურნეობებისაგან განსხვავებით უფრო ფართოპროფილიანები არიან, რადგან მათი ძირითადი მიზანია მეურნეობის წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. სასაქონლო პროდუქციის წარმოებაზე ორიენტირებულ ფერმერულ მეურნეობებს უხდებათ კომპლექსური მექანიზაციის უფრო სრულყოფილი საშუალებების გამოყენება, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების წარმოებაში დანერგვა, რაც კიდევ უფრო აღრმავებს მათ განსხვავებას გლეხურ მეურნეობებთან შედარებით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფერმერული მეურნეობების ხუთ ჯგუფს გამოყოფენ: სოფლად მცხოვრებთა მეურნეობა, წვრილი ოჯახური მეურნეობა, ოჯახური მეურნეობა, მსხვილი ოჯახური მეურნეობა და უმსხვილესი მეურნეობა.

ამ თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი აზრით, საქართველოში ფერმერული მეურნეობა უნდა გაიმიჯნოს სამი სახის მეურნეობად:

- შიდა (წვრილი ოჯახური) მეურნეობა - რომელიც არ არის ორიენტირებული ეკონომიკურ მოგებაზე, უშუალოდ ეწევა საქმიანობას და წარმოებულ პროდუქციას იყენებს მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის.
- ოჯახური მეურნეობა - სადაც საქმიანობაში ჩართული არიან ოჯახის წევრები, აწარმოებენ საკუთარი მოხმარებისთვის საჭიროზე მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას, თუმცა ისინი არ არიან დარეგისტრირებული როგორც მეწარმე სუბიექტები.

- ფერმერული (მსხვილი) მეურნეობა - რომელიც დარეგისტრირებულია, როგორც მეწარმე, ჰყავს დაქირავებული მუშები, აწარმოებს დიდი რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, თავიდანვე ორიენტირებულია წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაზე და მოგების მიღებაზე.

მიუხედავად მთელ რიგ პარამეტრებში მნიშვნელოვანი განსხვავებებისა, გლეხური და ფერმერული მეურნეობები ქვეყნის ეკონომიკური სისტემის, კერძოდ, მისი აგრარული სექტორის თანასწორუფლებიანი, დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტები არიან.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში გლეხური, ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბება ხდება ,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ და ,,სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. სხვადასხვა პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდებას, რომლის რეალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა გააუმჯობესა ადგილობრივ ფერმერთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ტექნოლოგიური ნოვაციების დანერგვამ უზრუნველყო მომხმარებლისათვის მეტ-ნაკლებად ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიწოდება.

საქართველოში ფერმერული მეურნეობების ფუნქციონირება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და განვითარების მაგისტრალური და სტრატეგიული მიმართულება უნდა გახდეს. მითუმეტეს, რომ ასეთი მეურნეობა მიწის რაციონალური გამოყენების საკმაოდ ეფექტური ფორმაა, რასაც მცირემიწიანი საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ფერმერული მეურნეობების უპირატესობა იმაშიც გამოიხატება, რომ დაქირავებულ შრომასთან ერთად, ოჯახის ყველა წევრის შრომის გამოყენება შეიძლება. მასში წარმოება ინტეგრირებული და შეხამებულია ოჯახის კვლავწარმოების პროცესთან, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი მომენტია.

ფერმერული მეურნეობების მიზნობრივი და ეფექტური განვითარება დღის წესრიგში აყენებს აგროსერვისის სრულყოფის, სოფლად ერთიანი ინფრასტრუქტურის

სამსახურის შექმნის საკითხს, რომელმაც უნდა განახორციელოს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა, მათი შეკეთება, მექანიზებული სატრანსპორტო, სამონტაჟო და აგროქიმიური სამუშაოების შესრულება და სხვა. უნდა შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამქირავებელი პუნქტები. უნდა გაფართოვდეს მცირე გაბარიტიანი ტრაქტორებისა და მოტობლოკების გადაცემა. ამასთან მნიშვნელოვანია მეურნეობის საწარმოო მიმართულების სწორი განსაზღვრა და დარგთა შეთანაწყობა. ფერმერებმა კონცენტრაცია უნდა მოახდინონ იმ პროდუქტების წარმოებაზე, რომლებიც მეტ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა. [**აჭარის...2011**]

ჩვენი აზრით, საქართველოში ამ თვალსაზრისით გარკვეული ძვრები არსებობს, რადგან ფუნქციონირებს სამთავრობო და არასამთავრობო ,,აგროსერვისცენტრები“. ერთ-ერთი ასეთი ,,აგროსერვისცენტრი“ მოქმედებს აჭარაში, რომელიც 2011 წლის ივლისში შეიქმნა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. ქვეყნის მასშტაბით არსებული ასეთი სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებების დანიშნულებაა, რომ აგროსექტორში მოღვაწე ფერმერებს, ბიზნესმენებს და სოფლად მაცხოვრებელ მშრომელ გლეხებს თვალნათლივ აჩვენონ თანამედროვე სარგავ-სათესი მასალებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების უპირატესობა მაღალხარისხიანი, ტრანსპორტაბელური და ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების საქმეში.

## 2. 2. ფერმერულ მეურნეობების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში

ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ დეკოლექტივიზაციის სტიქიურად დაწყებულმა მოვლენებმა სოფლის მეურნეობაში მძიმე ვითარება ჩამოაყალიბა. დაინგრა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოიშალა ორგანიზაციულ-მმართველობითი ურთიერთობები. ჯანსაღი საბაზრო ძალები ნელა იკვლევს გზას. ასეთ

ვითარებაში აუცილებელი შეიქმნა საოჯახო, გლეხური და ფერმერული მეურნეობების ისეთ მმართველობით-ორგანიზაციულ ურთიერთობათა სისტემის ფუნქციონირება, რომელიც პირადი და სახელმწიფო ინტერესების დაცვას და რაც მთავარია, სოფლის მეურნეობის კომპლექსურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

ფერმერული მეურნეობა წარმოადგენს რა შედარებით მცირე სიდიდის სასოფლო-სამეურნეო საწარმოს, ხასიათდება სამეურნეო სისტემის მაღალი ელასტიურობით და გამძლეობით. იგი ადვილად ეგუება საბაზრო ურთიერთობებს. სწრაფად რეაგირებს ბაზრის ნებისმიერ ტენდენციაზე, ნაკლებად არის დამოკიდებული მსოფლიო ეკონომიკაზე.

ამ და სხვა მთელი რიგი უპირატესობების და დროის მოთხოვნებზე მორგებულობის გამო, საქართველოში ფერმერული მეურნეობების ფუნქციონირება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და განვითარების მაგისტრალური და სტრატეგიული მიმართულება უნდა გახდეს. მითუმეტეს, რომ ასეთი მეურნეობა, როგორც ავღნიშნეთ, მიწის რაციონალურად გამოყენების საკმაოდ ეფექტური ფორმაა, რასაც მცირემიწიანი საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოში ფერმერულ მეურნეობათა განვითარებისათვის გეოგრაფიულად ხელშემწყობი პირობები შეზღუდულია. ეს აიხსნება მთაგორიანი რელიეფით, მთიან რეგიონებში სახნავი მიწების მცირე ხვედრითი წილით, ნაკვეთების ვიწრო კონტურიანობით, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მრავალფეროვნებით, წარმოების მექანიზაციის სპეციფიკურობით, რომელიც მორგებული უნდა იყოს ნაკვეთების კონფიგურაციას, მთიან რელიეფს, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის თავისებურებებს. [**გიორგაძე,1997:84**]

საქართველოს ზონალურად მკვეთრად განსხვავებულ ბუნებრივ პირობებში და შესაბამისად, სოფლის მეურნეობის გაძღოლის მკაცრად დიფერენცირებული მიდგომის აუცილებლობის გამო, მთელ რიგ რაიონებში, განსაკუთრებით მთიან და მთისწინა ზონებში ფერმერული მეურნეობების შექმნა მეტად ეფექტური და გამართლებულია.

შეიძლება ითქვას, რომ ფერმერული მეურნეობები საქართველოში ჯერ კიდევ ჩამოყალიბების საწყის სტადიაში იმყოფება.

მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, განსაკუთრებით კი - ინტენსიური სავარგულების ზრდა. არც თუ ისე შორეულ წარსულში, სახნავი მიწების შემცირების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სახნავზე მრავალწლიანი ნარგავების გაშენება და მათი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყოფა იყო. ამჟამად, სულ სხვა მდგომარეობაა. ქვეყანაში მრავალწლიანი ნარგავების ფართობი 62.1 ათასი ჰექტარით შემცირდა, რაც თავისთავად სახნავი მიწების ზრდის რეზერვად უნდა მივიჩნიოთ. აღნიშნულ პერიოდში ინტენსიური სავარგულების ფართობი შემცირდა. აქედან გამომდინარე, ,,სახნავი მიწების არაადექვატურად ზრდის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია მიწის დაცვის და მისი ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებების სათანადოდ გაუტარებლობა, რის შედეგადაც ინტენსიური სავარგულების მნიშვნელოვანი ფართობები დაბალინტენსიურ სავარგულებად ტრანსფორმირდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების კომპლექსური ღონისძიებების გატარება“. **(ზურკაძე, 2000:43)**

სოფლად წარმოების ინდივიდუალურ და კოლექტიურ ფორმებს დიდი დახმარება სჭირდებათ მეცნიერულ სიახლეთა დანერგვაში. რთული ამოცანაა გადასაწყვეტი - უნდა შეიქმნას მიწათმოქმედების ახალი სისტემა, რომელიც თანამედროვე ტექნიკას, ტექნოლოგიასა და ორგანიზაციას დაეყრდნობა. ყოველი ნაბიჯი ამ გზაზე მატერიალურ და ფინანსურ დანახარჯებს საჭიროებს. დღეს კი სოფლად ჩამოყალიბებულ არც ერთ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას არამც თუ თავისუფალი სახსრები, არამედ საბრუნავი საშუალებებიც არ გააჩნია. დახმარებას მათ ვერც სახელმწიფო უწევს, ამიტომ იქმნება გამოუვალი სიტუაცია. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია სოფლებში შეიქმნას საკრედიტო კავშირები, ამხანაგობები ან კოოპერატივები, რომლებიც კრედიტს გასცემენ მხოლოდ საწარმოო დანიშნულებით არა პროდუქციის

შესასყიდად, არამედ თესლის, სარგავი მასალის, პირუტყვის შესაძენად  და სხვა. მათი შემოსავლის წყარო შეიძლება იყოს ამხანაგობის (კოოპერატივის) ძირითადი კაპიტალი, გრძელვადიანი კრედიტი, მოსახლეობის შენატანი და სხვა. ასევე შესაძლებელია იგი რომელიმე კომერციულ (მაგ. ბანკი) ორგანიზაციულ სისტემაში როგორც პარტნიორი ფუნქციონირებდეს.

როგორც ჩანს, საქართველოს აგრარული სფეროს საბაზრო ურთიერთობებში მნიშვნელოვანი  როლი ორ მთავარ ჯგუფზე - საოჯახო და ფერმერულ მეურნეობებზე მოდის. საოჯახო მეურნეობები ფუნქციონირებს ძირითადად ეკონომიკის სამომხმარებლო სფეროში, მასთან ერთად მას უფლება აქვს წარმოებული პროდუქცია გაყიდოს ბაზარზე. ოჯახური მეურნეობის მიერ რეალიზებული პროდუქციით მიღებული შემოსავალი ძირითადად იხარჯება პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე და ამით იზღუდება მისგან დამატებითი მოგების მიღება.

იმისათვის, რომ შრომით მიღებულმა ფულადმა შემოსავალმა დააკმაყოფილოს არა მარტო მწარმოებლის პირადი მოთხოვნები, არამედ დანაზოგები ჩავდოთ დამატებითი შემოსავლების მისაღებად, საჭიროა წარმოების გაფართოება და რესურსული უზრუნველყოფის გაუმჯობესება. ოჯახური და ფერმერული მეურნეობები მიწის შეზღუდულობის პირობებშიც გვაძლევს ამის შესაძლებლობას. **(დანართი 6)**

საქართველოში არსებული ფერმერული მეურნეობების უმრავლესობის სამეურნეო ფართობების უმეტესობა, თუნდაც ძალიან მცირე ფართობები, არ არის თავმოყრილი ერთად. ისინი ერთმანეთისგან დაშორებულ, განცალკევებულ ნაკვეთებად არის მიმობნეული. აღნიშნული ნაწილობრივ პრივატიზაციის პირველი ეტაპის შედეგია, რომელიც განხორციელდა 1992 წლის 18 აგვისტოს მიღებული N123 დადგენილებით, რითაც საკანონმდებლო საფუძველი ჩაეყარა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზაციას. რადგან მიწები მაშინ მისი ხარისხისა და მდებარეობის მიხედვით დარიგდა, ფერმერმა ვერ მიიღო თანაბრად კარგი ხარისხის მიწა, რომელიც ერთ ადგილას იქნებოდა თავმოყრილი, ხელმისაწვდომი იყო დანარჩენი

დაბალი ან საშუალო ხარისხის მიწები ნაკლებად სასურველი მდებარეობით, ხოლო ოჯახს შეეძლო რამდენიმე ნაკვეთი მიეღო სხვადასხვა ხარისხის მიწით. რამდენადაც ხარისხი ნიადაგის, ფერდობის და დრენაჟის თავისებურებებზეა დამოკიდებული. ეს ნიშნავს, რომ ნაკვეთები ძალიან იშვიათად ხვდებიან ერთმანეთის გვერდიგვერდ, რაც იწვევს არაეფექტიანობას, ფერმერის მიერ დაკარგულ დროსა და მეტ ხარჯს. [საქართველოს..., 1996]

ცნობილია, რომ თანამედროვე ეტაპზე მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისა და მოსახლეობის ამ პროდუქტებით დაკმაყოფილების პრობლემების წარმატებით გადაწყვეტა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების საფუძველთა საფუძველია. ამ ამოცანის შესრულების ღონისძიებათა სისტემაში სახნავი მიწების რაციონალურ და მაღალინტენსიურ გამოყენებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

სტატისტიკური და პროგნოზული პარამეტრების ანალიზი ცხადყოფს, რომ სოფლის მეურნეობის დარგებიდან, მემცენარეობას და მეცხოველეობას თითქმის თანაბარი პროცენტული წილი ეკავა 2014 წელს, ხოლო 2016 წელს განსხვავებულია და მემცენარეობას სჭარბობს მეცხოველეობა.**(დანართი 9)**

სასოფლო-სამეურნეო კულტურების სტრუქტურაში წამყვანი ადგილი საშემოდგომო და საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების ნათესებს (75.1%) უკავია, შემდეგ მოდის ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები (15.1%) და სხვა კულტურები (8.8%). **(დანართი 7)**

ფერმერული მეურნეობები მნიშვნელოვან უპირატესობას ფლობენ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოყვანა-წარმოებაში, ამიტომ ნათესი ფართობების უდიდესი წილი მოდის მათზე.

ფერმერულ მეურნეობებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია არა მხოლოდ ერთწლოვანი კულტურების წარმოების მიმართულებით, არამედ, მრავალწლოვანი კულტურების წარმოების თვალსაზრისით. **( დანართი 12)**

ბოლო წლებში მეცხოველეობის დარგობრივ სტრუქტურაში მომხდარი რაოდენობრივ-ხარისხობრივი ცვლილებებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ფრინველისა და პირუტყვის აბსოლუტური უმეტესობა კონცენტრირებულია კერძო სექტორში, აღნიშნულ დარგში რიგი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ღონისძიებათა განხორციელების შედეგად გაზრდილია მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება 2015 წელს, თუმცა 2016 წელს და მიმდინარე პერიოდში ადგილი აქვს მათ შემცირებას. **(დანართი 18)**

ამჟამად საქართველოში არსებობს მიწის ხელმისაწვდომობის სხვადასხვა პრობლემა, რაც თან სდევს როგორც ძალიან მცირე ნაკვეთებს, ისე მათ ფრაგმენტაციას. გამოთვლები მოწმობს, რომ დაახლოებით 10% მიწისა გამოუსადეგარია დამატებითი საჭირო გზების ან ბილიკების არარსებობის გამო. ფრაგმენტაცია ასევე წარმოშობს პრობლემას და სირთულეებს კრედიტის უზრუნველოფის თვალსაზრისით. ნაკლებად მოიპოვებიან ფერმერზე სესხის გაცემის მსურველნი, თუნდაც მას მიწის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი გააჩნდეს. პრობლემა იმ ნაკვეთის სიმცირეში მდგომარეობს, რომელიც გირაოში უნდა ჩაიდოს. თუკი გამსესხებელს მოუწევს გირაოში ჩადებული მცირე ფართობის მქონე ნაკვეთის გაყიდვა, ძალიან ცოტა თუ მოიძებნება მისი ყიდვის მსურველი. ასეთი შესაძლოა აღმოჩნდეს ის ფერმერი, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ამ მიწის ნაკვეთს ან რომლის კუთვნილი ნაკვეთები ამ გასაყიდ ნაკვეთთან საკმაოდ ახლოს მდებარეობს. სავსებით შესაძლებელია, რომ ამ უკანასკნელს არ სურდეს ან არ აღმოაჩნდეს საჭირო თანხა ნაკვეთის შესაძენად. ამ შემთხვევაში გამსესხებელი რჩება გირაოში ჩადებული მიწით, რომელსაც ვერ ამუშავებს და ვერც იბრუნებს მასში ჩადებულ სესხს. შესაბამისად ფერმერებზე იშვიათად თუ გაიცემა სესხები, თუკი მათი მიწის ნაკვეთები მცირე ზომისაა.

2016 წელს სულ გაცემულია 1,891 სესხი და ლიზინგი, მათ შორის: 1,056 სესხი - 73,663,191 ლარის ოდენობით, 835 სესხი - 52,379,899 დოლარის ოდენობით. (ცხრ. 2. 2. 1)

**ცხრ. 2.2.1**

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში

გაცემული სესხები რეგიონების მიხედვით

(ლარში და დოლარში)

| წელი, რეგიონი | სესხების რაოდე-ნობა | ბენეფიცია-რების რაოდენობა | გაცემული სესხი, ლარი | სესხების რაოდე-ნობა | ბენეფიცია-რების რაოდენობა | გაცემული სესხი, აშშ დოლარი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **2016** წელი, საქართვე-ლო | 1,056 | 978 | 73,663,191 | 835 | 721 | 52,379,899 |
| აჭარა | 5 | 4 | 190,000 | 15 | 10 | 652,700 |
| გურია | 10 | 9 | 348,800 | 10 | 9 | 1,044,800 |
| თბილისი | 8 | 8 | 615,500 | 22 | 21 | 4,319,362 |
| იმერეთი | 69 | 66 | 4,357,442 | 58 | 45 | 2,615,093 |
| კახეთი | 542 | 495 | 47,120,705 | 399 | 344 | 26,265,229 |
| მცხეთა-მთიანეთი | 27 | 24 | 1,233,500 | 20 | 17 | 1,692,385 |
| რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი | 4 | 4 | 430,000 | 8 | 6 | 464,170 |
| სამეგრელო ზემო სვანეთი | 84 | 78 | 3,350,155 | 53 | 44 | 3,681,491 |
| სამცხე-ჯავახეთი | 69 | 68 | 2,888,200 | 28 | 26 | 794,079 |
| ქვემო ქართლი | 42 | 40 | 3,025,190 | 57 | 52 | 4,888,443 |
| შიდა ქართლი | 196 | 182 | 10,103,699 | 165 | 150 | 5,962,147 |

წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, წლიური ანგარიში 2016

## 2.3. ფერმერების კოოპერირება და ეკონომიკური შედეგების ამაღლების გზები

სოფლის მეურნეობაში დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების და მისი სრულყოფის ტენდენციების, მასთან დაკავშირებული კანონზომიერებების შესწავლის საფუძველზე ვლინდება, რომ ქვეყნის მასშტაბით განხორციელებულმა რეფორმებმა უარყოფითი გავლენა იქონია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციაზე, რის გამოც მან სტიქიური ხასიათი მიიღო. ყოველივე ამან ხელი ვერ შეუწყო სხვადასხვა ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმების განვითარებას. სწორედ ამის შედეგია ის, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითად ბირთვს ფერმერული მეურნეობები წარმოადგენს, ამასთან დარგობრივი ნიშნით თუ განვიხილავთ მათ საქმიანობას, ისინი ძირითადად მიეკუთვნება მარცვლეულის, ბოსტნეულ-ბაღჩეულის და მეცხოველეობის პროდუქციის მწარმოებელ ფერმერულ მეურნეობებს. ფერმერულ მეურნეობებში საწარმოო პროცესი სუსტი მენეჯმენტის პირობებში მიმდინარეობს. მეწარმეები განიცდიან ბიზნესისათვის აუცილებელი ცოდნის და ინფორმაციის დეფიციტს. მათ ხშირ შემთხვევაში არ იციან სესხების, გრანტების გამცემი და სხვა ინსტიტუტების არსებობის შესახებ. ამიტომ საჭიროა შეიქმნას აგრარული სექტორის კოორდინირებული მართვის ერთიანი სამსახური.

საქართველოს აგრარულ სექტორს შეუძლია მომავალში მიაღწიოს ეკონომიკურ გაჯანსაღებას, თუ სწორად იქნება გამოყენებული მასში არსებული ეკონომიკური რესურსები. რამდენიმე წელიწადში შესაძლებელია აგრარული სექტორის მთლიანი პროდუქციის 2-3-ჯერ ზრდასაც მივაღწიოთ, თუ მოხდება შპს-ების ჩამოყალიბება 100%-იანი სახელმწიფო წილით, რომლებიც საკუთარ ბალანსზე აიყვანენ და რომელთა გამოსყიდვის უფლება მიეცემათ ამ საწარმოებთან ფუნქციონალურად დაკავშირებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს გამოსყიდვის წინასწარ ჩამოყალიბებული კუმულაციური ფორმით.

ასეთი მიდგომა გაამარტივებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების საკითხს. შემთხვევითი არაა, რომ ლიბერალური ეკონომიკის მქონე

დასავლეთის ქვეყნებმა სახელმწიფო ხელისუფლებისა და დაფინანსების პრიორიტეტულ მიმართულებად კოოპერაციულ საწყისებზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციების ხელშეწყობა მიიჩნიეს, რადგან მხოლოდ კოოპერირების საშუალებით არის შესაძლებელი ორი საწყისის გაერთიანება: საკუთრების, რომელიც აძლევს მის მფლობელს არჩევანის თავისუფლებას და წარმოების მასშტაბის გაზრდის, რომელიც განაპირობებს ერთის მხრივ - ტექნიკურ და ეკონომიკურ უპირატესობას და მეორეს მხრივ - ავტორიტეტსა და წონას სასაქონლო და საფინანსო ბაზრებზე.

კოოპერატივები საქართველოსათვის სიახლეს არ წარმოადგენს, რადგან კოოპერაციის ნიშნები საქართველოში ჯერ კიდევ მე-9 საუკუნეში შეინიშნებოდა, რასაც ამქარის არსებობა ადასტურებს. ფეოდალურ ხანაში ეს კორპორაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ამქარი იყო ერთი ხელობის ხალხის გაერთიანება. (ამქარი სპარსული სიტყვაა ,,ჰამ“-ნიშნავს ერთად, ,,ქარ“ - კეთებას). შემდგომში უკვე კოოპერატივების ჩამოყალიბება და განვითარება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. მას მხარს უჭერდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, სერგი მესხი და სხვა გამოჩენილი მოღვაწეები. პირველი კოოპერატივი დააარსა ილია ჭავჭავაძემ 1869 წელს და მას ,,მომჭირნეობა“ ეწოდა.

ამის შემდეგ კიდევ ბევრი კოოპერატივი შეიქმნა, ასეთი იყო 1890 წელს მიტროფონე ლაღიძის მიერ დაარსებული ხილეულის წყლების კოოპერატივი ქ. ქუთაისში (ივანოვსკის საწარმოს ბაზაზე), რომელიც მალე მთელ დასავლეთ საქართველოში სახელგანთქმული გახდა. ამავე პერიოდში დიმიტრი მაჩხანელმა (ნადირაძემ) დააარსა კოოპერატივი მაჩხაანში, სიღნაღის მაზრაში. 1877 წელს ნიკო ავალიშვილმა საგარეჯოს მაცხოვრებლებთან შეთანხმებით დააარსა კოოპერატივი ,,ივრის დამზოგველი ამხანაგობა“. 1897 წელს ლადო აღნიაშვილმა დააარსა კოოპერატივი ,,შუამავალი“ საგარეჯოში. 1900 წელს ნესტორ წერეთელმა დააარსა ,,ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა საზოგადოება“. 1902 წელს შეიქმნა მერძევეთა ამხანაგობა ,,ლილო“ (რომელშიც ითვლებოდა 42 წევრი, 50 ძროხით). 1911 წელს დავით

სარაჯიშვილი გახდა ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებელი. 1894-1914 წლებში საუკეთესო ღვინოდ ითვლებოდა საზოგადოება ,,კახეთის" მიერ წარმოებული ღვინო.

1916 წელს დაარსდა ამიერკავკასიის კოოპერატივების კავშირი ,,ზაკსოიუზი", რომელიც აერთიანებდა საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის კოოპერატივებს. 1919 წელს კი დაარსდა საქართველოს მომხმარებელთა საზოგადოების რესპუბლიკური კავშირი - ,,ცეკავშირი".

1911-1917 წლებში საქართველოში გამოდიოდა ჟურნალი ,,კოოპერაცია", რომლის დამაარსებელი იყო ეკონომისტი, კოოპერატორი იასონ გაბილაია. ჟურნალში იბეჭდებოდა ისტორიები არსებული კოოპერატივების და მეწარმეების შესახებ, ასევე კოოპერატივების წესდების ნიმუშები, წარმატებული კოოპერატივები, ინფორმაცია ფერმერების ევროპაში სასწავლო მოგზაურობის შესახებ. ,,მას სულით და გულით უნდოდა დაენახა საქართველო სასოფლო-სამეურნეო და სხვა კოოპერატივებით მოფენილი. ამისათვის ის არავითარ საშუალებას არ ზოგავდა" - წერდა ჟურნალი დავით სარაჯიშვილზე.

1922 წელს საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ გამოცემული დეკრეტის საფუძველზე მიწა გადაიქცა სახელმწიფო საკუთრება. ჩამოყალიბდა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რითაც დასრულდა კოოპერატივების ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია. ეს პერიოდი გრძელდებოდა მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე.

აღნიშნული მონაცემები ნათლად ადასტურებს იმას, რომ საქართველოს ჯერ კიდევ 1800-იან წლებში ჰქონდა გათვითცნობიერებული ევროპული ფასეულობები და მიმართულებები. ილია ჭავჭავაძის სიტყვები - ,,კოოპერაცია არის გააფთრებული სვავებისგან მშრომელი კაცის დაცვის ერთადერთი საშუალება", იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ საუკუნის წინ ჰქონდათ გააზრებული საზოგადოებაში, სოფლის მეურნეობაში კოოპერაციის როლის და მნიშვნელობის შესახებ. [საკოოპერაციო..., 2016]

კოოპერატივების მაღალ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის მონაცემები, რომლებსაც ადგილი აქვს ევროპის განვითარებულ ქვეყნებში. ერთ-ერთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში - დანიაში კოოპერატივებს აქვს შემდეგი სახე. არსებობს სახამებლის მწარმოებელი კოოპერატივი, სადაც კარტოფილის სახამებლის წარმოების 85% გადის ექსპორტზე და იყიდება 40-ზე მეტ ქვეყანაში 170 000 ტ. წელიწადში. კარტოფილის სახამებელს აწარმოებს 5 საწარმო, რომელიც ეკუთვნის კოოპერატივს და აერთიანებს 3000-ზე მეტ ფერმერს. კოოპერატივი ფუნქციონირებს შემდეგი ძირითადი პრინციპებით:

ფერმერი არის აქციების მფლობელი. თითოეული აქცია აძლევს უფლებასა და იმავდროულად ვალდებულებას 100 კგ. კარტოფილის ჩაბარებაზე (10 აქციის მფლობელს აქვს უფლება და ვალდებულება ჩააბაროს 10x100=1000 კგ. კარტოფილი). კარტოფილის ჩაბარების რიგს განსაზღვრავს საწარმო და ადგილზევე ანაზღაურებს პროდუქციის მინიმალურ ღირებულებას. სახამებლის გაყიდვის შემდეგ მიღებული მოგება ნაწილდება აქციების რაოდენობის მიხედვით. აქციების გაყიდვა ან გასხვისება ნებადართულია. აქციის ფასს განსაზღვრავს კარტოფილის ფასი გაყიდვის მომენტისათვის. კოოპერატივის მართვას ახორციელებს კრება, რომელიც ირჩევს საწარმოს მმართველ დირექტორს კოოპერატივის წევრებიდან. კოოპერატივის წევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმა და ეს დამოკიდებული არ არის აქციების ფლობის რაოდენობაზე. [**კოღუაშვილი, 2014**]

საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში კოოპერატივის მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ მოგების მიღება, არამედ ფერმერთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი პროდუქციის გასაღების, მისი გადამუშავების, მეურნეობათა სხვადასხვა საშუალებებით მომარაგების, საერთოდ საწარმოო მომსახურეობის კოლექტიური ორგანიზაციის გზით.

ფერმერებს და კოოპერატივებს შორის ურთიერთობა ნებაყოფლობით, ხელშეკრულების საფუძველზე ყალიბდება. იგი ერთიანი, უწყვეტი კონვეირული

ტექნოლოგიით ხორციელდება და ყოველმხრივ უზრუნველყოფს მის მონაწილე ყველა სუბიექტის მაღალრენტაბელური განვითარების ხელშეწყობას. ამ ურთიერთობის პირობებში ფერმერები სრულად ინარჩუნებენ სამეურნეო დამოუკიდებლობას და ამასთან შენარჩუნებულია მათი მატერიალური დაინტერესების მაღალი ხარისხი.

სოფლის მეურნეობის მაღალგანვითარებული კოოპერაციული სისტემით ხასიათდება შვედეთი, ნორვეგია, ფინეთი, ირლანდია, ნიდერლანდები, იაპონია. საფრანგეთში სასოფლო-სამეურნეო საწარმოების 80% გაერთიანებულია კოოპერატივებში. დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, იტალიაში კი ფერმერულ მეურნეობათა საერთო რაოდენობის 30-35%.

ფართოდაა გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ერთობლივი გამოყენების ფორმა მცირე ზომის ფერმერულ გაერთიანებებში. ძვირადღირებულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას ფერმერები საზიაროდ იძენენ, შემდეგ კი მისი გამოყენებისათვის წინასწარ დადგენილ საზღაურს იხდიან.

აშშ-ში, კანადაში, ბელგიაში მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამსაღებელი და გადამამუშავებელი კოოპერატივები მარცვლეულის წარმოებაში, სარძეო მესაქონლეობაში და მეღორეობაში. პრაქტიკაში ინერგება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სამეურნეობათშორისო გამოყენების კოოპერატიული ფორმები ,,სამანქანო რგოლების“, ,,სამანქანო ბანკებისა“ და სხვათა სახით. კოოპერატივები ახორციელებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვა-შენახვას, რემონტს და საზიარო ექსპლუატაციას.

საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქციის გასაღებაში კოოპერატივები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ამ მხრივ კოოპერატივების ხვედრითი წილი განსაკუთრებით მაღალია მეცხოველეობის პროდუციის გასაღებაში დანიაში, ნორვეგიაში, შვედეთში, საფრანგეთსა და ფინეთში, ხოლო მარცვლეულის (ხორბლის) გასაღებაში – საფრანგეთში.

ფერმერული მეურნეობების განვითარების რთულ სისტემაში განსაკუთრებული როლი ეკისრება მარკეტინგული საქმიანობის სწორი მიმართულებით წარმართვას. იგი სწავლობს და ინფორმაციას იძლევა, თუ სად, რა, რამდენი ღირს ესა თუ ის პროდუქცია. ყოველივე ეს კი ეხმარება ფერმერებს, კოოპერატივებს, უკეთ იყვნენ ორიენტირებულნი წარმოების სტრუქტურასა და მოცულობაზე, სარფიანი სავაჭრო პარტნიორის არჩევაზე და სხვა. მარკეტინგული სამსახური გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს აგრეთვე წარმოების რაციონალურ სპეაციალიზაციაზე, რაც უშუალოდ ბაზრის მექანიზმით რეგულირდება.

ამჟამად დიდ იმედებს ამყარებენ კოოპერატივებზე, თუმცა უნდა გვესმოდეს, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი არ არის ჯადოსნური ფორმულა, რომელიც ფერმერების წინაშე მდგარ ყველა პრობლემას მოაგვარებს. კოოპერატივი ყველასათვის როდია საუკეთესო გამოსავალი. ბევრი ფერმერი არ წევრიანდება კოოპერატივში და ეს სრულიად მისაღებია. კოოპერატივი მხოლოდ მაშინ არის წარმატებული, თუ მისი მართვა პროფესიონალურად ხდება და მკაცრად არის ორიენტირებული ბიზნესზე. კოოპერატივი უნდა ეფუძნებოდეს ნებაყოფლობითი წევრობის, საქმის ერთგულების, ლიდერობისა და ჯანსაღი და ეფექტური ფინანსური მართვის პრინციპებს.

ბიზნესზე ორიენტირებული კოოპერატივები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ევროპის სოფლის მეურნეობის სტრუქტურაში. ევროპის უმეტეს ქვეყნებში პირველად წარმოებაში ჩართული მოსახლეობის დიდი ნაწილი მცირე ფერმერია. მათი უმრავლესობა, ასევე საშუალო და დიდი ფერმერული მეურნეობებიც კოოპერატივებშია გაწევრიანებული. საერთო ჯამში, ევროკავშირის მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რაოდენობა 9 მილიონს აღწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი სამი ფერმერიდან სულ მცირე ორი ერთ რომელიმე კოოპერატივში მაინც არის გაწევრიანებული.

კოოპერატივი ძალზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოთამაშეა, მაგრამ საქმე მხოლოდ ამაში როდია, კოოპერატივი ხელს უწყობს ფერმერს სათქმელი უფრო

,,ხმამაღალი“ გახადოს. ის მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეგიონის მოსახლეობის ხელშეწყობის საქმეში. ჯანსაღი დემოკრატიის პირობებში საზოგადოების სხვადასხვა ფენას საშუალება აქვს დაიცვას საკუთარი ინტერესები მონაწილეობის პრინციპზე დაყრდნობით და სწორედ ესაა კოოპერატივის ერთ-ერთი ძირითადი პრივილეგია.

საქართველოში კანონი ,,სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ მიღებული იქნა 2013 წლის 12 ივლისს, რომლის საფუძველზე 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეგისტრირებულია 1586 კოოპერატივი: აჭარა - 153, სამცხე-ჯავახეთი - 360, ქვემო ქართლი - 221, კახეთი - 165, რაჭა-ლეჩხუმი - 137, იმერეთი - 134, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 123, შიდა ქართლი - 112, მცხეთა-მთიანეთი - 84, გურია - 49, თბილისი - 48. (ცხრ. 2.3.1) რომელთაგან 2016 წელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი მიენიჭა 484 კოოპერატივს.

**ცხრილი 2.3.1**

**სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის**

**სტატუსის მქონე სუბიექტები** (2016 წლის მონაცემებით)

| | აჭარა სულ | ბათუმი | ქობუ-ლეთი | ხელვა-ჩაური | ქედა | შუახევი | ხულო |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოოპერ. რაოდ. | **153** | **18** | **52** | **24** | **20** | **14** | **25** |
| წევრთა რაოდ. | **1015** | **82** | **365** | **340** | **82** | **46** | **100** |

წყარო: შედგენილია აჭარის იუსტიციის სახლის ,,საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს მონაცემების საფუძველზე

კოოპერატივებს ხშირად ძველ, საბჭოთა კოლმეურნეობასთან აიგივებდნენ. დღეს მდგომარეობა სრულიად შეცვლილია და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ბევრად უფრო უკეთ არის აღქმული. ბიზნესზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშესაწყობად საქართველოში მოქმედებს შესაბამისი კანონი და კოოპერატივების განვითარების სააგენტო. ასევე თავად ფერმერებმა გააცნობიერეს, რომ კოოპერატივს არაფერი არა აქვს საერთო კოლექტივიზაციასთან. მისი მიზანი პროდუქციის მოცულობის გაზრდაში ფერმერთა დახმარება, სასოფლო-სამეურნეო მასალის (თესლი, სასუქი და ა. შ.) ერთად მოპოვება და ბაზარზე ერთობლივად გასვლაა.

კოოპერატივი უმრავლესობისათვის ნაცნობი ტერმინია, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ის შუა საუკუნეების მერე არსებობს, ცოტამ თუ იცის მისი არსი და საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური მნიშვნელობა. კოოპერაციები თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისების ფონზე დღითიდღე უფრო პოპულარული გახდა. განსაკუთრებით გლობალიზაციის ეპოქაში, სადაც გიგანტი კომპანიები ადამიანების სამოქმედო არეალს ზღუდავენ. კოოპერაციის პრინციპი სინერგიის ეფექტით საშუალებას აძლევს ინდივიდებს იყვნენ საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური პროცესების უშუალო თანამონაწილეები.

კოოპერატივი არის ადამიანთა ერთობა, რომლებიც ერთობლივი, კოლექტიური ძალებით ახორციელებენ ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ თუ სხვა საქმიანობას. ის არის ,,წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლების გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა მისი წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე“. **(საქართველოს..., 1994:28)**

კოოპერატივის მრავალგვარი სახეობა არსებობს:

1. ნედლეულის მომპოვებელი კოოპერატივები, რომლებიც ამ ფორმით ნედლეულს მოიპოვებენ საკუთარი წევრებისათვის;

2. სასოფლო-სამეურნეო ან სარეწი პროდუქციის ერთობლივი გასაღების კოოპერატივები;

3. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი და სხვადასხვა საგნების დამამზადებელი და ერთობლივი ხარჯებით მათი რეალიზაციის კოოპერატივები (სასოფლო-სამეურნეო და საწარმოო კოოპერატივები);

4. მასობრივი მოხმარების საქონლის საბითუმო წესით შემძენი და საცალო ვაჭრობით მათი სარეალიზაციო კოოპერატივები;

5. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ან სარეწებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენა-წარმოებისა და მათი ერთობლივი გამოყენების კოოპერატივები;

6. სასოფლო-საკრედიტო კოოპერატივები;

7. სამომხმარებლო (მრავალდარგოვანი) კოოპერატივები;

8. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები.

კოოპერატივების ძირითადი პრინციპებია: ერმანეთის დახმარება, თვითმმართველობა, პასუხისმგებლობა, თანასწორობა და სოლიდარობა. [**საქართველოს...,2013:28**]

საკუთარ საქმეზე, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება, ინიციატივის გამოჩენა და სოლიდარობის გრძნობა, სახელმწიფოს თუ სხვათა მზრუნველობის ნაკლებობის ფონზე, დღითიდღე აქტუალური და აუცილებელი ხდება. ფინანსური კრიზისები უფრო და უფრო მეტ ადამიანს უჩენს სურვილს თვითონ განსაზღვროს საკუთარი მომავლის გარანტიები, რაც კოოპერატივს, როგორც გამოცდილ ეკონომიკურ მოდელს, რომელიც ადამიანების ნებაყოფლობითი გაერთიანებაა და ერთობლივი ძალებით მეტის მიღწევის საშუალებას იძლევა, განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის. რაც უფრო მეტ წევრს აერთიანებს კოოპერატივი, მით უფრო ძლიერია იგი. კოოპერატივების უპირატესობა გამოიხატება შემდეგში:

- გადაწყვეტილებებს იღებენ არა ინვესტორები და ანონიმური აქციონერები, არამედ მისი წევრები;

- თითოეული წევრის სურვილი მნიშვნელოვანია;
- ინვესტორი ამავდროულად მომხმარებელიც არის;
- წევრები ორგანიზაციის მფლობელებს წარმოადგენენ, რომლებიც მისი მუშაობით და მომსახურებით ფინანსურ და პროფესიულ სარგებელს იღებენ.

სოფლის მეურნეობაში დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების და მისი სრულყოფის ტენდენციების, მასთან დაკავშირებული კანონზომიერებების შესწავლის საფუძველზე ვლინდება, რომ ქვეყნის მასშტაბით განხორციელებულმა რეფორმებმა უარყოფითი გავლენა იქონია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციაზე, რის გამოც მან სტიქიური ხასიათი მიიღო. ყოველივე ამან ხელი ვერ შეუწყო სხვადასხვა ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმების განვითარებას. სწორედ ამის შედეგია ის, რომ სასოფლო - სამეურნეო წარმოების ძირითად ბირთვს მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე ძირითადად ფერმერული მეურნეობები წარმოადგენს, ამასთან დარგობრივი ნიშნით თუ განვიხილავთ მათ საქმიანობას, ისინი ძირითადად მიეკუთვნება მარცვლეულის, ბოსტნეულ-ბაღჩეულის და მეცხოველეობის პროდუქციის მწარმოებელ ფერმერულ მეურნეობებს.

ქვეყნის აგრარული სექტორის ეკონომიკური ანალიზი ნათლად წარმოადგენს ქართული სოფლისა და მისი მოსახლეობის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას. გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილი არიან მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის-შპს-ს სახით, მოგების გაზრდის მიზნით ახდენენ გლეხობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვას რაც შეიძლება დაბალი ფასით, ეს კი ხშირ შემთხვევაში ვერ ანაზღაურებს პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებსაც. ისინი, პრაქტიკულად, გადაიქცნენ გადაულახავ ბარიერად გლეხობასა და თავისუფალ ბაზარს შორის. ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც გამოწვეულია სასოფლო-სამეურნეო სისტემის არასწორი ორგანიზაციული მოწყობით, მნიშვნელოვანწილად გახდა საფუძველი ერთის მხრივ,

სოფლებიდან მოსახლეობის გაძლიერებული მიგრაციისა და მეორეს მხრივ, აგრარული წარმოების პარალიზებისა.

საწარმოო ურთიერთობათა ასეთი ფორმის განვითარება და გლეხობისაგან პროდუქციის შემსყიდველი მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციების ხელშეწყობა სოფლის მოსახლეობისათვის უკუშედეგის მომტანი იქნება. მიწის წვრილ მესაკუთრეებს, რომლებიც სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ, საბოლოოდ დაუკარგავს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოტივაციას და რაც მთავარია, სოფლად ცხოვრებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას.

საქმე ეხება ათიათასობით წვრილ ფერმერულ მეურნეობას, რომლებსაც არც გამოცდილება და არც ფინანსური საშუალებები არ გააჩნიათ დამოუკიდებლად წინსვლისა. სწორედ ასეთ ვითარებაშია სახელმწიფო ვალდებული ქმედითი დახმარება გაუწიოს ფერმერთა კოოპერაციულ გაერთიანებებს და იზრუნოს მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ დაცლილ სოფელს, რაც, რა თქმა უნდა, არასახარბიელო იქნება ქვეყნისათვის.

საქართველოს მთავრობის მიერ დაწყებული სოფლის მეურნეობის დახმარების ღონისძიებათა წარმატებით განხორციელება დიდად არის დამოკიდებული რიგ კონკრეტულ საკითხებზე, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო სისტემის სწორი ორგანიზაციული მოდელის შერჩევა, ანუ იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს ამ დახმარების უკუგების ყველაზე მაღალ ხარისხს.

,,სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ მიღებულ კანონში არ განისაზღვრა კოოპერატივების შიგა საწარმოო ურთიერთობათა რეგულირების მექანიზმები. არ იქნა გაითვალისწინებული ეკონომიკურ-ფინანსური მექანიზმი სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის თვალსაზრისით. მათ გარეშე კი კოოპერატივის განვითარების პროცესის დაწყება პრაქტიკულად შეუძლებელია. მოგვიანებით სოფლის მეურნეობის

სამინისტრომ მოამზადა აღნიშნულ კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი (2013 წლის 20 სექტემბერს და 2 ოქტომბერს), თუმცა ამ ცვლილებებმა ვერ მოახდინა კანონის სრულყოფა.

საქართველოში 2013 წლიდან ხორციელდება სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD), რომელიც მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის სექტორის გამოცოცხლებას ხელისუფლებას, სამოქალაქო საზოგადოებასა და ფერმერებს შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის პირობებში.

ბოლო დროს საქართველოში აგროსფეროს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად იქცა კოოპერაციული მუშაობის დანერგვისა და კოოპერატივის ინსტიტუციური განვითარების საკითხი. ლოკალური ტრადიციის, თითქმის საუკუნოვანი წყვეტის გამო ამ თემების გარშემო ფერმერულ ჯგუფებში ჯერ კიდევ ბუნდოვანი დამოკიდებულება და წარმოდგენები არსებობს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო (სოფლის მეურნეობის სამინისტრო, კოოპერატივების განვითარების სააგენტო) და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ კოოპერაციული მუშაობის ცნობიერების განვითარებასა და ამ პრაქტიკის დანერგვას. მათი მცდელობით იზრდება კოოპერატივებად დარეგისტრირებული ფერმერული ჯგუფების რიცხვი, რომლებიც ხედავენ კოოპერაციული საქმიანობის უპირატესობებს. პირველ რიგში ეს უპირატესობაა ცალკეულ ფერმერებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, ბიზნესის წამოსაწყებად საჭირო დანახარჯებისა და რისკების თანაბრად განაწილება, ერთობლივი ეკონომიკური საქმიანობით სტაბილური ბაზრის უფრო ხელმისაწვდომო-ბა, ვიდრე - ინდივიდუალური წარმოებით.

კოოპერატივების მუშაობის სტილი მეტ-ნაკლებად მოქნილია და დღევანდელი მოთხოვნილებების ადექვატური. სახელმწიფოსათვის იგი წარმოადგენს ძლიერ და სანდო პარტნიორს სოფლად რთული ეკონომიკური და ორგანიზაციული პრობლემების მოგვარებისას.

ამ მიზნის რეალიზაცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებების შექმნისა და მათი გადამმუშავებელ საწარმოებთან ინტეგრირების გზით წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი საწარმოო ციკლით. კოოპერაციული საწარმოების ორგანიზაციული ფორმა უნდა იყოს იმდენად სრული, რომ ადგილს არ უტოვებდეს საწარმოო პროცესში სხვის დიქტატს.

აღნიშნული საკითხის სინერგიული ეფექტი რეალურად გამოიხატება შემდეგში:

- ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ინტენსიურ განვითარებაში.

-სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნაში, სადაც პირველადი პროდუქციის მწარმოებლები ყოველგვარი შუამავალი რგოლების გარეშე მიიღებენ გაზრდილ მოგებას პროდუქციის რეალიზაციიდან.

- ევროპული ტიპის ვერტიკალური ინტეგრირების პრინციპზე დაფუძნებული კოოპერაციული სისტემის ჩამოყალიბებაში, რომლის ფარგლებში მოხდება პირველადი პროდუქციის მწარმოებელთა სახელმწიფო მხარდაჭერა, არა მხოლოდ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის საკითხში, არამედ ამ პროდუქციიდან ლიკვიდირებული, მაღალი ხარისხის პროდუქციის შექმნით, რაც გაცილებით მეტ სარგებელს მოუტანს, როგორც ფერმერს, ასევე ქვეყანას.

- დემოკრატიული და სოციალური სოლიდარობის პრინციპებზე დაფუძნებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კლასიკური შიდასაწარმოო ურთიერთობების დანერგვაში;

- შედარებით წვრილი 3-5 წევრიანი კოოპერატივების ნაცვლად (დღემდე დაფუძნებული კოოპერატივების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ასეთია), მრავალწევრიანი (მინიმუმ 50 წევრი) კოოპერატივების სტიმულირებაში და პირველი დონის კოოპერატივების მიერ საწარმოო და მარკეტინგული ფუნქციებით აღჭურვილი მეორე დონის კოოპერატივის შექმნაში;

- სისტემურ-სინერგიული ეფექტი მიიღწევა შემდეგი ძირითადი კომპონენტების ერთობლიობის საფუძველზე: ეკონომიკური ეფექტი, სოციალური ეფექტი, პროექტის სიცოცხლისიუნარიანობა. [**საქართველოს..., 2013**]

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო არ განახორციელებს ,,სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის“ განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებს და მოახდენს მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ხელშეწყობას ,,იაფი სესხისა“ და ,,თანადაფინანსების“ პროგრამების ფარგლებში, ასეთ შემთხვევაში ვერ მოხერხდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნა. აგროსექტორი პრაქტიკულად ჩაიკეტება კოოპერაციული, სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული, დემოკრატიული და ცივილიზებული შიგასაწარმოო ურთიერთობების განვითარებისათვის. ის გადაიქცევა ფეოდალური საწარმოო ურთიერთობების ასპარეზად, სადაც აგრომწარმოებლებიდან ნედლეულის შესყიდვა მოხდება იმ ფასით, რომელსაც მათ უკარნახებს მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ორიენტირებული გადამმუშავებელი საწარმო. ცხადია, ასეთი მიდგომა მხოლოდ უკუშედეგის მომტანი იქნება, რაც საფუძველშივე ეწინააღმდეგება ქართული სოფლის ინტერესებს. სასოფლო-სამეურნეო სისტემის განვითარებაში კოოპერატივს, როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სხვა ფორმებს შორის. სხვა შემთხვევაში ეკონომიკური პროცესი ამ სექტორში მიმართული იქნება არა გლეხთა შემოსავლების ზრდაზე, არამედ მათი ეკონომიკური ინტერესების შეზღუდვით გადამმუშავებელ საწარმოთა (შპს) მეპატრონეების გამდიდრებაზე. საწარმოო კოოპერაციისათვის დამახასიათებელი ყოველგვარი სიკეთე პრაქტიკულად მიუწვდომელი იქნება ადგილობრივი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის. იგი მოხმარდება მხოლოდ რამდენიმე ადამიანის კიდევ უფრო გამდიდრებას.

შპს-ებისა და მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განვითარებას, რა თქმა უნდა თავისი ადგილი გააჩნია საბაზრო ეკონომიკის

პირობებში, მაგრამ როცა არსებობს აგროწარმოების განვითარების სხვა უფრო ძლიერი სოციალური და ეკონომიკური მოტივები, მათი იგნორირება სერიოზულ მეთოდოლოგიურ შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

საქართველოს მთავრობის მიერ დაწყებული სოფლის მეურნეობის დახმარების ღონისძიებათა წარმატებით განხორციელება დიდად არის დამოკიდებული რიგ კონკრეტულ საკითხებზე, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო სისტემის სწორი ორგანიზაციული მოდელის შერჩევა, ანუ იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს ამ დახმარების უკუგების ყველაზე მაღალ ხარისხს.

ჩვენი აზრით, მეტად მდიდარი გამოცდილებაა დაგროვილი საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში ფერმერული მეურნეობების, კოოპერატივების განვითარების თვალსაზრისით. საჭიროა ამ გამოცდილების გათვალისწინება, რომელთა უნარიანი გამოყენება ზევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მეცნიერულად დასაბუთებელ პროგრამას შევადგენთ ამ მიმართულებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორ მიზანმიმართულად გამოვიყენებთ და განვახორციელებთ პრაქტიკულად. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მივაღწიოთ აგრარულ სფეროში ფერმერული მეურნეობების, კოოპერატივების განვითარების სასურველ შედეგებს.

კოოპერატივების მუშაობის სტილი მეტ-ნაკლებად მოქნილია და დღევანდელი მოთხოვნილებების ადექვატური. ამას ადასტურებს ჩვენ მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით ჩატარებული კვლევის შედეგებიც. კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ კოოპერატივები აგრარული საქმიანობის განხორციელების საუკეთესო საშუალებაა და სახელმწიფოსაგან სათანადო ხელშეწყობის პირობებში ამცირებს პრობლემებს დარგში, ქმნის მეტი სარგებლის მიღების შესაძლებლობას ერთიანი ძალისხმევით. გამოკითხულები ერთხმად აღიარებენ კოოპერატივის დადებით მხარეებს და უჭირთ ნაკლოვანებების დასახელება.

კვლევის მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ არსებული რეალობა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე წარმოდგენილი. არის პრობლემები, რომლებიც დროულად რეაგირებას საჭიროებს, რადგან მათ გააჩნია მასობრივი ხასიათი. ეს პრობლემა გამოიხატება იმაში, რომ არ ფლობენ მიწას საკუთრებაში, რაც სტაბილურ განვითარებას უშლის ხელს.

გამოკითხვის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა, თუ რა პრობლემებია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სფეროში და შეიცვალა თუ არა არსებული პრობლემები კოოპერატივების შექმნის შედეგად.

რესპოდენტთა თითქმის 90% აღნიშნავს, რომ შემსუბუქდა პრობლემები არსებული ხელშეწყობის საფუძველზე, საქმიანობის ერთიანი პრინციპიდან გამომდინარე, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ყურადღებას ამახვილებენ ისეთ მოწყობილობაზე, როგორიცაა მოტობლოკი, რაც ადრინდელთან შედარებით ბევრად აადვილებს სამუშაო პროცესს.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად აღიარებენ მიწების ფრაგმენტაციას, რომელიც პრობლემას ქმნის, როგორც ეკონომიკური საქმიანობის, ისე ფინანსების მოზიდვის თვალსაზრისით.

გამოკითხულთა 99% მიიჩნევს, რომ სესხები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის არ არის ხელმისაწვდომი, საკუთარი სახსრები კი არასაკმარისია და ვერ ახერხებენ საჭირო მოწყობილობების და სხვა საშუალებების შეძენას. ( ცხრილი 2.3.2)

**ცხრილი 2.3.2**

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გამოკითხვის შედეგები**

| N | შეკითხვა | პასუხები | შედეგები %-ობით |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | რა იყო კოოპერატივის შექმნის საფუძველი? | მხარდაჭერა<br>ერთობლივი მუშაობა | 95<br>5 |
| 2 | როგორ დაახასიათებდით კოოპერატივს? | დადებითად<br>უარყოფითად | 98<br>2 |
| 3 | არის თუ არა განსხვავება ადრინდელ და ახლანდელ პრობლემებს შორის? | დიახ<br>არა | 90<br>10 |
| 4 | არის თუ არა სესხები ხელმისაწვდომი? | დიახ<br>არა | 1<br>99 |
| 5 | თვლით თუ არა, რომ კოოპერატივები საუკეთესო საშუალებაა ქვეყანაში აგრარული სექტორის განვითარებისათვის? | დიახ<br>არა | 100<br>0 |

წყარო: ჩატარებული კვლევის შედეგები

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით კოოპერატივებთან დაკავშირებით, ნათლად აჩვენა, რომ კოოპერატივები საუკეთესო საშუალებაა საქმიანობის განხორციელების თვალსაზრისით, ხელშეწყობის პირობების არსებობით, რაც ამცირებს პრობლემებს და ქმნის მეტი სარგებლის მიღების შესაძლებლობას ერთიანი ძალისხმევით. გამოკითხული კოოპერატივის მქონე სუბიექტები ერთხმად აღიარებენ კოოპერატივის დადებით ტენდენციებს და უჭირთ კოოპერატივის უარყოფითი მხარეების გამოვლენა.

# თავი III. სახელმწიფო რეგულირება და მხარდაჭერა, როგორც ეკონომიკური ეფექტიანობის პრობლემების გადაწყვეტის მექანიზმი

## 3.1. სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის როლი აგრარული სფეროს პრობლემების გადაწყვეტაში

ეკონომიკის აგრარული სექტორის სახელმწიფო მხარდაჭერა ქვეყნის აგრარული პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შერბილდეს აგრარული სექტორისა და ეკონომიკის სხვა დარგებს შორის საქონელ

მიმოცვლის არაექვივალენტურობის შედეგები. იგი უზრუნველყოფს აგრარული სფეროს ფუქციონირების ეფექტიანობას ქვეყანაში.

აგრარული სექტორი, მრეწველობასთან ერთად, ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალია. მისი მთავარი ამოცანაა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა და მრეწველობის ნედლეულით მომარაგება. მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ იმ ქვეყანებში, სადაც აგრარულმა სექტორმა განვითარების მაღალ დონეს მიაღწია, როგორც წესი, ხელისუფლების მოწადინებით და აქტიური ჩარევით გახდა შესაძლებელი. ამ სახელმწიფოების მესვეურთ კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება, საექსპორტო ბაზარზე პოზიციების განმტკიცება, მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარება, წარმოუდგენელია ამ დარგის სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერისა და რეგულირების, ასევე მისთვის პრიორიტეტული მნიშვნელობის მინიჭების გარეშე.

ამ ამოცანების გადაჭრაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფო რეგულირების სისტემამ.

აგრარული წარმოების სახელმწიფო რეგულირება რთული და მრავალწახნაგოვანი სისტემაა. მისი განხორციელება საქართველოში ძირითადად ორი მიმართულებით არის შესაძლებელი :

1. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და პროდუქტების ბაზრის ფორმირება;

2. ადგილობრივ მწარმოებელთა ინტერესების დაცვა.

პირველი მიმართულება მოიცავს საბაზრო სფეროს ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა კომპლექსს, რომელთაგან ცენტრალური ადგილი უკავია პროდუქციის მწარმოებლების შემოსავლებისა და მათი პროდუქციის ფასების რეგულირების პოლიტიკას.

მეორე მიმართულება ითვალისწინებს პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებას სახელმწიფოს მხრიდან, რომელშიც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული საშინაო ბაზრის დაცვა. ჩვენი ქვეყნის აგრარულ სექტორში

სახელმწიფოს მხარდაჭერის შემაფერხებელი ფაქტორებია ის, რომ განსაზღვრული არ არის თვითრეგულირების საბაზრო და სახელმწიფო ზემოქმედების მექანიზმების ოპტიმალური თანაფარდობა, ასევე ჩამოუყალიბებელია სახელმწიფო რეგულირების გრძელვადიანი მეცნიერული კონცეფცია.

სახელმწიფოს მხრიდან საქართველოს აგრარულ სექტორში აუცილებელია სათანადო ყურადღება მიექცეს სოფლის მეურნეობის მიზნობრივი პროგრამების შემუშავებას, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი წარმოების პრიორიტეტული მიმართულებები.

როგორც აღვნიშნეთ, აგრარული სექტორის თვისებრივი განვითარება შეუძლებელია მრავალმხრივი სახელმწიფო მხარდაჭერისა და რეგულირების, სწორი დარგობრივი პოლიტიკის გატარების გარეშე. ამ პოლიტიკის ქვაკუთხედი და ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი არის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისადმი ხელისუფლების მიდგომა. ზოგადად ცნობილია, რომ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის ევროპასა და იაპონიაში, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა აღიარებულია ეროვნულ სიმდიდრედ, რომლის გონივრული განკარგვა სახელმწიფოს კეთილდღეობის აუცილე-ბელ პირობას წარმოადგენს. ამიტომ ხელისუფლება აქტიურად ერევა როგორც მიწის ბაზრის მართვაში, ასევე სავარგულების ექსპლუატაციის საკითხებში. დაწესებულია ნაკვეთების ზღვრული მინიმუმი და მაქსიმუმი (რეგიონული თავისებურებებისა და წარმოების სპეციფიკის მიხედვით). ამგვარი მიდგომა ხელს უშლის, როგორც მიწების დაქუცმაცება-დანაწევრებას, ასევე მათ გაუმართლებელ გამსხვილებას. სახელმწიფო აკონტროლებს იმასაც, თუ ვინ ყიდულობს მიწას, აკრძალულია მისი მიყიდვა იურიდი-ული პირებისათვის, მიწის შეძენა არ შეუძლიათ უცხოელ მოქალაქეებს და ა.შ. ყოველივე ეს ხელს უწყობს წარმოებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნასა და სოფლად მცხოვრები ადამიანების სასიცოცხლო უფლებების დაცვას, ემსახურება სოფლად ცხოვრების შენარჩუნება-განვითარებას. **[ზურკაძე,...2003:16]**

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლებას არეგულირებს საქართველოს კანონი ,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ", რომელიც მიღებულ იქნა 1996 წელს, ხოლო 2007 წელს კანონის მე-4 მუხლის ა-ქვეპუნქტში შეტანილი ცვლილების შემდეგ იგი ასე ჩამოყალიბდა: ,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება აქვს როგორც საქართველოს მოქალაქეს, კომლს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, ასევე ამ მუხლის 11 , 12 და 13 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს. ამასთანავე, უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს საკუთრების უფლება აქვს მხოლოდ იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც მათ მემკვიდრეობით მიიღეს, ხოლო უცხოელს - აგრეთვე იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელსაც ის მართლზომიერად ფლობდა, როგორც საქართველოს მოქალაქე". **(საქართველოს... 2007)**

სტრატეგიული მნიშვნელობის მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს 2017 წლის ივნისში ქვეყანაში მიღებული ,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების" მორატორიუმის პროცესი. რითაც კანონში ცვლილებების განხორციელებამდე შეუძლებელი იქნება მათი გასხვისება.

ამჟამად ქვეყანაში მოქმედი აგრარული პოლიტიკა ამ სექტორის წინაშე მდგარი ამოცანებისა და მიზნების არაადექვატურია. პირიქით, ამ სფეროში ჩატარებული რეფორმების გატარებისას დაშვებულმა შეცდომებმა მნიშვნელოვნად შეასუსტა აგროსასურსათო სექტორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პროდუქტიულობა, რაც სხვა მიზეზებთან ერთად ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის ერთ-ერთ სერიოზულ მიზეზად იქცა. მართალია წინა პლანზე წამოიწია სასურსათო პროდუქტების მწარმოებლური დარგების პრიორიტეტულმა განვითარებამ, მაგრამ იგი მიმდინარეობს სტიქიურად. ამრიგად, სახელმწიფომ უნდა აიღოს საკუთარ თავზე

სხვადასხვა პროცესების, უპირატესად კი სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარება, მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების შეთანაწყობა და დაცვა, როგორც ეკონომიკის, ასევე სოციალური სფეროს სამართლებრივი რეგულირება, რის საფუძველზეც ქვეყანაში ჩამოყალიბდება სამართლიანი კონკურენტული გარემო.

საქართველოს მთავრობამ 2010 წლის 25 ივნისს დაამტკიცა საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წლების სახელმწიფო სტრატეგია, რომლის მე-5 თავში აღნიშნულია: ,,სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია“. ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია აგრარული სფეროს განვითარების რეგულირებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები:

1. სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების, ამოცანებისა და განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრის მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია.

2. მიღებულ უნდა იქნეს კანონი ფერმერების შესახებ, რომლითაც განისაზღვრება მათი სტატუსი და უფლება-მოვალეობანი.

3. სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ენდემური და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების (მევენახეობა-მეღვინეობა, მეხორბლეობა, მეჩაიეობა და ა.შ.) რეაბილიტაციის ღონისძიებების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა.

4. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ სათანადო ფინანსური მხარდაჭერით მათ მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამურნეო სავარგულების ზუსტი აღრიცხვის და მიწის ბალანსის შესადგენად.

5. საჭიროა განხორციელდეს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მონაცემთა ბაზის შექმნა და მელიორირებული ფართობების ინვენტარიზაცია.

6. უნდა განხორციელდეს ფერმერებისა და აგრობიზნესში დაკავებული მეწარმეების დაკრედიტების სისტემის სრულყოფა. შეიქმნას ხელსაყრელი პირობები კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მოსაზიდად.

7. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად საჭიროა შეიქმნას აგრომექანიზაციის მომსახურების სახელმწიფო ცენტრები, რომელთა კოორდინაცია უზრუნველყოფილ იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

8. საჭიროა ღონისძიებების განხორციელება ბაზრის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობების ამაღლების მიზნით საინფორმაციო ქსელის შექმნა.

9. საჭიროა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამეწარმეო ინიციატივების წახალისება, საოჯახო მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მხარდაჭერა.

მთავრობის ამ დადგენილებიდან საწყის ეტაპზე არაფერი გაკეთებულა. უფრო მეტიც, ენდემური ხორბლისა და სიმინდის ჯიშების ხელშეწყობის მაგიერ ქვეყანაში შემოტანილ იქნა ძვირადღირებული ამერიკული ჰიბრიდული ჯიშები, რამაც ქართველი გლეხობა თითქოს საერთაშორისო ტრანსკორპორაციებს მიაბა, ვინაიდან ყოველ წელს ხორბლისა და სიმინდის დასათესად მათ ისევ მათგან უნდა შეეძინათ სათესლე მასალა. თუმცა ამ პროგრამამ ვერ გაამართლა. შვიდწლიანი გეგმის ბოლო ეტაპზე მთავრობამ შეიმუშავა გარკვეული პროგრამები, თუმცა სასურველი შედეგები ჯერ არ დამდგარა.

აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია: „საქართველოს რეგიონალური განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის ძირთადი მიზანია უზრუნველყოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტებისა და პირობების გაუმჯობესება, რაც მიიღწევა რეგიონების დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით, რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებითა და რეგიონებს შორის არსებული სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებით“. **(საქართველოს, 2017გ)**

ჩვენი ქვეყნის თავისებურებები (რეგიონული მრავალფეროვნება, მათი თავისებურებები, გარდამავალი ეკონომიკის მდგომარეობა და ა.შ.) მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან უფრო აქტიურ ქმედებებს, ქვეყნის ეკონომიკურ სივრცეში დისპროპორციების აღმოსაფხვრელად, რთული რეგიონალური პრობლემების გადასაწყვეტად, ქვეყნის რეგიონების მდგრადი განვითარებისათვის პირობების შესაქმნელად.

საქართველოს გადასვლამ ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაზე მოითხოვა რეგიონული განვითარების სახელმწიფო რეგულირების ღრმა რეფორმირება. რეფორმირების მთავარ მიმართულებებად განისაზღვრა ისეთი პროცესები, როგორებიცაა მართვის ადმინისტრაციულ-ბრძანებლური სისტემის შეცვლა საბაზრო მექანიზმებით, საკუთრების სტრუქტურის რადიკალური ცვლილებები და შესაბამისად, შემოსავლების განაწილების ახალი სისტემა და რეგიონების ეკონომიკური უფლებების გაფართოება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რეგიონებს რთული კლიმატური პირობებით (მთის რეგიონები), რომელთა ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში აგრარული სფერო დიდი წილითა და რთული სოციალური ფონით არის წარმოდგენილი (ასეთებს მიეკუთნება საქართველოს რეგიონების 90%, მათ შორისაა აჭარის არ).

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებები მოითხოვს არა მხოლოდ ეკონომიკური რეფორმის რეალიზაციისათვის დიფერენცირებული ღონისძიებების გატარებას, არამედ რესურსების ცენტრალიზაციისადმი მინიმალურ მოთხოვნებს ქვეყნის მასშტაბით და მათ რეგიონთაშორის გადანაწილებას. რეგიონის ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის ფორმირება დღეისათვის წარმოადგენს განსაკუთრებით აქტუალურ პრობლემას ტერიტორიების ეფექტიანი მართვის თვალსაზრისით და რეგიონის ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების

მიღწევისათვის მოდერნიზაციის და დეცენტრალიზაციის პირობებში, როგორც სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისა და ურთიერთობების გართულების შედეგი.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის ფორმირება მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს რეგიონის ეკონომიკური გარემოს სპეციფიურ თავისებურებებს, შიდა და გარე გარემოს ზემოქმედების მასშტაბებს. ასევე ნათელია, რომ რეგიონული მართვის მექანიზმი ფორმირდება დასახული მიზნების იერარქიის შესრულების აუცილებლობით და უნდა ასახავდეს მარეგულირებელი ეკონომიკური სისტემის მდგრადი განვითარების მაჩვენებლების მისაღწევად ბრძოლას, რომლებსაც განსაზღვრავენ მართვის სუბიექტები. რეგიონული და მასში შემავალი მუნიციპალიტეტების განვითარების პარამეტრების დადგენა განსაზღვრავს რეგიონის ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების მიმართულებებს და აქედან გამომდინარე, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური გარემო ფაქტორებისა და თავისებურებების შესაბამისი სახელმწიფო მართვის მექანიზმების იერარქიას.

რეგიონის ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის ფორმირების მთავარ მიზანს, შეზღუდული რესურსების პირობებში წარმოადგენს ეფექტიანი ქმედებების პროგრამის შემუშავების გზით, მართვის პროცესების მიმართულების განსაზღვრა, რეგიონის ეკონომიკური სისტემისათვის მთლიანობაში და უშუალოდ სტრუქტურის იერარქიის ყოველი დონისათვის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს რეგიონის ეკონომიკის გადასვლას განვითარების ხარისხობრივად ახალ დონეზე.

რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეკონომიკის აგრარული სფეროს განვითარებას. რეგიონების, განსაკუთრებით კი მთის რეგიონების ეკონომიკის ძირითად დარგს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. ამიტომ უმთავრესი ყურადღება რეგიონების სახელმწიფო მხარდაჭერის საქმეში უნდა დაეთმოს აგრარული სფეროს განვითარებას, რაც რეგიონის ეკონომიკის განვითარების საფუძველი გახდება. ყურადღება უნდა გამახვილდეს რეგიონული ეკონომიკის ისეთ ფორმაზე, როგორიცაა კლასტერი, რაც გულისხმობს თავმოყრას, კონცენტრაციას

არსებული პროდუქციისა და მისი გადამამუშავებელი საწარმოსი, რაც უზრუნველყოფს დანახარჯების მინიმუმამდე დაყვანას,

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით 2012 წელს დაარსდა ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (ARMA), რომელიც ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებს და მართავს სხვადასხვა დაქვემდებარებულ სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელ საწარმოებს. მისი მისიაა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, ხოლო ძირითადი ფუნქციები:

ა) სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტების დაგეგმვა და მართვა;

ბ) დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი საწარმოების მართვა.

სააგენტო სახელმწიფო პროექტის ,,აწარმოე საქართველოში - სწრაფი განვითარებისათვის“ ფარგლებში დღეისათვის ახორციელებს შემდეგ პროექტებს:

1. დანერგე მომავალი;
2. ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციის პროგრამა;
3. აგროსაწარმოების ხელშეწყობის პროგრამა;
4. შეღავათიანი აგროკრედიტი;
5. გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი;
6. აგროდაზღვევა;
7. აწარმოე საქართველოში;
8. სეზონური პროექტები.

1. **პროექტი „დანერგე მომავალი“** ინიცირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ,,ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით.

თანადაფინანსება ხორციელდება ორი დამოუკიდებელი კომპონენტის ფარგლებში:

ა) მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტი (შემდგომში ბაღების კომპონენტი);

ბ) სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების კომპონენტი (შემდგომში სანერგეების კომპონენტი);

პოტენციურ ბენეფიციარს შეუძლია ისარგებლოს პროგრამის ორივე კომპონენტით დადგენილი წესებითა და პირობებით.

პროექტი მიზნად ისახავს:

– საქართველოში არსებული სასოფლო სამეურნეო მიწების ეფექტურ გამოყენებას მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;

- ადგილობრივი მაღალხარისხიანი, ფიტოსანიტარულად სუფთა სარგავი მასალების (ნერგების) წარმოების მხარდაჭერას, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება თანამედროვე ინტენსიური ბაღების გაშენებით დაინტერესებული პირებისათვის იმპორტირებულთან შედარებით იაფი სარგავი მასალების შეთავაზება. ეს ყოველივე კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოში ახალი ბაღების გაშენებას და მეხილეობის სექტორის რაოდენობრივ და თვისობრივ გაუმჯობესებას.

**2. ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა:**

პროგრამის ზოგადი პირობებია:

• პროგრამის ფარგლებში ხორციელდება როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციის სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსება.

- ფინანსდება პროგრამის ბენეფიციარის (გარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა) საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაცი(ებ)ის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების 60% -ის ოდენობით, ხოლო ჩაის პლანტაცი(ებ)ის იჯარის უფლებით მიღებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების 70% -ის ოდენობით;
- ფინანსდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაცი(ებ)ის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების 80% -ის ოდენო- ბით, ხოლო ჩაის პლანტაცი(ებ)ის იჯარის უფლებით მიღებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულე- ბის 90% -ის ოდენობით;
- სააგენტო პროგრამაში ჩართულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასცემს ჩაის პირველადი დამუშავების მანქანა-დანადგარებს, მოწყობილობებსა და ინვენტარს.
- სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება ერთ ჰა-ზე გადაანგარიშებით არ უნდა აღემატებოდეს 2500 ლარს (დღგ-ს ჩათვლით). იმ შემთხვევაში, თუ სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება 1 ჰა-ზე აღემატება 2500 ლარს, თანადაფინანსების მოცულობის დადგენა 1 ჰა-ზე განხორციელდება 2 500 ლარიდან გამომდინარე.
- სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსება ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოებს ასრულებს სააგენტოს მიერ წინასწარ შერჩეული რეაბილიტაციის განმახორციელებელი კომპანიებიდან ერთ-ერთი.
- პროგრამის ბენეფიციარის საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაცი(ებ)ი ან პროგრამის ბენეფიციარის მიერ შერჩეული და სახელმწიფოსგან იჯარის უფლებით მისაღები სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაცი(ებ)ის ფართობი არ უნდა შეადგენდეს 5 ჰა-ზე ნაკლებს და არ უნდა აღემატებოდეს 300 ჰა-ს;

• პროგრამის ბენეფიციარმა (გარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა) უნდა უზრუნველყოს ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა/გაფართოება, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა უნდა უზრუნველყოს ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი შენობა-ნაგებობის შექმნა/გაფართოება.

• სააგენტო ახორციელებს პროგრამის ბენეფიციარებისათვის ტექნიკურ დახმარებას ჩაის სწორად დამუშავების ტექნოლოგიებში, სერტიფიცირებაში, მარკეტინგში, რეალიზაციის არხების შექმნაში და სხვა.

პროგრამის ფარგლებში ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის მიზნით განსახორციელებელი სამუშაოების ჩამონათვალი წარმოადგენს:

- ჩაის პლანტაციის გაწმენდა (ხეებისგან, მეტალის და ბეტონის ნარჩენებისგან, უცხო საგნებისგან);
- პლანტაციის მძიმე ან ნახევრადმძიმე გასხვლა;
- სადრენაჟე არხის მოწყობა (სადრენაჟე არხის მოწყობა შესაძლებელია პლანტაციის მძიმე ან ნახევრად მძიმე გასხვლამდეც);
- რიგთაშორის ნიადაგის დამუშავება/გაფხვიერება (ზედაპირული გაფხვიერება 15-20 სმ სიღრმეზე);
- პირველ წელს სასუქების და სასოფლო-სამეურნეო პრეპარატების (მათ შორის ბიო) შესყიდვა. **(დანართი 20)**

**3. აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა** ხორციელდება ,,სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტის“ (AMMAR) ფარგლებში.

პროგრამა ფინანსდება სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) და გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) მიერ.

პროგრამა ინიცირებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და მას ახორციელებს ა(ა)იპ ,,სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ ,,ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში.

პროგრამის მიზნებია:

- პირველადი წარმოების პროდუქტის ხარისხისა და მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობა;
- არსებული ბაღების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების ხელშეწყობა;
- მოქმედი გადამამუშავებელი და შემნახველი აგროსაწარმოების გაფართოებისა და მოდერნიზაციის ხელშეწყობა;
- საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;

პროგრამა მოიცავს კომპონენტებს, როგორც ინდივიდუალური ფერმერების, ასევე გადამამუშავებელი საწარმოების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების თანადაფინანსებისთვის.

- პირველადი წარმოების კომპონენტი - ინდივიდუალური ფერმერების, რეგისტრირებული კომერციული იურიდიული პირების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დაფინანსება.
- გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტი - მოქმედი გადამამუშავეველი და შემნახველი საწარმოების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დაფინანსება.

პროგრამის განხორციელების მიზნობრივი გეოგრაფიული არეალია:

- საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი ქალაქების: თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ბათუმისა და ფოთის გარდა.
- პირველადი წარმოების და გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტების ფარგლებში დასაფინანსებელი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: ხურმა, ვაშლი, ატამი, კივი, ბოსტნეული, დაფნა, თაფლი, კენკროვანი კულტურები.

**4. შეღავათიანი აგროკრედიტის** პროგრამა ინიცირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და 2013 წლის 27 მარტიდან ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ,,ერთიანი აგროპროექტის" ფარგლებში.

პროექტის მიზანია სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესებისათვის ხელშეწყობა ფიზიკური და იურიდიული პირების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით.

პროექტის ფარგლებში სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის მიმართულების საწარმოები საფინანსო ინსტიტუტებისგან მიიღებენ შეღავათიან აგროკრედიტს/აგროლიზინგს ძირითადი და საბრუნავი საშუალებებისთვის.

პროექტის ფარგლებში სესხი გაიცემა მხოლოდ იმ პირებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ პროექტით განსაზღვრულ პირობებს.

„შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის" ფარგლებში აგროკრედიტებს გასცემენ პროექტში მონაწილე კომერციული ბანკები და საფინანსო ინსტიტუტები, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო არ მონაწილეობს საკრედიტო განაცხადის დამუშავების და კრედიტის გაცემის პროცესში.

„შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი" მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1. შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის;
2. შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის;
3. შეღავათიანი აგროლიზინგი;
4. სახელმწიფო პროგრამა "აწარმოე საქართველოში". **(დანართი 21)**

**5. გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი** - ინიცირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ,,ერთიანი აგროპროექტის" ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით.

პროექტი მოიცავს ორ კომპონენტს:

1). სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტი;

2). შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტი;

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება შესაძლებელია 3 ძირითადი წყაროს გამოყენებით:

ა) სააგენტოს თანადაფინანსება - პროექტის ჯამური ღირებულების 40%, მაგრამ არაუმეტეს 600 000 ლარისა;

ბ) შეღავათიანი კრედიტი/ლიზინგი - პროექტის ჯამური ღირებულების არაუმეტეს 50%, მაგრამ არაუმეტეს 1 500 000 ლარისა;

გ) ბენეფიციარის საკუთარი თანამონაწილეობა - პროექტის ჯამური ღირებულების არანაკლებ 10%, საწარმოს კაპიტალში ფულადი შენატანის სახით.

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის მიზნობრივი არეალია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი და ქალაქი, შემდეგი თვითმმართველი ქალაქების გარდა: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი. **(დანართი 22)**

**6. აგროდაზღვევის** პროგრამა 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა და მიზნად ისახავს აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას, აღნიშნული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნებას და რისკების შემცირებას.

პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ ,,სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ ,,ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში და პროგრამის განხორციელების მიზნით, სააგენტო აფორმებს ხელშეკრულებებს საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი წესით ლიცენზირებულ შესაბამის სადაზღვევო კომპანიებთან, აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე ახდენს სადაზღვევო პრემიის სუბსიდირებას და მათ მონიტორინგს.

დაინტერესებულ ბენეფიციარებს სადაზღვევო პოლისის შეძენა შეუძლია საქართველოში მოქმედ 5 სადაზღვევო კომპანიაში:

- ალდაგი
- ჯი პი აი ჰოლდინგი
- აი სი ჯგუფი
- არდი
- ალფა

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო პოლისი დაფარავს შემდეგ სადაზღვევო რისკებს:

- სეტყვა
- წყალდიდობა
- ქარიშხალი
- საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისათვის) – 1სექტემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში.

აგროდაზღვევის 2016-2017 წლის პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარს შეუძლია დააზღვიოს 5 ჰა-მდე მიწის ნაკვეთი (მარცვლეული კულტურის შემთხვევაში 30 ჰა).

თითოეული დამზღვევი 70% -იან თანადაფინანსებას მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კულტურაზე, ხოლო ვაზზე 50 % -ს. ამასთან, დამზღვევს შესაძლებელია დაზღვეული ჰქონდეს როგორც მარცვლეული კულტურა, ისე სხვა კულტურები ერთდროულად. პროგრამის მიხედვით განსაზღვრული იქნა ფიქსირებული სადაზღვევო ტარიფი. ასევე, გაუმჯობესდა და მაქსიმალურად მოერგო მომხმარებლის მოთხოვნებს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის და ფრანშიზის (არანაზღაურებადი მინიმუმის) გამოქვითვის წესი. ერთი და იგივე რისკის ხდომილებისას, იმ შემთხვევაში თუ მეორე სადაზღვევო შემთხვევა მოხდება წინა სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტის შედგენამდე ფრანშიზა გამოიქვითება ერთჯერადად

მხოლოდ იმ პირობით, თუ მზღვეველს ორივე სადაზღვევო შემთხვევის შესახებ შეტყობინება მიღებული აქვს ამ პროგრამით განსაზღვრული წესით. მოცდის პერიოდი მოიცავს 4 კალენდარულ დღეს.

**7. „აწარმოე საქართველოში“** პროგრამას ახორციელებენ - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომლის მიზანია:

- წარმოებაზე ორიენტირებული ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა;
- ახალი საწარმოების შექმნის და არსებულის გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობა;
- სოფლის მეურნეობის მიმართულება.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

• დაფინანსებული სესხით/ლიზინგით აუცილებელია შეიქმნას მხოლოდ ახალი საწარმო ან გაფართოვდეს/გადაიარაღდეს არსებული საწარმო

• საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, სანიტარულ და სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს.

ახლად შექმნილი ან გაფართოებული/გადაიარაღებული საწარმოს შენობა-ნაგებობებსა და მიმდებარე ტერიტორიას უნდა გააჩნდეს ესთეტიური გარეგანი სახე სესხის/ლიზინგის გაცემა შესაძლებელია შემდეგი მიზნობრიობით:

ა) პირველადი სასოფლო–სამეურნეო საწარმოების დაფინანსება:

• ბოსტნეულის, კენკროვანი კულტურების, მწვანილის და სოკოს მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობა;

• მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის მესაქონლეობის ფერმა (მერძეული–მეხორცული);

• მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის მეღორეობის ფერმა;

• მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის მეფრინველეობის ფაბრიკა (მხოლოდ მეხორცული მიმართულების გამოსაზრდელი და სანაშენე დანიშნულების მქონე);

• მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის მცირფასბეწვიანი ცხოველების ფერმა;

• მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის თევზის წარმოება;

• მეფუტკრეობის პროდუქციის წარმოება;

• საჩითილეები და სანერგეები;

• მრავალწლიანი კულტურების ბაღები, ზვრები, პლანტაციები და სხვა.

ბ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების დაფინანსება:

- ხილის, კენკროვნების, ბოსტნეულის, სოკოს, ციტრუსის გადამუშავება;
- კაკლის, თხილის, მიწის თხილის და სხვა კაკლოვნების გადამუშავება;
- მატყლის, ტყავის გადამუშავება;
- დაფნის, ჩაის, თამბაქოს გადამუშავება;
- ხორცის და რძის გადამუშავება;
- მცენარეული ცხიმების (ზეთის, მარგარინის, ერბოს) და ხალვის წარმოება;
- ეთერზეთებისა და სუნელების წარმოება;
- სასაკლაოს მოწყობა;
- მეფუტკრეობის პროდუქციის გადამუშავება;
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ცხოველების, ფრინველების და თევზების საკვების წარმოება.

გ) ინფრასტრუქტურული საწარმოების დაფინანსება:

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი საწყობები;
- მარცვლეულის საშრობები;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი სამაცივრო მეურნეობები;

პროგრამის ფარგლებში სესხი/ლიზინგი არ შეიძლება გაიცეს ყურძნის გადამუშავების შედეგად მიღებული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საწარმოებლად.

კრედიტის/ლიზინგის პირობებია შემდეგი:

პროგრამის ფარგლებში ერთი სესხის/ლიზინგის მოცულობა არ უნდა იყოს 1 500 000 ლარზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 5 000 000 ლარს. 5 000 000 ლარზე მეტი თანხის მოთხოვნის შემთხვევაში, დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

გაცემული სესხების/ლიზინგების საშეღავათო პერიოდი ძირითად თანხაზე შემდეგია:

- ძირითადი საშუალებებისთვის - არანაკლებ 24 თვისა;
- საბრუნავი საშუალებებისთვის - არანაკლებ 18 თვისა;

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სესხის/ლიზინგის გამცემი საფინანსო ინსტიტუტი და მსესხებელი შეთანხმდებიან სხვა სახის საშეღავა,თო პერიოდზე.

პროგრამით გათვალისწინებულია სესხის შემდეგი საპროცენტო განაკვეთები პირველი 24 თვის განმავლობაში. კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია გაიცეს სესხი როგორც ფიქსირებული, ასევე ცვლადი საპროცენტი განაკვეთის სახით, რაც განისაზღვრება შემდეგნაირად:

- 1 500 000 ლარიდან 3 000 000 ლარამდე - არა უმეტეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 6% წლიურად;
- 3 000 000 ლარიდან 5 000 000 ლარამდე - არა უმეტეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 5% წლიურად.

იმ შემთხვევაში, თუ ბანკმა გასცა სესხი ფიქსირებულ განაკვეთში, სესხის გრაფიკი რჩება უცვლელი სესხის მოქმედების პერიოდში;

იმ შემთხვევაში, თუ ბანკმა სესხი გასცა ცვლადი საპროცენტო განაკვეთით, სესხის გრაფიკი შესაძლებელია შეიცვალოს მხოლოდ ბენეფიციარის წილი საპროცენტო

განაკვეთის ჭრილში რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შესაბამისად, ხოლო ყველა სხვა მაჩვენებელი უნდა იყოს უცვლელი.

სააგენტო განახორციელებს საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებას არაუმეტეს წლიური 10%-ის ოდენობით, სესხის გაცემიდან მხოლოდ 24 თვის განმავლობაში.

პროგრამით გათვალისწინებული ლიზინგის საპროცენტო განაკვეთი - არაუმეტეს 13%.

სააგენტო მოახდენს გაცემული ლიზინგის არაუმეტეს 24 თვის პროცენტის თანადაფინანსებას წლიური 12%–ის ოდენობით.

სააგენტო მოახდენს პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ახალი საწარმოებისათვის გაცემული სესხების ძირითადი თანხის მთლიანი მოცულობის 50%-ის, მაგრამ არაუმეტეს 1 500 000 ლარის ოდენობით მეორად უზრუნველყოფას სესხის/ლიზინგის პირველი ტრანშის გაცემიდან მომდევნო 48 თვის მანძილზე. მეორადი უზრუნველყოფა არ ვრცელდება გაცემულ ლიზინგებზე.

იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც სააგენტოს მიერ განხორციელდება საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსება, ან სესხის/ლიზინგის უზრუნველყოფა ბენეფიციარი ვალდებულია:

- დაიცვას სესხის/ლიზინგისა და საინვესტიციო პროექტით განსაზღვრული მიზნობრიობა;
- შეინარჩუნოს დაფინანსებული საწარმოს პროფილი;
- შეასრულოს პროექტით გათვალისწინებული საწარმოო გეგმის ძირითადი მაჩვენებლები.

**8. სეზონური პროექტები** - ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ,,ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში ახორციელებს სეზონურ პროგრამებს ქვეყანაში შექმნილი საჭიროებიდან გამომდინარე. დღეისათვის განხორციელებულია ორი სეზონური პროგრამა: არასტანდარტული ვაშლის რეალიზაციის პროგრამა (2014 წელს) და მანდარინის რეალიზაციის პროგრამა (2014-2015 წლებში). [**სოფლის... 2017**]

2016 წელს პროექტით ,,დანერგე მომავალი“ ქვეყნის მასშტაბით ისარგებლა 259-მა ბენეფიციარმა, საკვლევი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან მხოლოდ ერთმა ბენეფიციარმა, რომლის თანადაფინანსება შეადგენდა 61.361 ლარს.

,,შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროექტით სულ ისარგებლა 1699-მა ბენეფიციარმა, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მხოლოდ 14-მა, რომელთაგან 4-მა მიიღო სესხი 190.000 ლარის ოდენობით, ხოლო 10-მა - 652.700 დოლარის ფარგლებში.

,,სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებისა და შემნახველ საწარმოთა თანადაფინანსების“ პროექტით ქვეყნის მასშტაბით სარგებლობს 31 ბენეფიციარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით მხოლოდ 1.. პროექტის დაფინანსება შეადგენს 1 მლნ. ლარს.

,,აგროდაზღვევის პროგრამა“ პროექტით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობაა - 18.795-ს, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში - 5.790 , რომელთა სადაზღვევო პრემია შეადგენს 1.509.298 ლარს. **(დანართი 23)**

სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს განვითარებისა და საქმიანობაში ხელშეწყობისთვის სახელმწიფო სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამით ეხმარება. „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებით და ხელის სათესებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში, 2016 წელს 207 სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივი დაკმაყოფილდა 265 აგროკომპლექტით. „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებით და ხელის სათესებით უზრუნველყოფის პროგრამა“ მცირეგაბარიტიანი აგროტექნიკის შეღავათიან ფასად, 900 ლარად (რაც მისი ღირებულების 24%-ს შეადგენს) კოოპერატივებისათვის გადაცემას ითვალისწინებს. თითოეულ კომპლექტში შედის მოტობლოკის აგრეგატი სათიბით, გუთნით, კულტივატორით და ხელის სათესი.

2011 წლიდან კომპანია ,,ალიანს ჯგუფი ლიზინგი“ ახორციელებს აგრო ლიზინგს, რომელიც განკუთვნილია სასოფლო-სამეურნეო, აგრო-გადამამუშავებელი და სხვა ანალოგიური საქმიანობის მქონე ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის

სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის მიღებაში და გადამუშავებაში გამოყენებული დანადგარების, საწარმოო ასაწყობი კონსტრუქციებისა და სპეციალური დანიშნულების ტექნიკის ლიზინგით მისაღებად სეზონური დაფარვის გრაფიკით, მინიმალური თანადაფინანსებით 20%-დან. 2012-2013 წწ. სალიზინგო მომსახურება ხელმისაწვდომი გახდა თბილისის გარდა ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში, წალკასა და რუსთავში.

ჩვენი აზრით, აღნიშნული პროექტები ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის გრძელვადიან, მდგრად განვითარებას. ისეთი სამეწარმეო გარემოს შექმნას, რომელიც შედეგად მოიტანს საქართველოში წარმოებული აგროპროდუქციის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ზრდას. კონკურენტუნარიანი, მაღალხარისხიანი პროდუქციის გამოშვებას. უზრუნველყოფს სასურსათო უსაფრთხოების მაღალ დონეს და ექსპორტის ზრდას.

## 3.2. სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის ობიექტური აუცილებლობა და მსოფლიო გამოცდილება

ეკონომიკის აგრარული სფეროს განვითარების მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის მაღალი გადახდისუნარიანი მოთხოვნის დონე არ წარმოადგენს აგრობიზნესის მომგებიანობის გარანტიას. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სწორედ ქვეყნები, სადაც მაღალია ცხოვრების დონე და მოსახლეობის შემოსავლები, გამოირჩევიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების მხარდასაჭერად მაქსიმალური თანხების გამოყოფით. ასე მაგალითად, აშშ-ში იგი ტოლია 46,5 მილიარდი დოლარის (მთლიანი შიდა პროდუქტის 1%), ევროკავშირის ქვეყნებში -

121,4 მილიარდი აშშ დოლარის (1,3%), იაპონიაში - 48,7 მილიარდი აშშ დოლარის (მთლიანი შიდა პროდუქტის 1,4%).

საქართველოში კი გასული ოცი წლის განმავლობაში მთავრობის პოლიტიკაში სოფლის მეურნეობის სექტორს უმნიშვნელო ადგილი ეკავა, განსაკუთრებით, 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ. პრიორიტეტი ენიჭებოდა სექტორებს, რომლებიც სასწრაფო რეფორმებს მოითხოვდა, კერძოდ, ეფექტიან მმრთველობას და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობას. საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარება პრიორიტე-ტი 2010-2011 წლებში გახდა. სოფლის მეურნეობის სექტორზე გადატანილი ახალი აქცენტების შესახებ მრავალჯერ აღნიშნა მთავრობამ. ისინი აისახა 2011-2015 წლების 10-პუნქტიან გეგმაში, რომელიც ბიზნესზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის განვითარებას ითვალისწინებდა, ტრადიციულ შინამეურნეობაზე დაფუძნებულ სოფლის მეურნეობასთან ერთად. ამ მიდგომას მხარი დაუჭირეს ბიზნესის სექტორმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და დონორებმა.

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი, 2013 წლის ბიუჯეტთან შედარებით, 60%-ით იყო გაზრდილი, ხოლო სოფლის მეურნეობისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი (76.16 მილიონი ლარი) 80%-ით მეტი იყო. ეს ზრდა გამიზნული იყო სოფლის მეურნეობის სტრატეგიის განხორციელებისთვის.

2015 წლის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი, 119,998 მილიონი ლარს შეადგენდა, რაც მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის 1.5%-ს წარმოადგენდა, რაც საკმაოდ მოკრძალებული მაჩვენებელია ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის ხვედრით წილთან შედარებით, რომელიც ქვეყნის მშპ-ის 8-9% შეადგენდა, ხოლო დასაქმების თვალსაზრისით მასში სამუშაო ძალის 54%-ი იყო ჩართული. 119,998 მილიონიდან 88.8% (106,575 მილიონი) ორიენტირებული იყო სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამაზე; 4.7% (5,674 მილიონი) სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და დაავადებების რეაბილიტაციისთვის, ხოლო 6.5% (7,750 მილიონი ლარი) მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებაზე. თუმცა 2015 წლის ბიუჯეტში ჩართული არ იყო

დონორების მიერ დაფინანსებული პროექტები, რომლებიც ბიუჯეტის 16%-ს შეადგენდა.

პრიორიტეტული მიმართულებად მთავრობას 2016 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი ჰქონდა სოფლის მეურნეობა, რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი - ,,საქართველოს უკეთესი შიდა და საერთაშორისო ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებულად პრიორიტეტულია ქვეყნის ზოგადი რეგიონული და ინფრასტრუქტურული განვითარება. ტურიზმის განვითარებასთან ერთად ქვეყანა ჩამოყალიბდება რეგიონულ ცენტრად. ქვეყნისათვის აქტუალურ თემად რჩება საგზაო, ენერგეტიკისა და წყლის ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ქვეყნის რეგიონული განვითარება". **(საქართველოს..., 2017ა)**

ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის გამოყოფილი იყო 1 086 400 მლნ. ლარი, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებული იყო:

- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის – 663.0 მლნ ლარი;
- რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის – 217.8 მლნ ლარზე მეტი;
- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია – 200.4 მლნ ლარი.

2017 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გამოყოფილია 238.140 მლნ. ლარი, რაც 2016 წლის გეგმიურ მაჩვენებელს თითქმის 57 მილიონი ლარით ჩამორჩება. სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამისთვის გათვალისწინებულია 176.444 მლნ. ლარი, მაშინ, როცა 2016 წელს ეს მაჩვენებელი იყო 251.870 მლნ ლარი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს განმარტებით, ბიუჯეტის 57 მილიონიანი შემცირება უკავშირდება მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამის გაუქმებას.

ჩვენი აზრით,აუცილებელია არა თუ არსებული ხელშეწყობების და პროგრამების გაუქმება, არამედ გაუმჯობესება და უფრო ქმედითი ღონისძიებების ამოქმედება. მათ შორის აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდოს 5 მლნ 350 ათასი ლარიდან 15 მლნ ლარამდე. აუცილებელია აგროდაზღვევის დაფინანსების 5 მილიონიდან 10 მილიონ ლარამდე.

2017 წლის 29 მაისს საქართველოს მთავრობამ განიხილა „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალური გამოყენების სახელმწიფო პროგრამა“, სადაც აღნიშნულია: „იმისათვის, რომ არ მოხდეს ჩვენი მთიანი რეგიონის მოსახლეობისგან დაცლა და ხელი შევუწყოთ მთაში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, სოფლის მეურნეობის სამინისტრო გამოდის ინიციატივით ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამით, რომელიც ითვალისწინებს მთიან რეგიონებში კოოპერატივების შექმნის შემთხვევაში მთელ რიგ დახმარებებს სახელმწიფოს მხრიდან. ეს იქნება დახმარებათა პაკეტი - ტექნიკისა და სათიბ-საძოვრების გადაცემა იმისათვის, რომ მეცხოველეობის განვითარებას შევუწყოთ ხელი“. **(მაღალმთიან..., 2017)**

ახალი პროგრამის ფარგლებში, რაციონალურად და სწორად მოხდება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების გამოყენება. ამ მიზნით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, რომლებიც პროგრამაში ჩაერთვებიან, იჯარით გადაეცემათ სათიბ-საძოვრები და შესაბამისი აღჭურვილობა - ტრაქტორები, სათიბები, მოთიბული მასის ამკრებ-დამწნეხები და სხვა საჭირო ინვენტარი“.

„მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალური გამოყენება“ კიდევ ერთი სახელმწიფო პროგრამაა, რომელმაც სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა უნდა გააუმჯობესოს და მათთვის კეთილდღეობის შექმნას შეუწყოს ხელი. ძალიან მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ერთობლივი ქართულ-შვეიცარიული კომპანიის „ბლაუენშტაინი“ წარმატებული საქმიანობის მაგალითის გათვალისწინებით, ქვეყნის 24

მუნიციპალიტეტში მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობა აღნიშნული პროგრამის განხორციელებით მოხდება.

მიგვაჩნია, რომ სწორედ ასეთი ტიპის ფინანსური მხარდაჭერაა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართული ჩვენი მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერების რეალურ პერსპექტივაზე გათვლილი აქტივობა.

პროგრამის გეოგრაფიული არეალი მოიცავს 24 მუნიციპალიტეტის - წალკის, თეთრიწყაროს, დმანისის, ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის, ყაზბეგის, თიანეთის, დუშეთის, გორის, ქარელის, ახმეტის, ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის, ჩოხატაურის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის, მესტიის, ხულოს - იმ დასახლებებს, რომლებზედაც ვრცელდება „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილება. ერთ მუნიციპალიტეტში მოხდება მხოლოდ ერთი პროექტის განხორციელება. [**საქართველოს..., 2015**]

პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებები 2017-2018 წლებში განხორციელდება. დაფინანსება მოხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან. რომლის სავარაუდო ღირებულება 6 000 000 ლარია.

2010 წლიდან ფუნქციონირებს შპს. ,,მექანიზატორი“, რომლის ამოცანაა ფერმერთა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომსახურება და რომელიც ყველაზე მსხვილი სოფლის მეურნეობის პროფილის სახელმწიფო საწარმოთა აქტივების რაოდენობის მიხედვით. საწარმოს დაფუძნების იმდროინდელი მოტივაცია იყო ბაზარზე არსებული ვაკუუმის შევსება, რაც უზრუნველყოფდა საჭირო სასოფლო-სამეურნეო დეფიციტს და საჭირო რაოდენობის და ხარისხიანი ტექნიკის მობილიზებას. შპს ,,მექანიზატორისათვის“ მოხდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის - ტრაქტორების, კომბაინებისა და შესაბამისი იმპლემენტების შესყიდვა. დღეისათვის შპს ,,მექანიზატორს“ საქართველოს რეგიონების

მასშტაბით გააჩნია 12 სერვის ცენტრი, სადაც თავმოყრილია 1069 ერთეული ტრაქტორი, 81 კომბაინი და დაახლოებით 5000 ერთეული იმპლემენტი.

ჩვენი აზრით, აღნიშნულ პროგრამებთან და ამოცანებთან შეუსაბამობაში მოდის ქვეყნის მთავრობის გადაწყვეტილება მცირე, ოჯახური ფერმერული მეურნეობებისათვის ხელშეწყობის გაუქმების შესახებ 2017 წლის 1 იანვრიდან, რაც გამოიხატა ,,სასოფლო-სამეურნეო ბარათების" გაუქმებაში. აღნიშნული ბარათი ფერმერს აძლევდა ორასი ლარის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის შეძენის შესაძლებლობას, რაც გარკვეულ შეღავათს წარმოადგენდა ფერმერისათვის.

ფერმერთა მცირემიწიანობა და ნაკვეთების დანაწევრება პრობლემურია არა მხოლოდ საქართველოსათვის, არამედ ქვეყნების უმრავლესობისათვის. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის არაერთ ქვეყანაში. 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო მიწების გამსხვილების სხვადასხვა ინსტრუმენტების დანერგვა. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის (CEE) 25 ქვეყნიდან 7-ს უკვე აქვს მიწის კონსოლიდაციისთვის გამიზნული სპეციალური პროგრამა, ხოლო 13 ქვეყანამ დაიწყო მიწის გამსხვილების პოლიტიკაზე მუშაობა, თუმცა სამოქმედო გეგმა ჯერ არ აქვთ. დარჩენილ 5 ქვეყანას (მათ შორის საქართველოს) ამ მიმართულებით ცვლილებები არ განუხორციელებია.

FAO-ს რეკომენდაციით მიწების გამსხვილება-გაერთიანება ხელს შეუწყობს მცირე ფერმების მწარმოებლურობის და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საერთაშორისო დონეზე, რაც გააუმჯობესებს სოფლად ცხოვრების დონეს. ამ კუთხით დასავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილება, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. ასევე საინტერესოა, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა მიწის სტრუქტურულ პრობლემებთან გამკლავების რა ხერხებს მიმართეს. სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკამ აჩვენა, რომ მიწის გაერთიანება-გამსხვილების კუთხით მიწის კონსოლიდაციის პროგრამები და მიწის ბანკინგი ეფექტიანია, სწორად განხორციელების შემთხვევაში.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიწის კონსოლიდაციის მოდელები ეფუძნება დასავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებას. დასავლეთ

ევროპაში კი გავრცელებულია სამი ქვეყნის: გერმანიის, ჰოლანდიისა და დანიის მოდელები. თითოეული ქვეყნის გამოცდილება დაფუძნებულია საერთო პრინციპზე და შემდეგ მცირედი სახესხვაობებით მორგებულია ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობასა და გარემო პირობებს. არსებობს მიწის კონსოლიდაციის სავალდებულო და ნებაყოფლობითი მიდგომები.

ნებაყოფლობითი მიდგომის დროს მიწის ყველა შესაძლო მფლობელს შორის გამოკითხვას ატარებენ და აქედან ადგენენ, თუ ვის რა ინტერესი აქვს და უნდათ თუ არა პროექტში ჩართვა. შემდეგ შემუშავდება მიწების გადანაწილების გეგმა. ნებაყოფლობითი კონსოლიდაციის დროს მიწის გაცვლა ნებაყოფლობითია. თუმცა ხშირად მესაკუთრეს უბიძგებენ, რათა საჯარო პროექტების ან გარემოს დაცვითი პროექტების ინტერესებიდან გამომდინარე მიწა დათმოს. ნებაყოფლობითი მიდგომა გამოიყენება დანიაში. გერმანიასა და ჰოლანდიაში კი ორივე მოდელს შეხვდებით.

სავალდებულო კონსოლიდაციის დროს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი ჯგუფები მიწის მფლობელებისა და ფერმერების ინტერესების გათვალისწინებით ადგენენ მიწის გადანაწილების პროექტს. მაგალითად, თუ ერთი ფერმერი ფლობს 3 ან 4 მიწის ნაკვეთს სხვადასხვა ადგილას, იგი თავის მიწას გაუცვლის მეზობელ ფერმერს, რომელსაც ასევე ხელს აძლევს ეს გაცვლა, რადგან მისი ნაკვეთებიც გაფანტულია. ამგვარად ჯამში ყველა ფლობს ერთი და იგივე ღირებულების მიწას, მაგრამ ერთად კონსოლიდირებულს. სხვადასხვა მხარის ინტერესების გათვალისწინების შემდეგ, შედგენილ პროექტს აცნობენ პროექტში მონაწილე მხარეებს და იგი დამტკიცდება ერთიანი გეგმის სახით საერთო კონსენსუსის საფუძველზე თუ ფერმერთა და მიწის მფლობელთა უმეტესობა მხარს უჭერს მის განხორციელებას.

FAO-ს ექსპერტის ჰარტვიგსენის კვლევის მიხედვით 2015 წელს 7 ქვეყანაში მიწის გამსხვილება წინასწარ შემუშავებული პროგრამის მიხედვით მიმდინარეობდა. ეს ქვეყნებია: პოლონეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი, ლიტვა, სერბეთი და აღმოსავლეთი გერმანია. გამსხვილების პროგრამის მქონე 7 ქვეყნიდან 6 ქვეყანაში აირჩიეს

სავალდებულო მიდგომა, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაცია ადგენს მიწის განაწილების პროექტს და ამტკიცებს მას შემდეგ, რაც მიწის მფლობელთა უმრავლესობა შეთანხმდება. ფერმერები იღებენ იმავე ღირებულების მიწას, რაც მათ ქონდათ მიწის გადანაწილების გეგმის შედგენამდე. მხოლოდ ლიტვაში გამოიყენება ნებაყოფლობითი მიდგომა. ხოლო აღმოსავლეთ გერმანიაში ორივე მიდგომა მიღებულია. დასახელებული მეთოდების შედეგად, მეურნეობათა ხელთ არსებული ნაკვეთები ერთიანდება, თუმცა მფლობელთა რიცხვი ჯამში იგივე რჩება. [სასოფლო..., 2017}

ქვემოთ მოყვანილ გრაფიკზე ლურჯი ფერით მიწის გამსხვილების პროგრამის მქონე ქვეყნებია მონიშნული. ხოლო მწვანე და ყვითელი ფერით მონიშნულმა ქვეყნებმა შემოიღეს მიწის გამსხვილება-გაერთიანების ინსტრუმენტები, თუმცა პროგრამა ჯერ შემუშავებული არ აქვთ.




FAO დაეხმარა მიწის გამსხვილების მსურველ ქვეყნებს (სომხეთი, სერბეთი, ალბანეთი, ბოსნია-ჰერცოგოვინა და მაკედონია) საპილოტე პროგრამების შემუშავებაში. ლიტვამ და მოლდოვამ დამოუკიდებლად დაიწყეს მიწის გამსხვილების პროგრამის შემუშავება, თუმცა სირთულეებს წააწყდნენ და დახმარებისათვის FAO-ს მიმართეს.

თითოეული ქვეყნისათვის ლოკალურ პირობებსა და სოფლის განვითარების პრინციპებს მორგებული ინდივიდუალური საპილოტე პროგრამა შეიქმნა, რაც მოიცავს არა მარტო მიწის გადანაწილებას, არამედ სოფლის განვითარების კომპლექსურ მიდგომას.

CEE ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო დასახლებების განვითარებისათვის მხოლოდ მიწის რესტრუქტურიზაცია საკმარისი არ იქნება. CEE ქვეყნების უმეტესობაში სოფლად მცხოვრებთათვის შესაძლოა შეზღუდული იყოს გზები, სარწყავი სისტემა, დრენაჟი, ბაზრებსა და ფინანსებზე წვდომა. პრობლემაა მიწის ეროზიაც და მრავალი სხვა.

მაგალითად, ბულგარეთში 2009-2010 წლებში ახალი საპილოტე პროგრამის ფარგლებში, რომელიც ყოვლისმომცველი იყო სამი სოფლისათვის (village of Katunets, Lovetch region), მიწის კონსოლიდაციასთან ერთად 14 კმ სასოფლო გზა გაიყვანეს, 50 ჰა. საირიგაციო სისტემა მოეწყო, 28 კმ. ტურისტული ბილიკი და ტყის ზოლები გაშენდა. ეს პროგრამა წარმატებით განხორციელდა. ნაკვეთების ზომა თითქმის გასამმაგდა (0,77 ჰა.-დან 1,90 ჰა.-მდე). ბოლო წლებში კიდევ არაერთი პროექტი განხორციელდა როგორც კერძო ინვესტორების მიერ, ასევე, სხვადასხვა ფონდების დაფინანსებით.

მსგავსი ყოვლისმომცველი მიდგომის დროს აუცილებელია ადგილობრივი მმართველობების და ყველა გავლენის ქვეშ მყოფი პირის ჩართვა. ამ პროცესს თან უნდა ახლდეს ცნობადობის ამაღლება და ადგილობრივებისთვის ინფორმაციის მაქსიმალური მიწოდება. FAO-ს საპილოტე პროგრამების ფარგლებში ფერმერების და მიწის მფლობელების ინტერესების და მიწის კონსოლიდაციის პროცესში ჩართულობის დასადგენად თითოეული ფერმერი თუ მიწის მფლობელი გამოიკითხა.

რამდენიმე მაგალითის განხილვა მნიშვნელოვანია კონსოლიდაციის პროექტების კონტექსტის უკეთ გასაგებად. CEE ქვეყნების ორი ძირითად ჯგუფის (პირველი - ქვეყნები, რომლებსაც აქვთ მიწის კონსოლიდაციის პროგრამები და მეორე - ქვეყნები, რომლებმაც გარკვეული ღონისძიებები გაატარეს, თუმცა პროგრამა სრული სახით ჯერ

შემუშავებული არ აქვთ) კონსოლიდაციის პროექტებიდან მიღებული გამოცდილებაა გაზიარებული.

**მიწის კონსოლიდაციის გეგმის მქონე ქვეყნებისათვის** (პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სერბეთი, ლიტვა, სლოვენია და გერმანია) კონსოლიდაციის მიმართულებით ქვეყნების გააქტიურების ძირითადი მოტივი მიწის სტრუქტურის შეცვლა და ფერმების პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდა იყო. ასევე, პრაქტიკამ აჩვენა, რომ მხოლოდ საბაზრო ძალებით მიწა ვერ გამსხვილდა და საჭირო გახდა ინტერვენცია, ხოლო ქვეყნების ნაწილი (ჩეხეთი, სლოვაკეთი, გერმანია) უფრო მეტად კონცენტრირებული იყო მიწის მფლობელობის პრობლემებზე და მიწის მართვის სისტემის შემუშავებაზე (კადასტრი და მიწის რეგისტრაცია). მიზნებიდან გამომდინარე, ჩეხეთში მიწის კონსოლიდაციისთვის გამოყოფილი სახსრების ნახევარი მიწის მოკვლევასა და რეგისტრაციაზე დაიხარჯა. მიწის პრობლემების გარდა კონსოლიდაციის პროექტები მიმართული იყო ბუნების დაცვას, გარემოსა და ლანდშაფტის გაუმჯობესებაზე და ადგილობრივ განვითარებაზე (მაგალითად, ნაკვეთებამდე მისასვლელი გზების მოწყობა.) ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმეტესობაში პრობლემაა როგორც მიწის ფრაგმენტაცია, ასევე ფერმების მცირე ზომა. მიწის პროგრამებს პოლონეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთსა და სერბეთში აქვთ ფერმების ზომის გამსხვილების პოტენციალი. ლიტვაში კონსოლიდაციის პროექტის ფარგლებში წახალისებულია მიწის ყიდვა-გაყიდვა, რადგან აქ ერთ-ერთი მთავარი მიზანი მიწების გამსხვილებაა.

ასევე საინტერესოა ფაქტი, რომ მიწის კონსოლიდაციის მქონე შვიდივე ქვეყანაში კონსოლიდაციის პროექტებზე ძირითად პასუხისმგებელ ორგანოს სოფლის მეურნეობის სამინისტროები წარმოადგენენ და კონსოლიდაციის ინსტრუმენტები ძირითადად სოფლის განვითარების სტრატეგიებსა და პროგრამებშია ჩართული.

CEE რეგიონში მიწის **კონსოლიდაციის პროგრამის არმქონე ქვეყნებში** მიწის კონსოლიდაციის ინსტრუმენტი ძირითადად სოფლებში საპილოტე პროგრამების

განხორციელება იყო. საწყის ეტაპზე ქვეყნების უმრავლესობამ ნებაყოფლობითი მიდგომა გამოიყენა. ამის მიზეზი პირველ რიგში ის იყო რომ, სავალდებულო მიდგომის დროს აუცილებელია კანონმდებლობა დახვეწილი და ნებისმიერი მხარის უფლება-მოვალეობები დეტალურად გაწერილი იყოს. ასევე, საპილოტე პროგრამები ძირითადად 1990-იან და 2000-იან წლების დასაწყისში დაინერგა, როდესაც მოსახლეობაში მიწების დაკარგვის შიში მაღალი იყო. ამიტომ პრიორიტეტი ნებაყოფლობით პროექტებს მიენიჭა.

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება აჩვენებს, რომ პირდაპირი გზა პირველი საპილოტე პროექტიდან ფუნქციონალურ პროგრამამდე ერთგვაროვანი არ არის. სხვადასხვა ქვეყანაში საპილოტე პროგრამებს განსხვავებული შედეგები ჰქონდა. საპილოტე პროექტებმა ალბანეთში, სომხეთსა და მოლდოვაში საუკეთესო შედეგები აჩვენეს. რაც იმედის მომცემია, რომ კონსოლიდაციის პროგრამა სწორად დადგეგმვისა და განხორციელების შემთხვევაში მიწების გაერთანება-გამსხვილებას ხელს შეუწყობს.

კონსოლიდაციის პროგრამის მქონე ქვეყნების მსგავსად იმ ქვეყნებში სადაც მიწის რეგისტრაცია ართულებს მიწის ბაზრის განვითარებას, მიწის კონსოლიდაციის პროგრამები შეიცავს მიწის რეგისტრაციის პრობლემების გადაჭრის გზებსაც. ასეა, მაგალითად, ალბანეთის, ბოსნია-ჰერცოგოვინას და ხორვატიის შემთხვევაში.

მას შემდეგ რაც მოლდოვამ გააცნობიერა მცირე და დანაწევრებული ფერმების პრობლემები, 2004 წელს არსებულ სიტუაციასთან გამკლავებისთვის მსოფლიო ბანკს მიმართა. რის შედეგადაც 6 სოფელში (2009 წელს კი დამატებით 40 სოფელში) საპილოტე პროგრამა გაიმართა. პროექტები დაეფუძნა ნებაყოფლობით, საბაზრო მიდგომას. იგი ასევე სოფლების განვითარების საჭიროებებს მოიცავდა. ქვემოთ მოყვანილი გრაფიკი ასახავს თუ როგორ შეიცვალა ვითარება ერთ-ერთ სოფელში საპილოტე პროგრამის განხორციელების შედეგად. [**სასოფლო..., 2017**]

2011 წელს მსოფლიო ბანკის დახმარებით მოლდოვაში განხორციელებული პროექტების შედეგების მრავალდისციპლინარული შეფასება ჩატარდა (“Impact

assessment of the land re-parceling pilot project”), რაც მოიცავდა მიწათმფლობელობის, ეკონომიკურ, გარემო და სოციალური გავლენის შეფასებას. საპროექტო 6 სოფელი შეადარეს საპირწონე 3 სოფელს. ყველა კომპონენტის მიხედვით იმ სოფლებში სადაც მიწის კონსოლიდაციის გეგმები განხორციელდა უკეთესი მდგომარეობა იყო.




**ბოლდურეშტის მიწის კონსოლიდაციის საპილოტე პროექტი.**

2014-2020 წლების მოლდოვის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმით მიწის კონსოლიდაციის მთავარი მიზანი იქნება ფერმების სტრუქტურის გაუმჯობესება მათთვის ფრაგმენტაციის შემცირების და ზომის ზრდის შესაძლებლობების შეთავაზებით. აღსანიშნავია, რომ მოლდოვის 46 სოფელში პროექტები განხცორციელდა მიწის კონსოლიდაციისთვის სპეციალური

კანონმდებლობის შემუშავების გარეშე. 1990 წელს მოლდოვაში თითქმის მთელი სასოფლო-სამეურნეო მიწა გასხვისდა. ასევე, მიწის მფლობელთა უმეტესობა დაინტერესებული იყო მიწის გაყიდვით, რამაც ხელი შეუწყო საპილოტე პროექტების წარმატებას.

2000 წლების დასაწყისში FAO დაეხმარა სომხეთს სოფელ ერზნკაში საპილოტე პროგრამის მომზადებაში. მიწის მფლობელებთან და ფერმერებთან მოლაპარაკების წარმოების შედეგად სოფელში 162 მიწის ნაკვეთ შემცირდა 67-მდე. **მიწის ნაკვეთების საშუალო ფართობი გაიზარდა 0,47 ჰა-დან 1,25 ჰა.-მდე და თითო მეურნეობის მფლობელობაში არსებული მიწის ფართობი გაორმაგდა (1,25 ჰა.-დან 2,5 ჰა,-მდე).** ასევე, მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული მიწა გაიყიდა კერძო პირებზე პროექტის ფარგლებში. FAO-ს პროექტის ფარგლებში შემუშავდა მიწის კონსოლიდაციის სტრატეგია, რომელზე დაყრდნობითაც და საპილოტე პროგრამის გამოცდილების გათვალისწინებით 2011 წელს შეიმუშავეს მეურნეობების განვითარების კონცეფცია. თუმცა ფინანსების ნაკლებობის გამო ჯერჯერობით მიწის კონსოლიდაციის პროექტები არ შემუშავებულა. 1990 წელს სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული მიწა თავისუფალი განკარგვის უფლებით გადაეცა მუნიციპალიტეტებს. საპილოტე პროგრამის ფარგლებში კი მუნიციპალური მიწის გასხვისებამ ხელი შეუწყო მიწის კონსოლიდაციის პროექტის წარმატებით განხორციელებას.

2001 წელს სომხეთის მსგავსად FAO-მ საქართველოშიც ჩაატარა წინასწარი კვლევა საქართველოში რათა დაედგინათ კონსოლიდაციის პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა. კვლევის მიზანი იყო მოემზადებინა შესაბამისი პროექტი საქართველოსათვის, თუმცა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მოთხოვნა პროექტის განხორციელებაზე არ დაფიქსირებულა. მიმდინარე პერიოდამდე, მიწის კონსოლიდაციაზე პოლიტიკური ინტერესი არ გამოთქმულა.

იმისათვის, რომ კონსოლიდაციის პროექტები ნორმალურად განხორციელდეს და მხარეებს ჩართულობის სურვილი გაუჩნდეთ აუცილებელია გამჭვირვალობა და ბაზრის პრინციპებზე დამყარებული გაცვლების წახალისება, რაც ხელს შეუწყობდა მიწის სტრუქტურის ცვლილებას. ამ კუთხით, მიწის კონსოლიდაცია შესაძლოა მიწის ბაზრის განვითარების ერთ-ერთ ინსტრუმენტად ჩაითვალოს და არა მიწის ბაზრის შემცვლელად.

აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების გამოცდილებამ დაადასტურა, რომ მხოლოდ მიწის კონსოლიდაცია ვერ იქნება ეფექტიანი ინსტრუმენტი მიწის სტრუქტურულ პრობლემებთან გასამკლავებლად. FAO-ს მიერ რეკომენდირებულია სახელმწიფო მიწების ჩართვა, მიწის მობილობის ზრდა, კანონმდებლობის და რეგისტრაციის პრობლემების მოგვარება, გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და ჩართული მხარეების სრული ინფორმირება. კონსოლიდაციის ზემოთ მოყვანილი მოდელი ხელს უწყობს დაშორებული ნაკვეთების ერთად თავმოყრას და არა მეურნეობის ზომის ზრდას. ფერმების გამსხვილების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი დასავლეთ ევროპაში არის მიწის ბანკი. მიწის ბანკი ფლობს და განაგებს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწებს, ასევე ის ჩართულია მიწების ყიდვა-გაყიდვის პროცესში. მიწის ბანკი კერძო პირებისაგან იძენს პატარ-პატარა მიწებს მოკლე ვადით და ყიდის მათ ჩვეულებრივ საბაზრო პირობებში. მსგავსი ტრანსაქციები ხელს უწყობს მიწების გამსხვილებას და სახელწიფო მიწების განკერძოებას და ასევე მიწის მობილურობას. მაგალითად, დანიაში მიწის ბანკი შეიქმნა 1919 წელს, რომელიც მიწის კონსოლიდაციის პროექტში აქტიურად იყო ჩაბმული.

CEE (ცენტრალური და აღოსავლეთ ევროპის) ქვეყნების გამოცდილებით, იმ ქვეყნებში სადაც პროექტებში ჩართული იყო სახელმწიფო მიწები, გამსხვილების კუთხით უკეთესი შედეგები დაფიქსირდა. შესაბამისად, FAO რეკომენდაციას უწევს ქვეყნებს მიწის ბანკინგის პრაქტიკა გამოიყენონ. მიწის ბანკინგი რეკომენდებულია დასავლეთ ევროპის მიწის კონსოლოდირების ექსპერტების მიერ CEE ქვეყნებში. მიწის

ბანკინგს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში შესაძლოა განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს. FAO-ს მიხედვით, მიწის ბანკი არის უფლებამოსილი ინსტიტუტი, რომელიც შეისყიდის სასოფლო დანიშნულების მიწას კერძო მესაკუთრეებისაგან და ფლობს მას დროებით, სანამ არ მოხდება მისი უფრო ეფექტიანი გამოყენება, მაგალითად, მიწის კონსოლიდაციის მიზნების მისაღწევად. შესაბამისად, მიწის ბანკინგი განიხილება, როგორც მიწის მობილობისა და კონსოლიდირების ზრდის საშუალება (ინსტრუმენტი).

ჰარტვიგსენის 2015 წლის კვლევამ აჩვენა, რომ კონსოლიდაციის პროგრამის მქონე ქვეყნებში დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით სახელმწიფო მიწები პროგრამებში არ იყო ჩართული. სახელმწიფო მიწა პროექტებში წარმოდგენილი იყო, როგორც კერძო მიწა და ისიც ექვემდებარებოდა გაერთიანებას. FAO-ს კვლევის მიხედვით, სახელმწიფო მიწების ჩართვა მიწის ბანკის სახით მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ნებაყოფლობითი მიდგომის გამოყენებისას, რადგან ეს გაზრდიდა მიწის მობილობას და შესაბამისად ალბათობას, რომ პროექტი წარმატებით განხორციელდებოდა. თუმცა CEE ქვეყნებში მიწის კონსოლიდაციისა და მიწის ბანკების სინერგიის პრაქტიკა ნაკლებადაა გავრცელებული მიმდინარე ეტაპისათვის. ორივე ინსტრუმენტის ერთდროულ გამოუყენებლობის მიზეზად ჰარტვიგსენი ასახელებს სახელმწიფოს მხრიდან მიწის მენეჯმენტის სირთულეებს. ხშირად კონსოლიდაციის პროექტებში ჩართულია არაერთი საჯარო დაწესებულება და მათი კოორდინაცია რთულია. მაშინ როცა მიწის კონსოლიდაციის სააგენტოს ინტერესია მიწის გასხვისება, ეს შესაძლოა არ იყოს პრიორიტეტული მიწის ფონდისთვის, რომელსაც ურჩევნია მიწას თავად ფლობდეს ან/და აქირავებდეს. ბევრი ქვეყნის კანონმდებლობით სახელმწიფო მიწის გასხვისება მხოლოდ ღია აუქციონებზეა შესაძლებელი. ასეთ შემთხვევებში მიწის გაყიდვა კონსოლიდაციის პროექტის ფარგლებში შესაძლოა რთული იყოს.

მიუხედავად სირთულეებისა, პოლონეთმა და გერმანიამ მიწის კონსოლიდაციის პროექტებში სახელმწიფო მიწაც ჩართეს. ამ ქვეყნებში სახელმწიფო მიწა გაყიდეს

საბაზრო ფასებთან შედარებით დაბალ ფასად, რათა ბიძგი მიეცათ მიწის მობილობისთვის და ფერმერებისთვის დამატებითი მიწის შეძენის სტიმული მიეცათ.

მიწის პროგრამის არმქონე ქვეყნებს შორის უნგრეთმა, ხორვატიამ და უკრაინამ მიწის ბანკის ჩამოყალიბებისაკენ გადადგეს ნაბიჯები. უნგრეთში მიწის ეროვნული ფონდი დაარსდა 2002 წელს მიწის კონსოლიდაციის ღონისძიებების განხორციელებისათვის. ამ ეტაპზე მიწის ფონდი მიზნად ისახავს მიწის სტრუქტურის ცვლილებას ორმხრივი შეთანხმებების მიღწევის საშუალებით მიწის მფლობელებსა და ფერმერებს შორის. ხორვატიაში სასოფლო-სამეურნეო მიწის სააგენტო 2008 წელს დაარსდა. სააგენტო მიწას ლიზინგით გასცემს კერძო და კორპორატიულ ფერმებზე. ასევე სააგენტოს აქვს უფლებამოსილება კერძო მფლობელისაგან გამოისყიდოს მიწა. მოსალოდნელია რომ მიწის სააგენტო შეიძენს მიწის ბანკის ფუნქციებს მომავალი კონსოლიდაციის პროექტებში. უკრაინაში სახელმწიფო მიწის ბანკი 2012 წელს გაიხსნა, თუმცა ხელისუფლების ცვლილების და არამდგრადი მდგომარეობის გამო კვლავ დაიხურა 2014 წელს.

საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ მიწის ბანკინგის დანერგვით, მოსალოდნელია სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების ზრდაც. ხშირად, სოფლის მეურნეობაში ინვესტირებით დაინტერესებულ პირს უჭირს დიდი ზომის მიწის ნაკვეთის მოძიება, ხოლო მცირე ნაკვეთების მფლობელებთან მოლაპარაკება რთული და ზოგჯერ უშედეგო პროცესია. მიწის ბანკინგი, ერთის მხრივ, მცირე ზომის, გამოუყენებელი მიწების მფლობელებს მათი მარტივად გასხვისების საშუალებას მისცემს. მათი კონსოლიდაციის შედეგად კი, დაკმაყოფილდება მიწის ბაზარზე დიდი ზომის მიწის ნაკვეთებზე არსებული მოთხოვნა. გაიზრდება დამუშავებული მიწების ფართობი, რაც თავის წვლილს შეიტანს ეკონომიკურ ზრდაში. [**სასოფლო..., 2017**]

ჩამოთვლილი ღონისძიებები, ბუნებრივია, დაკავშირებულია სოლიდურ თანხებთან, თუმცა სახელმწიფოს აღნიშნული ხარჯების ნაწილობრივ კომპენსირება მიწის პრივატიზაციისგან მიღებული შემოსავლებით შეუძლია, რაც, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის სავარაუდო ფართობის გათვალისწინებით, არცთუ მცირე იქნება. ასევე, გასათვალისწინებელია ფისკალური ეფექტი, რაც ამ გეგმის

განხორციელებას უნდა მოჰყვეს. კერძოდ, ცნობილია, რომ 5 ჰა-მდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელების უდიდესი ნაწილი არ იხდის ქონების გადასახადს. მათი დიდი ნაწილი საერთოდ არ იყენებს ოდესღაც სახელმწიფოსგან საჩუქრად მიღებულ მიწას და დიდი ალბათობით, მზად არის მის გასაყიდად. ასეთი მიწების იდენტიფიკაცია და კონსოლიდაცია, ხოლო შემდგომ მათი გასხვისება, დამატებით დასაბეგრ ბაზას გააჩენს სახელმწიფოსთვის და გრძელვადიან პერსექტივაში გაზრდის მიწის გადასახადიდან მიღებულ შემოსავალს სახელმწიფო ბიუჯეტში.

ჩვენი აზრით, ზემოხსენებული გეგმის განხორციელების შედეგად, შესაძლებელია მიწების ეტაპობრივი გამსხვილება და ნაკვეთების საშუალო ზომის ზრდა. გამსხვილებული ნაკვეთები საშუალებას მისცემს მათ მესაკუთრეებს გაზარდონ მეურნეობების მასშტაბი და შესაბამისად, ეფექტიანობა. ეს მნიშვნელოვან როლს ითამაშებს დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში და დააჩქარებს სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციას.

# თავი IV. აგრარული სექტორის განვითარების პირობები და ეკონომიკური ეფექტიანობა

## 4.1. აგრარული სექტორის განვითარება ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ფარგლებში

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 6-ჯერ გაიზარდა. აღნიშნული ზრდა განპირობებულია საქართველოს მთავრობის მიერ შემოღებული ლიბერალური სავაჭრო რეჟიმით: დაბალი ტარიფები იმპორტზე, ექსპორტზე/იპორტზე ლიცენზიების და ნებართვების მცირე რაოდენობა, იმპორტზე/ექსპორტზე რაოდენობრივი შეზღუდვების არარსებობა, ექსპორტზე/ რეექსპორტზე საბაჟო ტარიფების არარსებობა, ექსპორტზე დამატებითი ღირებულების გადასახადის არარსებობა და სავაჭრო პროცედურების გამარტივება1. თუმცა, შედეგად, ლიბერალურმა სავაჭრო რეჟიმმა უფრო მეტად იმპორტის ზრდა გამოიწვია, რამაც, თავის მხრივ, სავაჭრო ბალანსში რეკორდულად მზარდი დეფიციტი განაპირობა და პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები დააფიქრა. უნდა აღინიშნოს, რომ იმპორტსა და ექსპორტს შორის არსებული სხვაობა, მათი მზარდი მაჩვენებლების ფონზე, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თანდათანობით მცირდება. 2013 წლის მდგომარეობით, ექსპორტმა მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 36% შეადგინა.

საქართველო მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირების გზაზეა. 1997 წლიდან, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ, განვითარებულ ქვეყნებთან ვაჭრობისას პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (GSP) სარგებლობამ, რასაც მოგვიანებით GSP+ სავაჭრო რეჟიმები დაემატა, საქართველოსთვის უფრო ხელსაყრელი გახადა საგარეო ვაჭრობის პირობები და წაახალისა ექსპორტის ზრდა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ექსპორტის მთლიანი მოცულობა 4-ჯერ გაიზარდა. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ამოქმედების შემდეგ 2009 წელს

ურთიერთობები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ახალ ფაზაში შევიდა. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა ითვალისწინებს ურთიერთობების გაღრმავებას სამი ძირითადი მიმართულებით - ასოცირების ხელშეკრულება (AA), რომელიც, ასევე, მოიცავს შეთანხმებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) და ვიზის ფასილიტაციისა და რეადმისიის შეთანხმებები.

ევროკავშირი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია და მისი წილი იმპორტის საერთო მოცულობაში 30%-ს, ხოლო ექსპორტისა - 20%-ს შეადგენს, რაც მუდმივად უარყოფით სავაჭრო ბალანსს განაპირობებს. სხვა (ძირითადად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი) ქვეყნებისგან განსხვავებით, ვაჭრობის, განსაკუთრებით კი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის ხელისშემშლელი ფაქტორებია, ერთი მხრივ, მაღალი ტარიფები, ხოლო, მეორე მხრივ, არასატარიფო ღონისძიებებით გამოწვეული დაბრკოლებები. ამ კონტექსტში, 2013 წლის ნოემბერში ასოცირების შეთანხმების პარაფირება, როგორც საქართველოსა და ევროკავშირს შორის შეთანხმების რატიფიცირების პირველი ნაბიჯი, ხოლო მეორე მხრივ, შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ, როგორც ასოცირების შეთანხმების ნაწილი, მნიშვნელოვნად შეამცირა სავაჭრო ბარიერები ქართული პროდუქციის გატანისას და შექმნა ახალი შესაძლებლობები, როგორც საგარეო ვაჭრობის მომდევნო დივერსიფიცირებისა და განვითარების, ასევე ვაჭრობის შედეგად მოტანილი სარგებლის ზრდის თვალსაზრისით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტის ექსპორტის გაზრდისა და გამრავალფეროვნებისათვის საჭიროა ყურადღება გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე:

• ზოგადი ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება საქართველოს აგრო ექსპორტის მხარდასაჭერად მაღალშემოსავლიან ქვეყნებში, როგორიცაა ევროკავშირი;

• საქართველოს აგრარული განათლებისა და კვლევითი სიმძლავრის განახლება;

• აგრარული და საკვები პროდუქტების წარმოებაში მუშებისა და მენეჯერების მომზადების გაუმჯობესება.

• ინვესტირება შიდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში.

აგრო ექსპორტის ზრდა მოითხოვს შესაბამის სავაჭრო პოლიტიკურ გარემოს. სავაჭრო შეთანხმებებით ახლანდელ და პოტენციურ სავაჭრო პარტნიორებთან შესაძლებელია კანონიერი რწმენის მომატება ინვესტორებისა და ვაჭრებისთვის და უცხოურ ბაზრებზე წვდომის ზრდა.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (DCFTA) საქართველოსა და ევროკავშირს შორის, რომელსაც ხელი მოეწერა 2014 წლის ივნისში, არის სწორედ ეს შემთხვევა. აღნიშნული შეთანხმებიდან სარგებლის მიღება დიდადაა დამოკიდებული საქართველოს უნარზე შეუთანხმდეს ევროკავშირის სურსათის ხარისხის სტანდარტებს. შეთანხმება არამარტო გაზრდის ევროკავშირის ბაზარზე საქართველოს აგრო პროდუქციის ექსპორტს, არამედ გახსნის სხვა ბაზრებსაც, რომლებიც თანდათან მსგავს სტანდარტებს ნერგავენ. ეს, ასევე, გააძლიერებს შიდა აგრარულ მეურნეობასა და წარმოებას.

2016 წლის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებულია 692.2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 13.1%-ით აღემატება 2015 წლის და 35.6%-ით აღემატება 2012 წლის ანალოგიურ მონაცემებს. აღნიშნულ პერიოდში, ქვეყნის მთლიან ექსპორტში აგროსასურსათო პროდუქციის ხვედრითი წილი 33%-ს შეადგენს. ძირითადად ექსპორტირებულია: თხილი (26%), ღვინო (16%), სპირტიანი სასმელები (13%), მინერალური და მტკნარი წყლები (12%), მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (5%), თევზის (2%), უალკოჰოლო გაზიანი სასმელები (2%), ციტრუსი (2%) და სხვა.

2016 წელს საქართველოს აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტი 88 ქვეყანაში განხორციელდა. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ხელს უწყობს ვაჭრობის განვითარებას ევროკავშირის ქვეყნებთან და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებას. ევროკავშირში 2016 წელს ექსპორტირებული აგროსასურსათო პროდუქციის ღირებულება 221 მლნ აშშ დოლარს შეადგენს და 2-ჯერ აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს. 2016 წლის მონაცემებით, საქართველოში იმპორტირებულია 1.1 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 4%-ით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელზე. ქვეყნის მთლიან იმპორტში აგროსასურსათო პროდუქციის ხვედრითი წილი 14.7%-ს შეადგენს. ძირითადად იმპორტირებულია: თამბაქო (10%), ხორბალი (8%), შაქარი (6%), შინაური ფრინველის ხორცი (5%), შოკოლადის ნაწარმი (5%), მცენარეული ზეთი (4%), ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი (3%), საკვები დანამატები (3%) და სხვა.

2016 წელს, საქართველოში აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი განხორციელ და 105 ქვეყნიდან. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, აგროსასურსათო პროდუქციით საგარეო ვაჭრობის მონაცემების მიხედვით, უარყოფითი სავაჭრო სალდო შემცირდა 25%-ით. (დიაგრამა 4.1.1)

**დიაგრამა 4.1.1**

**ძირითადი საექსპორტო ბაზრები**

**აგროსასურსათო პროდუქციისათვის**

(2016 წელი)




**აგროსასურსათო პროდუქციის ძირითადი**

**იმპორტიორები** (2016 წელს)




წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წლიური ანგარიში 2016

საქართველო ე.წ. ნეტო იმპორტიორი ქვეყანაა, რაც გულისხმობს, რომ კვების პროდუქტებზე მოთხოვნის მეტი წილის (დაახლოებით 80%-ის) უზრუნველყოფა იმპორტის ხარჯზე ხდება. იმპორტირებული საქონლის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველო დამოკიდებულია იმპორტზე შემდეგ პროდუქტების შემთხვევაში: ხორბალი, თამბაქოს პროდუქტები, ხორცის პროდუქტები და მცენარეული ზეთები, ასევე, მარცვლეულის გადამუშავებით მიღებული კვების პროდუქტები. ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქციის მოყვანას ესაჭიროება დიდძალი მიწის რესურსები და მექანიზაციის მაღალი დონე, რაც არ წარმოადგენს საქართველოს კონკურენტულ უპირატესობას.

ექსპორტირებული საქონლის 10 წამყვანი ჯგუფის დინამიკის ანალიზი (2013-2016 წწ.) იმედის მომცემია, მაგრამ აქვე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ მიუხედავად იმისა, რომ თხილი წარმოადგენს საქართველოდან ბოლო წლებში განხორციელებული ექსპორტის წამყვან პროდუქტს, მისი მდგრადი წარმატება დიდწილად იქნება დამოკიდებული ფასების დინამიკაზე მიწასა და მუშახელზე ახლო პროგნოზირებად მომავალში. პროდუქციის წამყვანი 5 კატეგორიის დანარჩენ ქვეყნებში (ევროკავშირის გარდა) ექსპორტის მოცულობებში მოხდა მკვეთრი ცვლილება. საქართველოსთვის რუსული ბაზრის გახსნის შედეგად ნატურალური ყურძნისგან მიღებული ღვინის ექსპორტი 2012 წელთან შედარებით გაიზარდა 50%-ით, ხოლო მინერალური წყლების ექსპორტი 55%-ით. ამდენად, ბოლოდროინდელმა მოვლენებმა და ახალმა შესაძლებლობებმა ქართველი მწარმოებლებისთვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის სურათი შეცვალა.(ცხრ.4.1.1)

ცხრილი 4.1.1

ძირითადი საექსპორტო პროდუქციის დინამიკა

| პროდუქციის ექსპორტი, მლნ. აშშ დოლარი | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | საშუალო |
|---|---|---|---|---|---|---|
| თხილი,(კაკალი), ახალი ან გამხმარი | 69.956 | 75.13 | 130.08 | 83.659 | 166.712 | 105.109 |
| არადენატურირებული ეთილის სპირტი, სპირტიანი ნაყენები, ლიქიორები და სხვა სპირტიანი სასმელები სპირტის მოც. 80%-ზე ნაკლები კონცენტრაციით | 54.019 | 55.705 | 67.852 | 80.027 | 99.925 | 71.506 |
| ნატურალური ყურძნის ღვინოები | 31.99 | 41.138 | 54.103 | 64.87 | 127.85 | 63.992 |
| წყლები, ბუნებრივი ან მინერალური | 24.675 | 36.91 | 47.607 | 59.341 | 106.88 | 55.085 |
| ხორბალი და მესლინი | 3.248 | 7.242 | 6.169 | 52.062 | 47.743 | 23.293 |
| მსხვილფეხა საქონლის ხორცი | 16.90 | 19.310 | 28.21 | 39.267 | 47.630 | 30.265 |
| წყლები, მინერალური და გაზირებული, დამატებითი შაქრის შემცველობით | 10.684 | 14.666 | 15.051 | 20.888 | 17.441 | 15.746 |
| ხორცი ცხვრის და თხის | 17.05 | 13.42 | 14.944 | 18.162 | 15.54 | 15.82 |
| ხილის და ბოსტნეულის წვენები | 2.883 | 6.201 | 6.312 | 12.53 | 7.358 | 7.058 |
| სიმინდი | 1.097 | 2.650 | 9.95 | 7.678 | 12.581 | 5.000 |
| ციტრუსები ახალი ან ხმელი | 15.70 | 12.143 | 5.263 | 7.670 | 20.18 | 12.193 |

წყარო: საქსტატის ეროვნული სამსახური, 2017

საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი თავმოყრილია მცირე ოდენობის პროდუქტებში და მიემართება მცირე რაოდენობით. ეს გულისხმობს, რომ საქართველო მეტოქეობას წევს მცირე ოდენობის პროდუქციით რამოდენიმე სპეციფიურ ბაზარზე.

ჩამოთვლილი საექსპორტო პროდუქციის დინამიკა უჩვენებს, რომ უმრავლესობას ამ პროდუქტებისა აქვს მაღალი ღირებულების შექმნის პოტენციალი, რასაც მუშახელის შედარებით დიდი ოდენობა ესაჭიროება. ამ მხრივ საქართველოს უდავოდ აქვს კონკურენტული უპირატესობა. წამყვანი საექსპორტო და საიმპორტო პროდუქციის დინამიკა გვაფიქრებინებს, რომ, სახელმწიფო პოლიტიკის აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ სფეროების მხარდაჭერაზე, რომლებშიც საქართველოს საერთაშორისო მასშტაბით აქვს კონკურენტული უპირატესობა. მაგალითად, ხილის და ყურძნის წარმოების გაზრდა იმ დონემდე, რაც შესაძლებელს გახდის ამ კატეგორიის პროდუქციის ან მისი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის ექსპორტს. მრავალწლიან მცენარეთა რაოდენობა ქვეყანაში დაბალია, მაგრამ სწორედ ამ სფეროში აქვს საქართვველოს კონკურენტული უპირატესობა და საექსპორტო შემოსავლების გენერირების დიდი პოტენციალი. ვაშლის, ატმის და თხილის წარმოებას (რომლებიც საქართველოს წამყვან საექსპორტო პროდუქტებს წარმოადგენს), აქვს შემოსავლების გენერირების მნიშვნელოვანი პოტენციალი. მანდარინი ციტრუსების მოსავლის 80%-ზე მეტს შეადგენს. ციტრუსები საქართველოში მრავალი წელია საექსპორტო შემოსავლების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. უახლესი ტექნოლოგიების დანერგვისა და ბაღების მოვლის სტანდარტების დაცვის შემთხვევაში ეს სფერო შეიძლება მნიშვნელონად განვითარდეს. ამჟამინდელი ტექნოლოგიური ინტენსიფიკაციისა და მოსავლიანობის საშუალო მაჩვენებლების (შვიდიდან ათ ტონამდე) მიუხედავად, ციტრუსების და განსაკუთრებით, მანდარინის მოყვანა კვლავ პერსპექტიულ სფეროდ რჩება, რაც დაადასტურა ბოლო წლებში მანდარინის ექსპორტის ინტენსიურმა დინამიკამ.

ჩვენი აზრით, ექსპორტის პოტენციალის გაზრდა სოფლის მეურნეობაში შეზღუდულია ფერმერული მეურნეობებისა და მიწის ნაკვეთების ფრაგმენტაციის გამო. ევროკავშირის სტანდარტებისა და სერტიფიცირების მოთხოვნების დაკმაყოფილება ინდივიდუალური ფერმერებისთვის გართულდება კოოპერატივებთან შედარებით, ისევე როგორც გაძნელდება მათთვის რისკების აღება ახალ ბაზრებზე შესვლისა და თავიანთი პროდუქტის გატანის თვალსაზრისით, ევროკავშირის მაღალკონკურენტული ბაზრების გათვალისწინებით. ამჟამად, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორში დომინირებს პირველადი წარმოების პროდუქცია, ფერმერული მეურნეობები პროდუქციას ძირითადად თავიანთი მოხმარებისთვის ან ქაოსური გზით სავაჭროდ აწარმოებენ. ამდენად, კომპლექსური ღირებულებითი ჯაჭვის შექმნის გარეშე DCFTA-ს პოტენციური სარგებლის სრულად გამოყენება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტზე გათვლით, გაჭირდება.

## 4.2. აგრარული სექტორის ძირითადი დარგების ეკონომიკური ეფექტიანობა

სამეცნიერო კვლევის მიმართულება დაკავშირებულია ეფექტიანობის ანალიზის მეთოდოლოგიის დამუშავებასთან და კერძოდ, აგრარულ სფეროსთან, რომელსაც კორექტირება სჭირდება. წარმოების ეფექტიანობა აღნიშნავს წარმოების პროცესის შედეგიანობას. ურთიერთობა მიღწეულ შედეგსა და ცოცხალ  და შესრულებულ სამუშაოს დანახარჯებს შორის ასახავს თავის მხრივ წარმოების რესურსების და მათი ეფექტიანი გამოყენების სრულყოფილების ხარისხს. პრობლემის წარმატებით გადაჭრა, რომელიც ყოველი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს (კომპანიის) წინაშე დგას, შესაძლებელია წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის საფუძველზე.

სოფლის მეურნეობის გადასვლა ბაზარზე ბევრად ცვლის ტრადიციულ მიდგომას ცალკეული სფეროს წარმოების ეფექტიანი საქმიანობის შეფასებისადმი. საწარმოო პოტენციალის კაპიტალის ზრდა არ არის საკმარისი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის იმ შემთხვევაში, თუ არ არის სრულყოფილად შემუშავებული ეკონომიკური მექანიზმი და უარყოფილია ეკონომიკური კანონები. სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლება ნაკარნახევია, როგორც მუდმივად მზარდი საბაზრო მოთხოვნა სურსათზე და ნედლეულზე, გაძლიერებული მოთხოვნაა პროდუქციის ხარისხზე რესურსების შეზღუდვის საშუალებით, წარმოების ფაქტორების ღირებულების შეცვლით და ა.შ. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შეფასებისას უნდა გამოვიდეთ ეფექტიანობის კრიტერიუმებიდან. სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის კვლევისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ ის წარმოადგენს რთულ, მრავალმხრივ ღია სისტემას, სადაც არის ფუნქციონალური და ორგანიზაციული ქვესისტემები, რომელსაც ეფექტიანობის სხვადასხვა სახეობები შეესაბამება, როგორიცაა: ტექნოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური. ტექნოლოგიური ეფექტიანობის დონე ასახავს ასიმილაციის ხარისხს სოფლის მეურნეობასა და მეცხოველეობაში. ის განისაზღვრება ფაქტიური მონაცემების მაჩვენებლების შედარებით. რისთვისაც გამოიყენება პროდუქციის წარმოების დონე. აგრარული ეკონომიკის ტექნოლოგიური ეფექტიანობის კრიტერიუმებში ადგილი აქვს აგრო - ინდუსტრიული ეკონომიკის განვითარების ხარისხს.

ეკონომიკური ეფექტიანობა იზომება აბსოლუტური და მონათესავე მაჩვენებლების სისტემებით, რომლებსაც წარმოების ეფექტიანობა და რეალიზაციის უნარი ახასიათებთ. ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმებია თვითდაფინანსების შესაძლებლობა გაფართოებული წარმოების უზრუნველყოფისათვის.

ეკოლოგიური ეფექტიანობა ხასიათდება ბუნებრივი და მატერიალური რესურსების გამოყენების დონით, ეკოლოგიურობით, წარმოებული პროდუქციის ბუნებრიობით და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებით. ეკოლოგიური

ეფექტიანობის კრიტერიუმებს წარმოადგენს გარემოს გაუარესების თავიდან აცილება, წარმოების ეკოლოგიურობის ამაღლება.

საბაზრო პირობებში არსებობს მომხმარებლის პრიორიტეტი მწარმოებლის მიმართ, წარმოების სტრუქტურის გამოყენება მომხმარებლის სტრუქტურასთან ერთად ხდება ურთიერთ მოთხოვნის და შეთავაზების გზით. ის შესრულებადია იმ შემთხვევაში, თუ შექმნილია ოპტიმალური ეკონომიკური პირობები, სადაც ეკონომიკური კანონები ვლინდება ბუნებრივ ფორმაში, ანუ ისეთ ფორმები, როცა საქმე ეხება ეკონომიკურ პარტნიორებს, აგრეთვე წარმოების სტრუქტურას და მოთხოვნას, განისაზღვრება მხოლოდ ეკონომიკური ეფექტიანობით და ეკონომიკური სუბიექტების შემოსავლებით (მოგებით).

ეკონომიკური ურთიერთობის ცვლილებები და წარმოების პირობები ბაზარზე გადასვლასთან დაკავშირებით ითხოვს აგროწარმოების, ეფექტიანობის განსაზღვრების მეთოდიკის დაზუსტებას და მისი მდგომარეობის შეფასებას კონკრეტულ რეგიონში და საწარმოში. ეფექტიანობის მაჩვენებლებმა უნდა ასახოს რეპროდუქცია, ამასთანავე კაპიტალბრუნვა და ჯგუფების შედგენა, რომლებიც ხასიათდება რესურსების ხელმისაწვდომობით და მათი გამოყენებით წარმოების პროცესში მიღებული პროდუქციით, მისი გადაცვლით და მოხმარებით. ეფექტიანობის ძირითად მაჩვენებლად წარმოდგენილია მოგების ნორმა, რომელიც ხასიათდება მიღებული ეფექტის სიდიდით, რომლის მონათესავე მაჩვენებელს რენტაბელობის დონე წარმოადგენს. ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა: მოსავლიანობა, ფასი, მოგების მოცულობა, ბიოენერგიული შეფასება და სხვა, აუცილებელია იმისათვის, რომ გაკეთდეს ეფექტიანობის დონის ანალიზი.

ინფლაციის პირობებში, ფასების სხვაობა და გადასახადების გადაუხდელობის სისტემატური მაჩვენებლები ამახინჯებენ სოფლის მეურნეობის ფაქტიურ ეფექტიანობას. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ეფექტიანობის დონეზე დიდ გავლენას ახდენს ფასების სისტემა. შედარებითი ეკონომიკური შეფასება იმ

ვარიანტებისა, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო კულტურების განაშენიანებისას წარმოადგენს ერთ-ერთ სამეცნიერო ხერხს ეფექტიანი ტექნოლოგიის გამოსავლენად. ეს უზრუნველყოფს შრომის პროდუქტიულობას. ეკონომიკური შეფასების მეთოდიკის თანახმად, ინტენსიური ტექნოლოგიით სოფლის მეურნეობის წარმოების ეფექტიანობა მიწის გამოყენების დონის შრომისა და მატერიალური საშუალებების ძირითად მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს. ასევე ძირითადი მაჩვენებლებია: მოსავლიანობა, შრომის პირდაპირი დანახარჯები და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, დამატებითი ხარჯები და მათი შესყიდვები, წარმოების რენტაბელობა და წლიური ეკონომიკური ეფექტი.

ინტენსიური ტექნოლოგიების ეკონომიკური მაჩვენებლების სისტემაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენებისას აუცილებელია დამატებითი მაჩვენებლები, რომლებიც ხასიათდება ეკოლოგიური ბალანსირებით ინტენსიური ტექნოლოგიების და მათი გამოყენების პროცესში. ეს მაჩვენებლები შეიძლება გამოვიყენოთ ყოველმხრივი ანალიზისას, იმ მიზნით რომ გამოიძებნოს გზები ეკონომიკური ეფექტიანობის ასამაღლებლად.

ეფექტიანობის მოცულობა ეს არის მაქსიმალური ზრდა წარმოების მოთხოვნადი რესურსების გამოყენებისას. ასეთი მიდგომა თავდაპირველად იძლევა შესაძლებლობას რეალურად მიღწეული შედეგი შევადაროთ შესაძლო შედეგს, ამგვარად გავაკეთებთ საწარმოო ეკონომიკური საქმიანობის შეფასებას. მეორეს მხრივ ის იძლევა საშუალებას გამოვავლინოთ დაშვებული შესაძლებლობების ზომები, ყოველმხრივ შევისწავლოთ ბოლო მიზეზები და ამის საფუძველზე დამუშავდეს მეთოდები წარმოების რესურსების უფრო სრულ გამოყენებაზე. მესამეც, ასეთი მიდგომის რეალიზაცია შექმნის პირობებს წარმოების ზომების, სპეციალიზაციისა და ადგილმდებარეობის მიუხედავად ობიექტური, დამოუკიდებელი შედარებითი შეფასებისთვის.

წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება განპირობებულია, როგორც მუდმივად მოქმედი ფაქტორების კომპლექსით, ასევე საზოგადოების ეკონომიკური

განვითარების ეტაპის რიგი თავისებურებებით. ეს ფაქტორები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და უზრუნველყოფს ეკონომიკურ შედეგებს კომპლექსური და ბალანსირებული მოქმედებით თითოეულ ეტაპზე გამორჩეული პრიორიტეტების საშუალებით. კრიზისულ სიტუაციაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას წარმოადგენს რესურსების დამცავი ფაქტორის უფრო სრულყოფილი გამოყენება. მათი დაყოფა შეიძლება სამ ჯგუფად: 1. შეთავაზების ფაქტორი, 2. მიწოდებისა და გაცვლის ფაქტორი; 3. საწარმოს ეკონომიკური ურთიერთქმედების ფაქტორი სახელმწიფოსთან მიმართებაში.

პირველ ჯგუფში შედის მიწის, ტექნიკურ-ტექნოლოგიური, სოციალურ - ეკონომიკური და შრომის ფაქტორები. ისინი განსაზღვრავენ სოფლის მეურნეობის ფიზიკურ მოცულობას და ტექნიკურ-ეკონომიკურ მოცულობას, საწარმოს ტექნოლოგიის ჩათვლით. უდავოა, საკმაოდ აქტიურ ზეგავლენას შრომის წარმოების მოცულობაზე და წარმოების ეფექტურობაზე ერთად ახდენს ტექნიკური პროგრესი და ინტენსიური ტექნოლოგიები. სოფლის მეურნეობაში მანქანა ტექნოლოგიებთან და თვით ტექნიკასთან ერთად, ტექნიკური პროგრესი მოიცავს წარმოებაში აგრო და ზოოტექნიკური საშუალებების გაუმჯობესებას.

მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების, გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა განისაზღვრება მასზე წარმოებული ნატურალური პროდუქციის მოცულობით ან ღირებულებით. ამასთან, მიწის, როგორც წარმოების განსაკუთრებული რესურსის თავისებურებების (მიწის შეზღუდულობა, დაქვეითებული ნაყოფიერების აღდგენის დიდი პერიოდი და ა. შ.) გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო ბრუნვაში ჩადებული მიწის რეალური ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენისათვის. კერძოდ, თანამედროვე პირობებში აუცილებელია ფართობის ერთეულზე არა მარტო მეტი პროდუქციის მიღება, ხარისხის ამაღლება და დანახარჯების შემცირება, არამედ მიწის მდგრადი გამოყენება, რაც უპირველეს

ყოვლისა, მიწის ნაყოფიერების შენარჩუნებასა და გარემოს რაც შეიძლება ნაკლებ დაბინძურებაში უნდა გამოიხატოს.

სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ჩართული სავარგულის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა მრავალი ღირებულებითი და ნატურალური მაჩვენებლით განისაზღვრება. ამ უკანასკნელთაგან გამოსაყოფია სასოფლო-სამეურნეო სავარგულის გამოყენების ისეთი მაჩვენებელი, როგორიცაა სახნავი მიწის ერთეულზე მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების გამოსავალი ნატურალურ ერთეულებში. იგივე შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ან მარცვლეული და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების ყოველ ჰექტარზე. ამასთან, რამდენადაც ნატურალური მაჩვენებლები არ ასახავს პროდუქციის წარმოების ეკონომიკურ მხარეს, მიწის სავარგულის გამოყენების დონის განსაზღვრისას უფრო ღირებულებით მაჩვენებლებს უნდა მივმართოთ.

ასეთ შემთხვევაში მიწათმოქმედების და მეცხოველეობის ყველა დასახელების ნატურალური პროდუქცია საჭიროა გადავიყვანოთ ღირებულებით ფორმაში შესადარისი ფასის გამოყენებით. მიწის გამოყენების ეფექტიანობის გაანგარიშება კი უნდა მოხდეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ან მისი შემადგენელი ელემენტების (სახნავი, სათიბი და ა. შ.) ერთეულზე საერთო პროდუქციის, საერთო შემოსავლის და წმინდა შემოსავლის (მოგების) გამოსავლიანობის მიხედვით. ამავე მიზნით გამოიყენება მიწის რესურსებში განხორციელებული დანახარჯების გამოსყიდვის, წარმოების რენტაბელობის და სხვა მაჩვენებლები.

ამასთან არის შემთხვევები, როცა საჭირო ხდება სხვადასხვა მეურნეობაში განსხვავებული ნაყოფიერების მიწის ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენა და ურთიერთშედარება. ამ მიზნით იყენებენ საერთო პროდუქციის, საერთო და წმინდა შემოსავლის გამოსავლიანობის მაჩვენებლებს ერთ თანაზომად კადასტრულ ჰექტარზე გაანგარიშებით. მას ანგარიშობენ ფორმულით:

მე=(პს : ფკ),

სადაც, მე - არის მიწის გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებელი, პს - ფართობის ერთეულიდან მიღებული საერთო პროდუქციის ღირებულება, ფკ - თანაზომადი კადასტრული ფართობი.

თანაზომადი კადასტრული ფართობი განისაზღვრება ფორმულით:

ფკ = [(ფსახ . ბ1)+(ფსათ . ბ2)+(ფსაძ . ბ3) : 100

სადაც, ფკ - თანაზომადი კადასტრული ფართობია, ფსახ, ფსათ, ფსაძ - შესაბამისად სახნავის, სათიბის და საძოვრის ფართობები; ბ1, ბ2, ბ3 - შესაბამისად სახნავის, სათიბის და საძოვრის შეფასების ბალები.

ანალოგიურად შეიძლება გაითვალოს მიწის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა საერთო შემოსავლის, წმინდა შემოსავლის და სხვა მაჩვენებლების გამოყენების შემთხვევაში.

ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდება ფართობის ერთეულზე შესაძლებელია მხოლოდ მიწის რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე. ეს უკანასკნელი კი მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანმიმდევრული ინტენსიფიკაციის ხარჯზე მიიღწევა.

ფართო გაგებით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია არ ნიშნავს მხოლოდ დამატებით დაბანდებებს ფართობზე, ის მრავალ სხვა მიმართულებას მოიცავს, რომელთა შორის გამოსაყოფია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიური სრულყოფა, შრომის ორგანიზაციის დახვეწა და ა. შ. არცთუ იშვიათად ასეთ ღონისძიებებს უფრო მეტი ეფექტის მოტანა შეუძლიათ, ვიდრე დამატებით დაბანდებებს უშუალოდ წარმოებაში.

მიწის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებათა შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებას უკავია. მათ შორის გამოსაყოფია

ფერდობების გატყევება, მრავალწლიანი ბალახების თესვა, მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება და სხვა.

მიწის ნაყოფიერების ამაღლებას ემსახურება აგრეთვე მჟავე ნიადაგების მოკირიანება, ტუტე ნიადაგების მოთაბაშირება და სხვა ქიმიურ-მელიორაციული ღონისძიებების ჩატარება. ამ კონტექსტში განსაკუთრებით აღსანიშნავია მიწის მორწყვისა და დაშორების ღონისძიებათა ეკონომიკური ეფექტიანობა. (დამტკიცებულია, რომ მიწის თავისდროული მორწყვით სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა საქართველოს პირობებში საშუალოდ იზრდება 1,5-ჯერ, ხოლო დაჭაობებული ფართობებიდან ზედმეტი წყლის მოცილებით - 1,3-ჯერ).

სოფლის მეურნეობაში მიწის გამოყენების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, რომლებიც მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ერთი რომელიმე ფაქტორის გამოყენებაზე აქცენტის გაკეთება ვერ გაზრდის ეფექტს, როგორი არსებითიც არ უნდა იყოს იგი. საჭიროა ყველა მათგანის აღრიცხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობაზე მათი გავლენის ხარისხის შესწავლა და შესაბამისი ზომების მიღება ყველა მათგანის აგროტექნიკურ ვადებში განხორციელებისთვის.

მიწის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებაში განსაკუთრებული როლი სახელმწიფოს განეკუთვნება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მიწის დაცვისა და შენარჩუნების მიზნობრივი პროგრამების დამუშავება და განხორციელება.

ყველა ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულე-ბის მიწის უფრო სრულ და ეფექტიან გამოყენებას, შეიძლება ასე დავაჯგუფოთ:

- სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ყოველი ჰექტარი სავარგულის ჩართვა. ბრუნვიდან მიწის სავარგულების ამოღების მინიმიზაცია;

- მიწის ეკონომიკური ნაყოფიერების ამაღლება მელიორაციული ღონისძიებების, თესლბრუნვების დანერგვის, მიწის ძირეული და ზედაპირული გაუმჯობესების და სხვა ღონისძიებების გატარების საფუძველზე;

- მიწის დაცვა და მისი ბუნებრივ-ეკონომიკური ნაყოფიერების შენარჩუნება მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების, ნიადაგდაცვითი ტექნოლოგიების დანერგვის, ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გატარებით;

- მიწის ბუნებრივ-ეკონომიკური ნაყოფიერების რაციონალური გამოყენება მაღალმოსავლიანი, გვალვისა და დაავადებებისადმი მედეგი სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების დანერგვის, მათი მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური ღონისძიებების სრული კომპლექსის გატარების საფუძველზე;

- ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით ნათეს-ნარგაობათა სტრუქტურის სრულყოფა, სპეციალიზაციის გაღრმავება, მეურნეობრიობისა და შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების დანერგვა და სხვა იმ ღონისძიებათა გატარება, რომლებიც პირდაპირ, უშუალოდ არ მოქმედებს ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებაზე, მაგრამ ხელს უწყობს ბრუნვაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულის უფრო რაციონალურ გამოყენებას და წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებულ ტექნიკურ-ტექნოლოგიურ რესურსებში იგულისხმება მატერიალურ-ნივთობრივი ქონება, ანუ საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობანი, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, სატრანსპორტო საშუალებები, პროდუქტიული და მუშა პირუტყვი, მრავალწლიანი ნარგავები, თესლი და სარგავი საშუალება, რომლებიც მიწის რესურსებთან ერთად ქმნიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მნიშვნელოვან ბირთვს.

წარმოშობის მიხედვით, მატერიალური რესურსები იყოფა ბუნებრივ და ეკონომიკურ რესურსებად.

ბუნებრივი რესურსები - ესაა ბუნებრივი პირობები და გარემო, ანუ მიწა, წყალი, ტყე, ფლორა, ფაუნა, კლიმატი, მზის ენერგია და სხვა ამოწურვადი თუ არაამოწურვადი ბუნებრივი რესურსები.

ეკონომიკური რესურსები - ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ძირითადი ელემენტია, ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების დონის გამომხატველია და ის დამოკიდებულია მთელი ეროვნული მეურნეობის განვითარების ტემპებსა და მასშტაბებზე.

ზოგადად, წარმოების რესურსები იყოფა მატერიალურ, შრომით და ფინანსურ რესურსებად.მატერიალური რესურსები შრომის საშუალებების და შრომის საგნების ერთობლიობაა, რომელიც მოიცავს წარმოების ყველა ნივთობრივ ელემენტს (ბუნებრივი მასალები, ნედლეული, შრომის იარაღები).

ფინანსური რესურსების დანიშნულებაა წარმოების გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველყოფა. თანამედროვე ტექნიკის და ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველზე. მათი ფორმირების ძირითად წყაროს წარმოადგენს საწარმოს წმინდა შემოსავალი (მოგება), ამორტიზაციის ფონდი, ბანკის კრედიტები და სხვა(შემოწირულობები, გრანტები).

ნატურალური შემადგენლობის მიხედვით მატერიალური რესურსები მოიცავს ნედლეულს, ძირითად და დამხმარე მასალებს, სხვადასხვა ნახევარფაბრიკატებს, ენერგიის წყაროებს და ა. შ.

სოციალური ფაქტორები წარმოების შედეგებზე აქტიური ზეგავლენის უზარმაზარ შესაძლებლობებს ფლობს. ადამიანის ცხოვრების პირობების გარდაქმნა, სოციალური სფეროს განვითარება ქმნის მთლიან წარმატებულ ფსიქოლოგიურ სიტუაციას.

ფაქტორების მეორე ჯგუფი (მიწოდება და გაცვლა) განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობებს და პირობებს. ამასთან აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ: ერთის მხრივ, სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლების მიერ პროდუქციის რეალიზაციაში გამოცდილი სირთულეები სათანადო სისტემის დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ, დაბალი შესასყიდი

ფასები მზარდი იმპორტის გაფართოების ბაზაზე; მეორეს მხრივ ფასების დამანგრეველი ზეგავლენა.

ფაქტორების მესამე ჯგუფი ავლენს წარმოების ურთიერთქმედების პირობებს სახელმწიფოსთან მიმართებაში. საქმე ეხება სახელმწიფოს პოლიტიკას, ფინანსურ, საგადასახადო და საკრედიტო პირობების გაუმჯობესებას, რომელიც მიმართულია აგრარული წარმოების და სოფლის სოციალური ბაზის სტიმულირებისა და გაძლიერებისაკენ. აგრარული ეკონომიკის ეფექტურობის მოცულობის ზრდა ითხოვს იმ ფაქტორების გამოყენებას, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქტიულ ძალებთან, ასევე ეკონომიკური ურთიერთობის გაუმჯობესებასთან **(კოღუაშვილი, 2010 :64)**

დღეს აუცილებელია მაქსიმალურად გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო რესურსების, როგორც სასურსათო, ასევე კომერციული შესაძლებლობები და პოტენციალი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. პრაქტიკა აჩვენებს, რომ დღეს მეტად წარმატებულად ვითარდება დივერსიფიცირებული წარმოება, რომელსაც გააჩნია საკუთარი გადამუშავება და გარანტირებული მარკეტინგი. აგრარული სფეროს განვითარების ინტერესები მკაცრად ითხოვს დამუშავებას, რელიზაციას და მისი ეფექტიანობის ამაღლებას მეცნიერებაზე დაყრდნობით. ასეთმა კონცეფციამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს მეცნიერების მიღწევები და მოწინავე პრაქტიკა, უნდა დაფუძნდეს სახელმწიფოს რეგულირება, ინდუსტრიული კავშირები, მოხდეს საგადასახადო, საკრედიტო და საფინანსო პოლიტიკის ოპტიმიზაცია, გაუმჯობესდეს მიწის და შიდა ეკონომიკური ურთიერთობები, მოხდეს წარმოების სტრუქტურული გარდაქმნა ბაზრის კონიუქტურის გათვალისწინებით, ბუნების და ეკონომიკური პირობების, წარმოების ეკოლოგიზაცია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენების ბაზაზე კოოპერაციის და აგრო მრეწველოების ინტეგრაციის განვითარება. აუცილებელია ყველა სფეროს მობილიზება, ზომების მიღება სამომხმარებლო ბაზარზე იმპორტული ექსპანსიისაგან სამამულო საქონლის დაცვისათვის.

ეფექტიანობის კრიტერიუმის ცალკეული რესურსების გამოყენება-წარმოების ზოგად განსაზღვრებას წარმოადგენს წარმოების მაქსიმიზაციის შედეგები. ასეთი განსაზღვრება შეესაბამება სამამულო ეკონომისტების შეხედულებებს, რომლებიც ამა თუ იმ რედაქციით აყალიბებდნენ დასახელებულ კრიტერიუმებს, თუმცა სოფლის მეურნეობის წარმოების ეფექტიანობის შესაფასებლად ეს კრიტერიუმები არ გამოდგება. ის არ იძლევა საშუალებას პრაქტიკულად განვსაზღვროთ წარმოების რესურსების გამოყენების ხარისხი, რომელსაც გააჩნია წარმოების რესურსები.

ჩვენი მიდგომა სფეროს ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების პრობლემასთან საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ სოფლის მეურნეობის წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმები და გავაკეთოთ მისი ფორმულირება შემდეგი სახით: მოგების მაქსიმიზაცია მიწის ერთეულით მინიმუმ ხარჯებთან გაანგარიშებით. პირველი ნაწილის ლოგიკა იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული წარმოება მიილტვის მიიღოს მაქსიმალური მოგება. კონკურენტული ეკონომიკის პირობებში მოგების მაქსიმიზაციას ყველა მწარმოებლის მიერ ნაციონალური მასშტაბით მივყავართ საერთო პროდუქციის ღირებულების მაქსიმიზაციამდე, რომელიც შეიძლება მიღებული იქნას არსებული რესურსებით. ანუ მიგვიყვანს მთელი ეკონომიკის ეფექტიანობის მოცულობათან (ზუსტად ეს წარმოადგენს ოპტიმალურს), რომლის მიმართ სხვაობა მიღებულ მოგებასა და ხარჯებს შორის არ იქნებოდა დიდი. წარმოების ოპტიმიზაციის ამოცანის გადასაჭრელად მაქსიმიზაციის მიზნით უფრო მოხერხებულია ვიხელმძღვანელოთ საშუალო და ზღვრული მნიშვნელობით. მოგების მაქსიმიზაცია მიღწეული იქნება შემდეგი წესების დაცვით:

$$MR=MC,$$

სადაც MR - ზღვრული შემოსავალი, MC - ზღვრული დანახარჯები.

მოცემული წესი ილუსტრირებულია გრაფიკულად (სქემა1), სადაც P-ფასია; q-პროდუქციის რაოდენობა, MC-ზღვრული დანახარჯი, AC-საშუალო ხარჯები, AR-საშუალო შემოსავალი, MR-ზღვრული შემოსავალი.

იმისათვის, რომ  გადავჭრათ პრობლემა პროდუქციის რაოდენობის წარმოების შესახებ, აუცილებელია გავაკეთოთ  ზღვრული შემოსავლის(MR) შედარება ზღვრულ ხარჯებთან(MC), თითოეული მომდევნო პროდუქციის ერთეული. თუ  MR (ზღვრული შემოსავალი ტოლია P1ფასის) მეტია MC-ზე, მაშინ საჭიროა გაიზარდოს წარმოების მოცულობა. თუ შემოსავლის ზრდა იქნება მეტი, ვიდრე ზღვრული ხარჯები, გაიზრდება მოგება  და პირიქით, თუ ზღვრული ხარჯები გადაამეტებს ზღვრულ შემოსავალს (მოგებას, მოცემულ შემთხვევაში ფასებს), მაშინ მოგება შემცირდება. მოგების მაქსიმუმი მიღებული იქნება წარმოების მოცულობით qc, რომლითაც მიიღწევა ტოლობა  MR=MC (ირიბი MC და  სწორიPi=A-MR-ს გადაკვეთით)




**სქემა 1. სოფლის მეურნეობის მოგების (შემოსავლის) მაქსიმიზაცია საბაზრო პირობებში.**

პროდუქციის წარმოებისას q1-ზე რაოდენობრივად ნაკლები და  q4  -ზე მეტი. ეკონომიკას დანაკარგები ექნება, რამდენადაც ამ შემთხვევაში შემოსავლის ზღვარი უფრო ნაკლებია  AC საშუალო ხარჯებთან (მოცემულ შემთხვევაში  p1). ეკონომიკა მიიღებს მოგებას პროდუქციის წარმოებით  q1  q4 ინტერვალებს შორის.

წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმების გამოყენებისას (ამჟამად ფართოდ გავრცელებული), როგორც მოგების მაქსიმიზაცია ანგარიშით ერთეული რესურსის დანახარჯით (ანუ ხარჯებით) წარმოება უნდა მიილტვოდეს იქეთკენ, რომ აწარმოოს პროდუქცია  დიდი მოცულობით, რომელიც ტოლია q3-ს, სადაც რენტაბელობა უმაღლესი იქნება. ეს ნათლადაა წარმოდგენილი სქემა 1-ზე, სადაც ვერტიკალურ ღერძზე მოგებისადმი დამოკიდებულება AC3P1OAC3 ხარჯებთან შესაძლო შემთხვევებიდან მაქსიმალურს წარმოადგენს. ასეთი კრიტერიუმების შემთხვევაში ეკონომიკისათვის არასასურველია წარმოების ზრდა q3-ზე მეტად, თუმცა საწარმოსათვის მართლაც მომგებიანია მოცულობის ზარდა q3-ზე მეტად qe დონემდე, რამდენადაც რენტაბელურობის დაქვეითების მიუხედავად მოგების ზოგადი მოცულობა გაიზრდება, რაც მიზანს შეესაბამება. საერთო მოგების ზრდა განპირობებულია იმით, რომ პროდუქციის ყოველი მომდევნო ერთეული q3 დან  qe მდე ინტერვალში ეკონომიკას დამატებით მოგებას მოუტანს, რამდენადაც ამ ინტერვალში MC ნაკლებია p1-ზე, დასახელებული კრიტერიუმი წარმოადგენს სიტუაციის  მხოლოდ კერძო შემთხვევას. როცა წარმოებამ ვერ მიაღწია წარმოების კრიტიკულ წერტილს, რომლის მიღწევამდე კიდევ ჩნდება წარმოების მოცულობის დამატებითი დადებითი ეფექტი. წარმოების მოცულობის ზრდისას დასახელებული ეფექტიანობის კრიტერიუმი ავლენს თავის მიუღებლობას. მოცემულ განსაზღვრებაში წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმით უფრო ზუსტად აისახება სოფლის მეურნეობის წარმოების მიზანი - მოგების მაქსიმიზაცია ერთეული მიწის ნაკვეთის ანგარიშით.




სქემა 2. წარმოების ხარჯების შემცირების გავლენა მოგების მოცულობაზე.

მიწათსარგებლობა მუდმივად მნიშვნელოვანია ეკონომიკაში და სწორედ ამიტომ მოგების მიმართ დამოკიდებულება კიდევ და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. თუ განვსაზღვრავთ კრიტერიუმებს, მხოლოდ როგორც მოგების მაქსიმიზაცია(მიწასთან დამოკიდებულების გარეშე), მაშინ ეკონომიკის შედარებისას მისი ეფექტიანობა იქნებოდა განუზომელი არსებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის განსხვავების გამო.

ეფექტიანობის კრიტერიუმების მეორე ნაწილის ლოგიკა „მინიმუმი ხარჯები“ შემდეგში მდგომარეობს. წარმოების თითოეული მოცულობის შემთხვევაში საშუალო ხარჯები (ანუ პროდუქციის ერთეულის ღირებულება) შეიძლება ნაკლები იყოს, თუ გამოიყენებენ უფრო იაფ, პროდუქტიულ მანქანა-მოწყობილობებს და ახალ ტექნოლოგიებს, გამოიყენება წარმოების ორგანიზაციის უფრო სრულყოფილი ფორმები, ხარჯების დაწევა წარმოდგენილია (სქემა 2) ირიბი C და AC -ს შერევით Cs , C1 და AC1-სთვის.

წარმოების ხარჯების შემცირება (განხილულის მიხედვით) იწვევს საერთო მოგების და ერთეულის ანგარიშით მიწის ტერიტორიის მოცულობის იმავე პროდუქცი-

ით ზრდას. სქემაზე 2 საერთო მოგება ტოლია P1EDACd ოთხკუთედის ფართობისა, რომელიც მეტია ვიდრე P1EBACb. ამავე შემთხვევაში მომგებიანია წარმოების ზრდა ახალ, დაბალანსებულ დონესთან (გრაფიკულად q5 დონემდე).**(ნოვინკოვი, 2007:28)**

ჩვენი აზრით, კრიტერიუმის განსაზღვრების განხილული მიდგომა სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებულებს აძლევს საშუალებას ნათლად დაინახონ თავიანთი საქმიანობის პირდაპირი მიზანი და მისი მიღწევის საშუალებები. შესყიდვების ცენტრალიზებული დაგეგმვის არ არსებობის პირობებში წარმოიქმნება იმ წარმოების მოცულობის არჩევის აუცილებლობა თვით ეკონომიკის მიერ. დასახელებული პრობლემის მეთოდოლოგიური მიდგომა ხელს შეუწყობს განისაზღვროს ოპტიმალური მოგება სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე.

## დასკვნები და წინადადებები

ჩატარებული კვლევები საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნები და დავსახოთ შემდეგი წინადადებები:

- ✓ ჩვენს ქვეყანაში ცივილიზებული ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრებისათვის, აგრარულ სექტორში მიმდინარე რეფორმების დინამიური გატარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში, მათ შორის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ამა თუ იმ დარგის განვითარების ღრმა მეცნიერულ გაანალიზებას, ზუსტ შეფასებას და ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენას;
- ✓ აჭარის არ-ში შემავალი ხუთი მუნიციპალიტეტიდან სამი: ქედა, შუახევი და ხულო ძირითადად მაღალმთიანია, რომლებიც გამოირჩევიან რთული რელიეფით და ზონალურ-კლიმატური მრავალფეროვნებით, რამაც განაპირობა სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების ჩამოყალიბება. კერძოდ, მთის ზონაში უმთავრესად მეცხოველეობაა განვითარებული, ხოლო ბარში პრივილეგირებს მემცენარეობა.
- ✓ სოფლად მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფის ძირითად წყაროს წარმოადგენს საკუთარ ნაკვეთზე მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რომელიც არ არის საკმარისი მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამ პრობლემის დასაძლევად საჭიროდ მიგვაჩნია მოსახლეობის კოოპერატივებში ჩართულობა და მეტი შემოსავლების მიღების შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენება;
- ✓ ამჟამად საქართველოს მოსახლეობის 43% სოფლად ცხოვრობს. აგრარულ სექტორში დასაქმებულია ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 54%-ზე მეტი. სამწუხაროდ თითქმის უცვლელია ბოლო წლებში აგრარულ სექტორში წარმოებული პროდუქციის მოცულობა და მისი წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში. 1996 წელს აგრარულ სექტორში წარმოებული პროდუქცის წილი მშპ-ში 33%-ზე მეტს შეადგენდა, დღეისათვის კი იგი ოთხჯერ შემცირდა და 9,3%-ს არ აღემატება, რაც შიდა ბაზრის მოთხოვნის მხოლოდ 14%-ს უზრუნველყოფს;

- ქვეყნის აგრარული პოლიტიკის ქვაკუთხედი და ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებსა და მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული პრობლემები. მიწის რეფორმა, რომელიც გატარდა საქართველოში, ძალზედ შორს დგას მოწინავე მსოფლიო გამოცდილებისაგან და ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმ ღრმა კრიზისისა, რომელმაც ქვეყნის სოფლის მეურნეობა მოიცვა. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ეს მცირე ზომის მიწაც კი, ხშირად, ერთიან საზღვრებში არ არის მოქცეული. დანაწევრებულია ორ და მეტ ნაკვეთად, რაც უარყოფითად მოქმედებს შრომის პროდუქტიულობის ამაღლებაზე;
- ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება სოფლის მეურნეობის განვითარების კონკრეტული სტრატეგიის შემუშავება უშუალოდ მუნიციპალიტეტების მიერ და ამ სტრატეგიის მიხედვით მოქმედება. საჭიროა ჩამოყალიბდეს მრავალწლიანი გეგმა, რომელიც ქართული სოფლის სწორი მიმართულებით განვითარებას შეუწყობს ხელს. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება სტიქიური და გაუაზრებელი პოლიტიკის გატარებას ამ სფეროში, რაც გრძელვადიან პერიოდში კიდევ უფრო ნეგატიურ შედეგებს მოგვიტანს;
- ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მუნიციპალიტეტებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ინფორმაციულ უზრუნველყოფას. ნიადაგურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით და აგროტექნიკის სწორი გამოყენებით შესაძლებელია მოსავლიანობის გაზრდა;
- კვლევამ გვიჩვენა, რომ ქედის მუნიციპალიტეტში მევენახეობის უნიკალური მიკროკლიმატური ზონა იძლევა მაღალი ხარისხის შუშხუნა ღვინომასალების წარმოების საშუალებას. გაშენებულია ვაზის ისეთი ჯიშები, როგორიცაა: ჩხავერი, ცოლიკოური, ოჯალეში, ალადასტური, საწური. წარმოების მასშტაბებით რა თქმა უნდა, ის ვერ იქნება მოცულობითი, მაგრამ აქცენტი უნდა გაკეთდეს მაღალ ხარისხსა და ბაზარზე ძვირადღირებული ღვინოების წარმოებაზე;
- რესპოდენტთა აზრით, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებში უპირველეს ამოცანად უნდა იქცეს პირველ რიგში მეცხოველეობის აღდგენა, მისი აღორძინება

რეგიონში აამაღლებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს, ვინაიდან იგი არის მთელი რიგი ძვირფასი პროდუქტის მომცემი;

- ✓ კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობა მნიშვნელოვან პრობლემად მიიჩნევს წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას. ისინი ერთხმად აღიარებენ კოოპერატივების აუცილებლობას, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფენ ოჯახური მეურნეობებიდან პროდუქციის შესყიდვას, ტრანსპორტირებას, გადამუშავებას, დაფასოებას და რეალიზაციას;
- ✓ საქართველოში ფერმერული მეურნეობა უნდა გაიმიჯნოს სამი სახის მეურნეობად:

  - შიდა (წვრილი ოჯახური) მეურნეობა - რომელიც არ არის ორიენტირებული ეკონომიკურ მოგებაზე, უშუალოდ ეწევა საქმიანობას და წარმოებულ პროდუქციას იყენებს მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის.

  - გლეხური (ოჯახური) მეურნეობა - სადაც საქმიანობაში ჩართული არიან ოჯახის წევრები, აწარმოებენ საკუთარი მოხმარებისთვის საჭიროზე მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას, თუმცა ისინი არ არიან დარეგისტრირებული როგორც მეწარმე სუბიექტები.

  - ფერმერული (მსხვილი) მეურნეობა - რომელიც დარეგისტრირებულია, როგორც მეწარმე, ჰყავს დაქირავებული მუშები, აწარმოებს საქონლურ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას და ორიენტირებულია მოგების მიღებაზე.
- ✓ საქართველოს ძირითადად ეკოლოგიურად სუფთა აგროპროდუქციით შეუძლია წარმატების მიღწევა და ევროპულ ბაზარზე დამკვიდრება. მისი მცირე მიწიანობი- დან გამომდინარე, აქცენტი უნდა გაკეთდეს არა წარმოების მასშტაბებსა და რაოდენობრივ მაჩვენებლებზე, არამედ სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოებასა და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე;
- ✓ ამჟამად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფუნქციონირებს 153 კოოპერატივი. ეს რიცხვი კიდევ უნდა გაიზარდოს, რადგან კოოპერატივი წვრილ საქონელმწარმოებლებს

აძლევს შესაძლებლობას გაერთიანდნენ და აწარმოონ უფრო მეტი და კარგი ხარისხის პროდუქცია;

- ✓ მიღებული უნდა იქნეს პოლიტიკური გადაწყვეტილება და მიწების გამსხვილება სახელმწიფოს პრიორიტეტად გამოცხადდეს, რასაც ლოგიკურად უნდა მოჰყვეს სასოფლო-სამეურნეო მიწების კონსოლიდაციის სტრატეგიული ხედვისა და შესაბამისი გრძელვადიანი გეგმის შემუშავება;
- ✓ აუცილებელია საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება სასოფლო-სამეურნეო სექტორისთვის უშუალოდ მუნიციპალიტეტების მიერ და იმ სეგმენტების განსაზღვრა, რომლებშიც შესაძლოა კონკურენტულ უპირატესობას ფლობდეს.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შესაძლებელია გაკეთდეს შემდეგი პრაქტიკული რეკომენდაციები, კერძოდ, საჭიროა:

- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრარული სექტორის განვითარების მოქნილი სტრატეგიისა და მოქმედების გეგმის შემუშავება უშუალოდ მუნიციპალი-ტეტების მიერ;
- აგრარული სექტორის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების, არსებული პრობლემების შესწავლა, გაანალიზება და ეფექტიანი ღონისძიებების გატარება.
- ყველა დაინტერესებული მხარის ძალისხმევის გაერთიანება და კოორდინაცია.
- კოოპერატივების განვითარების არსებული ნორმატიული ბაზის დახვეწა, თანადაფინანსების და დახმარებების გაფართოება.
- სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული პროგრამების ხელმისაწვდომობა და მოქნილობა.

ვფიქრობთ, რომ კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს აგრარულ სექტორში არსებული პრობლემების დაძლევას. ჩამოყალიბებული დასკვნები და რეკომენდაცი- ები მტკიცე საფუძველს შექმნის აგრარული სექტორის ყველა დარგის განვითარები- სათვის, მისი ეფექტიანობის თანამიმდევრულად ამაღლებისათვის. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს,

როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარული სექტორის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## გამოყენებული ლიტერატურა


